FRIEDRICH EBERT STIFTUNG

RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსეთის მიმართ საქართველოში

არსებული დამოკიდებულება და აღქმა

2021

© **საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიეთობების კვლევის ფონდი 2021**

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს ფონდის თვალსაზრისს.

RONDELI FOUNDATION | GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიეთობების კვლევის ფონდი
შ. ჩიტაძის ქუჩა #3ა
თბილისი საქართველო

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

პუბლიკაცია დაიბეჭდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პუბლიკაციის კომერციული მიზნებით გამოყენება, იკრძალება ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის ქუჩის ჩიხი1, #1, 0179
თბილისი, საქართველო

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

RONDELI FOUNDATION

GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსეთის მიმართ საქართველოში

არსებული დამოკიდებულება და აღქმა

2021

რუსეთის მიმართ საქართველოში არსებული
დამოკიდებულება და აღქმა
თბილისი 2021

გამომცემლები

ფრიდრიხ ებერტის ფონდი (FES)
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი
ნ. რამიშვილის ქუჩის ჩიხი 1, #1, 0179
https://southcaucasus.fes.de/
თბილისი, საქართველო

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობების კვლევის ფონდი
შ. ჩიტაძის ქუჩა #3ა
https://GFSIS.org
თბილისი, საქართველო

ინფორმაცია გამომცემელთათვის
ფელიქს ჰეთი (FES), სალომე ალანია (FES)
ეკატერინე მეტრეველი (GFSIS), ქეთევან ემუხვარი (GFSIS)

ავტორები
თამარ ხოშტარია (CRRC)
ნინო ზუბაშვილი (CRRC)
ნინო მჟავანაძე (CRRC)
ეკატერინე მეტრეველი (GFSIS)
გიორგი ბილანიშვილი (GFSIS)
ქეთევან ემუხვარი (GFSIS)

დიზაინი
ნატო ნოზაძე

თარგმნა და რედაქტირება
ნატა იორდანიშვილი

საბოლოო კორექტირება/რედაქტირება:
ნინო ზუბაშვილი
თამარ ხოშტარია

ბეჭდვა
ფაუნტეინ ჯორჯია

ტირაჟი
200

ISBN 978-9941-8-3913-9

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, არ არის პასუხისმგებელი პუბლიკაციაში მოცემული მონაცემების სიზუსტეზე.

©ფრიდრიხ ებერტის ფონდი 2021
©საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიეთობების კვლევის ფონდი 2021

სარჩევი

გრაფიკების ჩამონათვალი **4**

ცხრილების ჩამონათვალი **5**

მოკლე შეჯამება **6**

01 **შესავალი** **11**

02 **მეთოდოლოგია** **12**

03 **შეხედულებები საქართველოდან: კვლევის მიგნებები** **13**

3.1. რუსები და რუსული პოლიტიკა 13
3.2. რუსეთის საშინაო პოლიტიკა 19
3.3. ინფორმაციის წყაროები 24
3.4. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა 30
3.5. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები 36
3.6. კონფლიქტური რეგიონები - ცოდნა და დამოკიდებულება 46
3.6.1 ამჟამინდელი მდგომარეობა კონფლიქტურ რეგიონებში 46
3.6.2 კონფლიქტური რეგიონების მომავალი 53
3.6.3 რუსეთის მიერ კონფლიქტური რეგიონების დაფინანსება 54
3.7. ჩრდილოეთი კავკასია - ცოდნა და დამოკიდებულება 58

04 **დასკვნები** **64**

დანართები **66**

დანართი 1: კროსტაბულაცია ასაკობრივი ჯგუფების და დასახლების ტიპის მიხედვით 66
დანართი 2: ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მახასიათებლები 73

გრაფიკების ჩამონათვალი

დიაგრამა 1:	დამოკიდებულება რუსეთისა და რუსების მიმართ	19
დიაგრამა 2:	როგორი მიმართულებით ვითარდება რუსეთი ამჟამად?	26
დიაგრამა 3:	ძირითადი პრობლემები რუსეთში	27
დიაგრამა 4:	რამდენად ინფორმირებული ხართ რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ?	30
დიაგრამა 5:	ინფორმაციის მთავარი წყაროები რუსეთის შესახებ ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით	32
დიაგრამა 6:	რა ტიპის ინფორმაციას იღებთ რუსეთთან დაკავშირებით?	33
დიაგრამა 7:	ინფორმაცია, რომელსაც რუსეთის ფედერაციის შესახებ იღებთ, ძირითადად დადებითია თუ უარყოფითი?	35
დიაგრამა 8:	საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები/საფრთხეები	37
დიაგრამა 9:	ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისადმი ინტერესი	39
დიაგრამა 10:	საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები	43
დიაგრამა 11:	საქართველოსა და რუსეთის კეთილმეზობლურ ურთიერთობებში ხელშემშლელი მთავარი დაბრკოლებები	43
დიაგრამა 12:	ტურიზმისა და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების წვლილი ურთიერთობების გაუმჯობესებაში	46
დიაგრამა 13:	აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი	53
დიაგრამა 14:	აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის განვითარების მიმართულება	54
დიაგრამა 15:	აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი ათი წლის შემდეგ	59
დიაგრამა 16:	რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის ფინანსური დახმარების გაწევის მხარდაჭერა	61
დიაგრამა 17:	მსგავსებები და განსხვავებები ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს შორის	66

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1:	როგორც წესი, რა ენაზე გაქვთ კომუნიკაცია რუს ხალხთან?	24
ცხრილი 2:	თქვენი აზრით, რა ძირითადი პრობლემების ან საფრთხეების წინაშე დგას რუსეთი ამჟამად?	27
ცხრილი 3:	როდესაც საქმე რუსეთში მიმდინარე მოვლენებს ეხება, რა არის თქვენთვის ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო/წყაროები?	31
ცხრილი 4:	როგორც წესი, რა ტიპის ინფორმაციას იღებთ რუსეთთან დაკავშირებით? ეს ინფორმაცია არის	34
ცხრილი 5:	თქვენი აზრით, რა ძირითადი პრობლემების ან საფრთხეების წინაშე დგას საქართველო ამჟამად?	38
ცხრილი 6:	თქვენი აზრით, რა მთავარი დაბრკოლება/დაბრკოლებები არსებობს, რომელიც საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობას უშლის ხელს?	44
ცხრილი 7:	თქვენი აზრით, ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებიდან, რომელია ყველაზე კეთილგანწყობილი საქართველოს მიმართ?	64
ცხრილი 8:	თქვენი აზრით, რამდენად გვანან ან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ჩრდილოეთი კავკასიელი და ქართველი ხალხი?	65

მოკლე შეჯამება

პოლიტიკაზე საუბრისას საქართველოში ხშირად განიხილავენ რუსეთთან დაკავშრებულ საკითხებს. რუსეთის (და ჩრდილოეთი კავკასიის) მიმართ საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების და აღქმების უკეთ შესასწავლად, საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდისა (GFSIS) და ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) სამხრეთ კავკასიის ოფისის მხარდაჭერით, საქართველოში ემპირიული კვლევა ჩატარდა. კვლევა განახორციელა CRRC-საქართველომ, არასამთავრობო, არა-კომერციულმა კვლევითმა ორგანიზაციამ, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს საჯარო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან მონაცემებს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ტენდენციების შესახებ.

ამ ანგარიშში მოცემულია რუსეთის მიმართ საქართველოში არსებული დამოკიდულება და აღქმა. საკმაოდ იშვიათია კვლევები, რომლებიც რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოში მცხოვრები ხალხის ცოდნას, დამოკიდებულებასა და აღქმას აანალიზებს. საკითხის უკეთესად შესასწავლად, CRRC-საქართველომ ჩაატარა კვლევა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ეს მოიცავდა რაოდენობრივ სატელეფონო გამოკითხვასა და თვისებრივ ონლაინ ფოკუს ჯგუფებს. კვლევის ორივე კომპონენტი 2021 წლის თებერვალში განხორციელდა. საერთო ჯამში, სატელეფონო გამოკითხვის ფარგლებში 1851 რესპონდენტი გამოიკითხა - საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში 24 ფოკუს ჯგუფი 12 სხვადასხვა ლოკაციაზე ჩატარდა. ფოკუს ჯგუფები ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე 18-დან 44 წლამდე და 45 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეებთან, ცალ-ცალკე ჩატარდა.

ძირითადი მიგნებები:

- მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (52%) დადებითადაა განწყობილი რუსი ხალხის მიმართ, 39%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს, 7%-ს კი - უარყოფითი. ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ დადებითი დამოკიდებულებები, უმეტესად, პირადი ან პროფესიული ურთიერთობებიდან, ქართველ და რუს ხალხს შორის სიყვარულიდან, ან წარსულში მჭიდრო კავშირებიდან მომდინარეობს. ნეიტრალური დამოკიდებულებები, ძირითადად, იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ კარგი და ცუდი ადამიანები ყველა ერშია, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულებები, უმეტესად, რუსეთის სახელმწიფოს მიმართ შეხედულებებს უკავშირდება და მოსაზრებას, რომ სახელმწიფო ხალხის ანარეკლია;
- 54 წელს გადაცილებული ადამიანები უფრო დადებითად არიან რუსი ხალხის მიმართ განწყობილნი, ვიდრე სხვა ასაკობრივი ჯგუფების (18-34 და 35-54) წარმომადგენლები. ასაკობრივ ჯგუფებს შორის განსხვავება ფოკუს ჯგუფების დროსაც გამოიკვეთა. რუსებთან პირადი ურთიერთობების ნაკლებობის ფონზე, საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს რუსი ხალხის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება აქვთ, როგორიც რუსეთის სახელმწიფოს მიმართ, რომლისგანაც ძალადობის, ომისა და ოკუპაციის გარდა არაფერი ახსოვთ;
- მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს რუსული სახელმწიფოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. დასახლების ტიპის მიხედვით ეს დამოკიდებულებები განსხვავდება. თბილისში უარყოფითი დამოკიდებულებები ყველაზე უფრო ხშირია (59%), სხვა ქალაქების (46%) და სოფლის ტიპის დასახლების (36%) მონაცემებთან შედარებით.;
- მოსახლეობის ნახევარზე მეტი (56%) ფიქრობს, რომ რუსეთი უმეტესად არასწორი მიმართულებით ვითარდება. ამასთან, მოსახლეობის თითქმის ერთმა მესამედმა არ იცის რა მიმართულებით ვითარდება რუსეთი. მხოლოდ 10%-ს სჯერა, რომ რუსეთი სწორი მიმართულებით მიდის.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თქმით, რუსეთს თანამედროვე სამყაროსთვის ფეხის აწყობა არ შეუძლია, რაზეც დასავლეთთან მისი დაძაბული ურთიერთობაც მეტყველებს. ისინიც კი, ვინც რუსეთს ბევრი სხვადასხვა მიმართულებით განვითარებულ ქვეყნად მიიჩნევენ, აკრიტიკებენ მას ქვეყანაში დემოკრატიის არქონისა და აგრესიული საგარეო პოლიტიკის გამო;

- საქართველოს მოსახლეობის აზრით, ა) საგარეო საკითხები და საერთაშორისო კონფლიქტები/სანქციები (ცუდი ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებსა და დასავლეთთან), ბ) ადამიანის უფლებები და დემოკრატია და გ) ეკონომიკური და სოციალური საკითხები რუსეთის წინაშე მდგარი სამი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა, ასევე, აღნიშნეს რიგი საკითხები, რომლებიც რუსეთისთვის გამოწვევას წარმოადგენს. მათ შორის: ა) სიტყვის თავისუფლების სიმწირე, ბ) რუსული მედიით გავრცელებული დეზინფორმაცია საქართველოს შესახებ, გ) ოპოზიციის შევიწროება, დ) რუსეთის საზოგადოების დაყოფა პუტინის მხარდამჭერებად და ოპონენტებად, და ე) რუსეთის დიდ ქალაქებს მიღმა ქვეყანაში არსებული უკიდურესი სიღარიბე;
- საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი (61%) ამბობს, რომ რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას ფლობს (მათ შორის, 41% თავს ნაკლებად/მცირედით ინფორმირებულად მიიჩნევს), ხოლო მესამედზე ოდნავ მეტი აცხადებს, რომ ამ საკითხზე ინფორმაცია საერთოდ არ აქვს. ახალგაზრდები ოდნავ უფრო ნაკლებად ინფორმირებულნი არიან რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ვიდრე უფროსი ასაკის ადამიანები. სრულად ან საკმაოდ ინფორმირებულობა თბილისის მცხოვრებლებში უფრო ხშირია (25%), ვიდრე სოფლების მოსახლეობაში (16%). ფოკუს ჯგუფების მონაწილეები უმეტესად ფლობდნენ ინფორმაციას რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე და აცხადებდნენ, რომ რუსეთის ახალ ამბებს თვალს იმიტომ ადევნებდნენ, რომ ამას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საქართველოზე;
- ინფორმაციის ყველაზე პოპულარული წყაროები მათთვის, ვინც ამბობს, რომ რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებს თვალს ადევნებს, ტელევიზია (69%) და სოციალური ქსელებია (37%). ფოკუს ჯგუფების მონაწილეებიც, ძირითადად, იგივე წყაროებს ასახელებენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ნათესავებსა და თანამშრომლებს ინფორმაციის წყაროდ მოსახლეობის მხოლოდ 12% ასახელებს, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამ წყაროებს ერთ-ერთ ყველაზე სანდო წყაროებად მიიჩნევენ;
- რესპონდენტების თქმით, რუსეთის შესახებ მიღებული ინფორმაცია ყველაზე ხშირად ეხება რუსეთიდან წამოსულ საფრთხეებს და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ საკითხებს (40%). ასევე, რუსეთის საგარეო (36%) და საშინაო პოლიტიკას (27%). ინფორმირებული მოსახლეობის უმრავლესობა (59%) მიღებულ ინფორმაციას ძირითადად უარყოფითად აფასებს, მაშინ, როდესაც ამ ინფორმაციას ძირითადად დადებითად მხოლოდ 15% მიიჩნევს;
- საქართველოში მცხოვრები ადამიანები მიიჩნევენ, რომ ამჟამად საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი გამოწვევები და საფრთხეებია: ეკონომიკური და სოციალური პრობლემები (57%), სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპაცია (41%), ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საფრთხე (32%) და ჯანდაცვა (კოვიდის ჩათვლით) (26%). ფოკუს ჯგუფებში იგივე საკითხები გაჟღერდა. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეებმა უმუშევრობასთან, დაბალ ხელფასებთან და „ნორმალური“ სამსახურის შოვნის სირთულეებთან დაკავშირებული საკითხები წამოწიეს. რუსეთის მიერ ტერიტორიების ოკუპაციას, ისევე, როგორც „მცოცავ ოკუპაციას“ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ხშირად ახსენებდნენ. ასევე ხშირად საუბრობდნენ კოვიდ-19-ის პანდემიაზე;
- ქართველების[1] დიდი უმრავლესობა (80%) დადებით (ძალიან დადებით და უფრო დადებით, ვიდრე უარყოფით) დამოკიდებულებას ამჟღავნებს ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ.

1 ანგარიშში „ქართველები“ გამოყენებულია საქართველოში მცხოვრები ხალხის აღსანიშნავად. აქ არ იგულისხმება ეთნიკურობა და მხოლოდ ეთნიკურად ქართველი ხალხი.

მოსახლეობის დიდი წილი (74%), ასევე, დადებითადაა განწყობილი საქართველოს ნატოში გაწევრიანების მიმართ. ახალგაზრდებსა და დედაქალაქის მცხოვრებლებს, ზოგადად, უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლებსა და სოფლის მცხოვრებლებს. მიუხედავად ამისა, ამ ჯგუფებშიც კი უმრავლესობა (70% და მეტი) ინტეგრაციისადმი დადებითადაა განწყობილი.

- ფოკუს ჯგუფების დროს გამოჩნდა, რომ კვლევის მონაწილეები ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას საქართველოს პრობლემების გადაჭრის გზად მიიჩნევენ - ევროკავშირს, როგორც თავისუფლების, დემოკრატიის, ეკონომიკური სტაბილურობისა და უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას და ნატოს, როგორც უსაფრთხოების და რუსეთისაგან დაცვის გარანტს. ისინი, ვისაც ნეიტრალური ან უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, საკუთარ შეხედულებებს იმით ხსნიან, რომ დასავლეთი საქართველოს უგულებელყოფს. გარდა ამისა, ზოგს ნატოს წევრობით რუსეთის გაღიზიანება არ სურს. ზოგი კი ფიქრობს, რომ საქართველო მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეებისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს;
- ქართველების უმრავლესობა (74%) მიიჩნევს, რომ რუსეთსა და საქართველოს სახელმწიფოებს მტრული ურთიერთობა აქვთ. ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის მთავარ დაბრკოლებებად სახელდება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია (60%), და მოსკოვის განზრახვა, რომ საქართველო საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს (30%). ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმაც მსგავსი საკითხები განიხილეს. ამასთან ერთად, ყურადღება გაამახვილეს „მცოცავ ოკუპაციასა“ და დაუცველობის მუდმივ შეგრძნებაზე, რაც რუსეთის ექსპანსიურ პოლიტიკას უკავშირდება, როგორც საქართველოს, ისე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ;
- ფოკუს ჯგუფის მონაწილეები სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გამოსწორებასთან დაკავშირებით. მათი აზრით, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას შეწყვეტს. კვლევის მონაწილეებმა ისაუბრეს იმ ნაბიჯებზე, რომლებიც საქართველომ უნდა გადადგას რუსული საფრთხის განეიტრალებისა და შემცირებისთვის. ზოგი მიიჩნევს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია ერთადერთი გამოსავალია, სხვები კი ამბობენ, რომ საქართველოს უსაფრთხოებისთვის და ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებისთვის აუცილებელია, საქართველომ უარი თქვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე;
- უმრავლესობა (84%) მიიჩნევს, რომ ტურიზმი ხელს უწყობს ქართველებსა და რუსებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას, ხოლო 75% იგივეს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შესახებაც ამბობს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა იმ ნაწილს, რომელიც იზიარებს მოსაზრებას, რომ ეკონომიკურ და სავაჭრო კავშირებს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება შეუძლია, არგუმენტად წარსული გამოცდილება მოჰყავს. ისინი ამტკიცებენ, რომ მეტი ვაჭრობის პირობებში ურთიერთობაც უკეთესი იყო. ამ მოსაზრების მოწინააღმდეგენი კი ამბობენ, რომ სავაჭრო კავშირებს ისეთ არაპროგნოზირებად ქვეყანასთან, როგორიც რუსეთია, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ქართულ საქონელს ემბარგო დაუწესოს, რაც წარსულში გაუკეთებია კიდეც, ურთიერთობის გაუმჯობესების არანაირი პოტენციალი არ აქვს. გარდა ამისა, მათივე თქმით, ვაჭრობა, ოკუპირებულ ტერიტორიებთან შედარებით, ნაკლებად მნიშვნელოვანია;
- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია (75% და 71%, შესაბამისი თანმიმდევრობით). მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილს სჯერა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ათი წლის შემდეგაც საქართველოს ნაწილი იქნება (61% და 62%, შესაბამისი თანმიმდევრობით). 18-34 წლის ახალგაზრდებთან შედარებით, უფროსი თაობის წარმომადგენლების, ისევე, როგორც დედაქალაქის მცხოვრებლების უფრო დიდი ნაწილი მიიჩნევს ამ რეგიონებს საქართველოს ნაწილად. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ კონფლიქტი საქართველოსა და ამ რეგიონებს შორის რუსეთის მიერაა პროვოცირებული და მართული;

- მოსახლეობის უმრავლესობას სჯერა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება (68% და 69%, შესაბამისი თანმიმდევრობით). თვისებრივი მონაცემების მიხედვით, ხალხი ორივე რეგიონში არსებულ მდგომარეობას მძიმედ მიიჩნევს. ხშირად ახსენეს, რომ რუსეთის გავლენა იქ მცხოვრებ ხალხს რუსეთისკენ უბიძგებს, რუსულ ენაზე საუბარს აიძულებს და ეკონომიკურად რუსეთზე დამოკიდებულს ხდის;
- ფოკუს ჯგუფების ზოგი მონაწილე მიიჩნევს, რომ კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობას არ სურს, რუსეთის ნაწილი იყოს, არამედ დამოუკიდებლობა ურჩევნია. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეებს სჯერათ, რომ შესაძლებელია ქართველებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებს შორის კავშირის აღდგენა. ამისგან განსხვავებით, სხვა რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ კონფლიქტურ რეგიონებში ხალხთან კავშირი დაკარგულია, რადგან მათ უნდათ, რომ რუსეთს შეუერთდნენ და მოსწონთ ჩრდილოეთიდან მიღებული დახმარება. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების აზრით, ახალ თაობაში, ძველთან შედარებით, მეტი უარყოფითი დამოკიდებულებაა ქართველების მიმართ და, დროის გასვლასთან ერთად, ქრება ის კავშირი, რაც ქართველებს ამ რეგიონებთან ჰქონდათ;
- მოსახლეობის დიდი ნაწილი არ უჭერს მხარს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფინანსურ დახმარებას (44% და 45%, შესაბამისი თანმიმდევრობით). უფროსი (35+) ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები და დედაქალაქის მცხოვრებლები უფრო მეტად არიან რუსეთის მიერ კონფლიქტური რეგიონების დაფინანსების წინააღმდეგნი, ვიდრე ახალგაზრდები (18-34 წლის) და ისინი, ვინც თბილისს გარეთ ცხოვრობენ. ფოკუს ჯგუფის ბევრი მონაწილე, ასევე, ეწინააღმდეგება ამ საკითხს და არგუმენტად იმას ასახელებს, რომ რუსეთი კონფლიქტურ რეგიონებს ყიდულობს და იქ საკუთარ გავლენას ავრცელებს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა თქმით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაფინანსება რუსეთის მხრიდან კეთილი ნების გამოხატულება არ არის, არამედ უფრო პოლიტიკური ნაბიჯია იმისთვის, რომ ამ ტერიტორიებს დაეპატრონოს. თუმცა, კვლევის მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიების მოსახლეობაზე ვინმემ უნდა იზრუნოს და რაკი ეს რეგიონები რუსეთს აქვს ოკუპირებული, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა მოსახლეობის კეთილდღეობაზე;
- საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარმა (46%) ვერ დაასახელა რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთი კავკასიის ვერცერთი რესპუბლიკა, რომელიც კეთილგანწყობილია საქართველოს მიმართ. ერთი მეხუთედის თქმით, ჩრდილოეთი კავკასიის არცერთი რესპუბლიკა საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი არ არის. თვისებრივი მონაცემები ამ შედეგებს ადასტურებს, რადგან ბევრ რესპონდენტს საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკების უმეტესობის შესახებ. ისინი, ვინც გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ ჩრდილოეთი კავკასიის შესახებ, ყველაზე კეთილგანწყობილ რესპუბლიკად ინგუშეთს ასახელებდნენ. თუმცა, კვლევის მონაწილეებმა, ყველაზე მეტი, ჩეჩნეთის შესახებ ისაუბრეს. მათი მოსაზრებები ჩეჩნეთთან დაკავშირებით ორად გაიყო. ჩეჩენი ხალხის მიმართ უმეტესად დადებითი დამოკიდებულება დაფიქსირდა, ხოლო ჩეჩნეთის მთავრობის მიმართ - უარყოფითი, მისი, როგორც რუსეთის მსახურის როლის გამო;
- მოსახლეობის 43% მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებსა და საქართველოში ხალხი მსგავსია, 39%-ის აზრით - განსხვავებული. ისინი, ვინც მსგავსებას ხედავს (43%), ამის მიზეზად მსგავს კულტურას, წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებსა და/ან ღირებულებებს (58%), ხალხის ხასიათს (47%), და მსოფლმხედველობას ასახელებს (8%);
- ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებსა და საქართველოში ხალხი ერთმანეთისგან განსხვავდება (39%), ყველაზე ხშირად ამბობენ, რომ ადამიანები განსხვავდებიან კულტურის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების და/ან ღირებულებების (55%) მიხედვით. ამას მოსდევს რელიგია (40%), ხალხის ხასიათი (26%) და მსოფლმხედველობა (20%). რაოდენობრივი გამოკითხვის მსგავსად, აზრები ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს შორისაც

გაიყო. ზოგი ამბობდა, რომ ხალხი ერთმანეთის მსგავსია გარეგნობით, ტრადიციებით, წესჩვეულებებით, წარმოშობით, გენეტიკით, ღირებულებებით, ვაჟკაცობითა და სიმამაცით. დანარჩენები კი მთავარ განსხვავებად დასავლეთთან დაახლოების სურვილს ასახელებდნენ. ამასთან, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რელიგიის გარდა, ჩრდილოეთი კავკასიაში ხალხი მტკიცედ რუსულ გარემოშია, ხოლო საქართველო ევროპულ ღირებულებებს იზიარებს და მისკენ მიილტვის;

- ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ხაზს უსვამენ იმას, რომ კავკასიაში მშვიდობიანი ან დამოუკიდებელი და თავისუფალი რესპუბლიკების არსებობა რუსეთის ინტერესებში არ შედის. მათი თქმით, რუსეთი მუდმივად ერევა რეგიონის საქმეში და ცდილობს ახალი კონფლიქტებისა და დაძაბულობის შექმნას როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ კავკასიაში იმისთვის, რომ რეგიონზე საკუთარი გავლენა შეინარჩუნოს. რესპონდენტების თქმით, ჩვეულებრივ ხალხს, სამწუხაროდ, აზრს არავინ ეკითხება და არც იმის ძალა შესწევს, რომ მოაგვაროს კონფლიქტები ერთმანეთთან ან რეგიონში სხვა რესპუბლიკებსა და სახელმწიფოებთან.

1. შესავალი

მკვლევრები, აკადემიური სფეროსა და მთავრობის წარმომადგენლები საქართველოში გამუდმებით განიხილავენ რუსეთის ქმედებებს, პოლიტიკის მიზნებსა და ეროვნულ ინტერესებს და აქტიურად კამათობენ რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. მიუხედავად ამისა, ემპირიული მონაცემები, რომელიც საქართველოსა და რუსეთის მოსახლეობის წარმოდგენებისა და შეხედულებების კვლევას ეყრდნობა, საკმაოდ მწირია. საქართველოში რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის დამოკიდებულებების შესახებ მსჯელობენ ღია წყაროების მონაცემებზე, ან რუს კოლეგებთან ლიმიტირებულ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობის შედეგად.

ამ კონტექსტის გათვალისწინებით საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდმა (GFSIS) და ფრიდრიხ ებერტის ფონდმა (FES) საქართველოსა და რუსეთში კვლევა ჩაატარა იმისთვის, რომ შეეგროვებინა მონაცემები და უკეთესად შეესწავლა საზოგადოების დამოკიდებულება, წარმოდგენები და ცოდნა ორივე ქვეყანაში. საქართველოში კვლევა CRRC-საქართველომ ჩაატარა და ამისთვის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები გამოიყენა. კვლევა მოიცავდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვასა და ფოკუს ჯგუფებს და მიზნად ისახავდა საქართველოში რუსეთის მიმართ არსებული დამოკიდებულების და წარმოდგენების შესწავლას. მოცემული ანგარიში წარმოადგენს შეგროვებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შედეგებს.

კვლევის ფარგლებში მონაცემები შეგროვდა საქართველოში მცხოვრები ხალხის ცოდნის, დამოკიდებულების და წარმოდგენების შესახებ შემდეგ საკითხებზე:

- რუსები და რუსული პოლიტიკა;
- რუსეთის საშინაო პოლიტიკა;
- ინფორმაციის წყაროები რუსეთის შესახებ;
- საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა;
- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები;
- კონფლიქტური რეგიონები (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი)
- რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკები.

კვლევა 2021 წლის თებერვალში ჩატარდა. რაოდენობრივი გამოკითხვა საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის წარმომადგენლობითია, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით. საერთო ჯამში, 1851 რესპონდენტი გამოიკითხა. ცდომილების საშუალო ზღვარი 1.46%-ს შეადგენს. კვლევის თვისებრივი კომპონენტი მოიცავდა 24 ფოკუს ჯგუფს, რომელიც 12 ქალაქსა და/ან დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებთან ჩატარდა.

ანგარიშის მომდევნო სექციაში აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია. მას მოჰყვება კვლევის მიგნებები, რომელიც შვიდ ქვეთავადაა დაყოფილი: 1) დამოკიდებულებები რუსი ხალხისა და რუსეთის სახელმწიფოს მიმართ, 2) ცოდნა და წარმოდგენები რუსეთის შიდა პოლიტიკის შესახებ, 3) ინფორმაციის წყაროები რუსეთის შესახებ, 4) საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, 5) საზოგადოების პერსპექტივა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე, 6) ცოდნა და წარმოდგენები საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შესახებ და 7) დამოკიდებულებები ჩრდილოეთი კავკასიის მიმართ. ანგარიში სრულდება კვლევის ძირითადი დასკვნებით.

2. მეთოდოლოგია

ზემოთ აღწერილი საკვლევი საკითხების შესასწავლად, CRRC-საქართველომ კვლევა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ჩაატარა. სატელეფონო გამოკითხვა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე 2021 წლის 9-დან 16 თებერვლამდე პერიოდში ჩატარდა. გამოყენებულ იქნა მარტივი შემთხვევითი შერჩევა, შემთხვევითი ნომრის აკრეფვის მეთოდით.

რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში სულ 1851 რესპონდენტი გამოიკითხა. მონაცემები საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის წარმომადგენლობითია, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით. გამოკითხვა ასევე წარმომადგენლობითია დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისთვის. კვლევის საშუალო ცდომილება 1.46%-ს შეადგენს. ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები შეწონილია და გაანალიზებულია დასახლების ტიპის (დედაქალაქი, ქალაქი, სოფელი) და ასაკობრივი ჯგუფების (18-34, 35-54, 55+) მიხედვით. სიხშირეები და კროსტაბულაციები (ჯვარედინი ცხრილები), რომელიც ძირითად ტექსტში ვერ მოხვდა, წარმოდგენილია პირველ დანართში.

კვლევის თვისებრივი კომპონენტი შედგებოდა 24 ფოკუს ჯგუფისგან, რომლებიც 8-დან 23 თებერვლამდე პერიოდში ჩატარდა. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეები საქართველოს 12 სხვადასხვა ლოკაციიდან იყვნენ:

1. თბილისი (ურბანული)
2. შიდა ქართლის სოფლები სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს (მაგალითად: დიცი, ნიქოზი, აძვი)
3. ზუგდიდი (ურბანული)
4. სამეგრელოს სოფლები აფხაზეთის საზღვართან ახლოს (მაგალითად, ტყაია, რუხი, ორსანტია)
5. ბათუმი (ურბანული)
6. აჭარის სოფლები
7. ქუთაისი (ურბანული)
8. იმერეთის სოფლები
9. თელავი (ურბანული)
10. კახეთის სოფლები
11. სამცხე-ჯავახეთი (ურბანული და სოფლის ტიპის დასახლება; სომხურენოვანი ეთნიკური უმცირესობა)
12. ქვემო ქართული (ურბანული და სოფლის ტიპის დასახლება; აზერბაიჯანულენოვანი ეთნიკური უმცირესობა.

თორმეტი ლოკაციიდან, ხუთი იყო ურბანული ტიპის დასახლება, ხუთი - სოფლის ტიპის დასახლება, ხოლო ორი ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას ფარავდა (როგორც ურბანულ, ისე სოფლის ტიპის დასახლებას). თითოეულ ლოკაციაზე ორი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა: ერთი 18-44 წლის ასაკის ადამიანებთან (ჯგუფი 1) და მეორე - მონაწილეებთან, რომლებიც 45 წლის ან უფროსი ასაკის იყვნენ (ჯგუფი 2). ფოკუს ჯგუფები „ზუმის“ ვიდეო კონფერენციის სისტემის გამოყენებით ჩატარდა. ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია მეორე დანართშია მოცემული.

3. შეხედულებები საქართველოდან: კვლევის მიგნებები

ანგარიშის ამ სექციაში წარმოდგენილია მიგნებები შემდეგ საკითხებზე: 1) რუსები და რუსული პოლიტიკა; 2) მოსაზრებები რუსეთის საშინაო პოლიტიკაზე; 3) ინფორმაციის წყაროები რუსეთის შესახებ; 4) საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა; 5) რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა; 6) კონფლიქტური რეგიონები (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) და 7) ჩრდილოეთი კავკასია. თითოეულ ამ საკითხზე კვლევის მიგნებები შესაბამის ქვეთავშია გაერთიანებული. თითოეული ქვეთავი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს, ისევე როგორც ძირითად მიგნებებს.

3.1. რუსები და რუსული პოლიტიკა

საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება რუსი ხალხისა და რუსეთის სახელმწიფოსა და რუსული პოლიტიკის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავდება. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი (52%) დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს რუსი ხალხის მიმართ, ხოლო რუსეთის ფედერაციის მიმართ დადებითი დამოკიდებულება ქართველების მხოლოდ მეექვსედს (18%) აქვს.

დიაგრამა 1: როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსეთისა და რუსების მიმართ? (%)



ფოკუს ჯგუფებშიც მსგავსი სურათი გამოიკვეთა. მონაწილეების თქმით, ხალხი არ უნდა განსაჯო მათი სახელმწიფოს ქმედებებისთვის. თუმცა, ზოგს რუსეთისა და რუსების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა იმ არგუმენტით, რომ სახელმწიფო ხალხის ანარეკლია. მიუხედავად ამისა, დამოკიდებულებების უმეტესობა ნეიტრალური ან დადებითი იყო და მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა გამოთქვა უარყოფითი აზრი რუსი ხალხის მიმართ. ამის საპირისპიროდ, რუსეთის სახელმწიფოს უმეტესობა უარყოფითად უყურებდა. ეს შეხედულება კარგადაა გადმოცემული შემდეგ ციტატაში:

> *„საკმაოდ ნეიტრალური დამოკიდებულება მაქვს [რუსი ხალხის მიმართ] იქიდან გამომდინარე, რომ ტურისტები როდესაც ჩამოდიან და მე რა კონტინგენტთანაც მაქვს შეხება... დადებითი განწყობით არიან ჩვენი ქვეყნის მიმართ... რუსეთი ოკუპანტია, კი ბატონო, მაგრამ ადამიანების დიფერენცირებაც უნდა მოხდეს [სახელმწიფოსგან], ჩემი აზრით" (ქალი, 29, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, აჭარა).*

ნეიტრალური დამოკიდებულება ძირითადად ეფუძნება რწმენას, რომ ყველა ერში არიან კარგი და ცუდი ადამიანები და ძნელია მთელი ერის ერთნაირად განსჯა. მსგავსი შეხედულების მქონე რესპონდენტებს უმეტესად სხვა ერების მიმართაც იგივენაირი დამოკიდებულება ჰქონდათ.

რუსების მიმართ დადებითი დამოკიდებულება ხშირად პირად ან სამსახურებრივ ურთიერთობას უკავშირდება. ვისაც რუსი ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები ჰყავს, ან რეგულარული შეხება აქვს რუს ტურისტებთან, ხშირად დადებით დამოკიდებულებას და სიყვარულსაც გამოხატავს რუსების მიმართ. დამოკიდებულება განსაკუთრებით დადებითია იმ რესპონდენტებს შორის, რომლებსაც საბჭოთა კავშირში ცხოვრების გამოცდილება აქვთ და რუსებთან მჭიდრო კავშირები ჰქონიათ. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს შორის, ხშირად, დადებითი დამოკიდებულება იმის შედეგიც იყო, რომ ხედავდნენ, რუსი ტურისტების უმრავლესობას რამდენად მოსწონდა საქართველო და ქართველები, და რამდენად აღფრთოვანებულნი იყვნენ ისინი ქართული სტუმარ-მასპინძლობით. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით, საქართველოში რუსი ტურისტების დიდი რაოდენობა ქვეყნის მიმართ რუსების დადებით განწყობაზე მიუთითებს. ეს შეხედულება უფრო ხშირი იყო იმ ლოკაციებზე, რომელიც ტურისტულ ბიზნესშია ჩართული. გარდა ამისა, რესპონდენტები, რომლებსაც დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ რუსების მიმართ, ხშირად ხაზს უსვამდნენ იმას, რომ მათი ოჯახის წევრები და მეგობრები რუსეთში, ისევე, როგორც საქართველოში ჩამოსული რუსი ტურისტები, რუსეთის პოლიტიკით უკმაყოფილოები იყვნენ.

> *„დადებითი [დამოკიდებულება მაქვს] იმიტომ, რომ ძალიან ბევრთან მაქვს სამსახურის მხრიდან შეხება, რუს მოსახლეობასთან, მითუმეტეს ტურისტებთან უფრო... ძალიან დეზინფორმაცია არის თვითონ მათ სახელმწიფოში... რომ ჩამოვიდნენ, აი, 360 გრადუსით სულ სხვა დახვდათ... სულ არ უნდათ, რომ მტრობა ჩამოყალიბდეს, მით უმეტეს, რაღაც მიწების გამო, რომელიც ნამდვილად საქართველოს ეკუთვნის. ურჩევნიათ იმ ხალხს, ვისთანაც მე პირადად შეხება მქონია, რომ ის ტერიტორიები საქართველოს დაუბრუნდეს 100%-ით და მათ და ჩვენ შორის იყოს თბილი ურთიერთობა" (მამაკაცი, 18-44, საშუალო განათლება, ეთნიკურად ქართველი, ბათუმი).*

რუსი ხალხის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ხშირად, რუსეთის სახელმწიფოს მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებიდან მომდინარეობს, და ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ხალხი ქმნის პოლიტიკას. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ რუს ტურისტებთან კონტაქტი უფრო ხშირად დადებით დამოკიდებულებას აყალიბებს, ზოგჯერ იგი უარყოფითი დამოკიდებულების გამომწვევიც ხდება. ფოკუს ჯგუფის ზოგი მონაწილე ამბობს, რომ რუს ტურისტებს ჯერ კიდევ საბჭოთა მენტალიტეტი აქვთ, საქართველოს ისევ რუსეთის პროვინციად მიიჩნევენ და ქართველებს ზემოდან უყურებენ. ზოგი იმასაც აცხადებს, რომ მტერი სახელმწიფოდან ხალხის გაშლილი ხელებით მიღება მორალურად

გაუმართლებელია. ამ შეხედულებების მიუხედავად, მონაწილეები აცხადებენ, რომ რუსების მიმართ აგრესიას არ ამჟღავნებენ.

> *„მოგეხსენებათ, რუსეთის პოლიტიკა სამი წყობის განმავლობაში არ შეცვლილა და მე ვთვლი, რომ ამ პოლიტიკის მთავარი შემოქმედი ისევ და ისევ არის ხალხი და ხალხის დაკვეთას ასრულებს ნებისმიერი ხელისუფლება. ერის დიდი ნაწილი ისეა მომართული ჩვენს მიმართ, როგორც არის მათი პოლიტიკა მომართული. ასე, რომ დადებით დამოკიდებულებას ვერ გამოვხატავ მე პირადად. ნუ, საუბარი არა მაქვს საქართველოში მცხოვრებ და საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ რუსებზე, რა თქმა უნდა" (მამაკაცი, 24, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, კახეთი).*

როგორც გამოკითხვის, ისე ფოკუს ჯგუფების მონაცემები აჩვენებს, რომ რუსების მიმართ დამოკიდებულება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავებულია. ორმოცდათხუთმეტი წლის და მეტი ასაკის ადამიანები უფრო დადებითად არიან განწყობილნი რუსი ხალხის მიმართ (61%), ვიდრე 35-54 წლის (50%) და უფრო ახალგაზრდა (18-34 წლის) მოქალაქეები (46%). ნეიტრალური დამოკიდებულებები ყველაზე ხშირია 18-34 წლის ასაკობრივ კატეგორიაში (49%), 35-54-თან (42%) და ყველაზე უფროს (55+ ასაკის) თაობასთან (29%) შედარებით. მცირეა მოსახლეობის წილი (10% ან ნაკლები), ვინც ნებისმიერ ასაკობრივ კატეგორიაში უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მცირე განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვითაც გვხვდება. თბილისის მოსახლეობა ოდნავ უფრო ხშირად ამჟღავნებს დადებით დამოკიდებულებას (55%), ვიდრე სოფლის მცხოვრებლები (49%).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, როგორც ურბანული დასახლებებიდან, ასევე სოფლებიდან, მიიჩნევენ, რომ მათ სამეზობლოსა თუ დასახლებაში, რუსი ხალხის მიმართ დამოკიდებულებები, უმეტესად, ნეიტრალური ან დადებითია. მათი აზრით, დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ასაკი. ყველა ასაკის ადამიანმა განაცხადა, რომ ახალგაზრდებს, რომლებიც ამჟამინდელი ოკუპაციისა და რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობის პირობებში გაიზარდნენ, უფრო უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ვისაც რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა ახსოვს. უფროსი ასაკის რესპონდენტები ამბობდნენ, რომ რუსებთან პირადი ურთიერთობების ნაკლებობის გამო, ახალგაზრდებს ხალხისა და პოლიტიკის ერთმანეთისგან გამიჯვნა უჭირთ. ახალგაზრდა რესპონდენტებმა აღნიშნეს, თუ რა ხშირად ესმით უფროსებისგან რუსებზე დადებითად საუბარი, იმაზე, თუ რა ხშირად მიდიოდნენ რუსეთში სამოგზაუროდ, და როგორ ენატრებათ ეს. უფროსი ასაკის რესპონდენტებმა თითქმის არაფერი თქვეს იმაზე, რომ რუსეთი ენატრებათ, მხოლოდ ზოგმა აღნიშნა, რომ ახსოვთ ის დრო, როცა მეტს მოგზაურობდნენ, ინტერაქცია და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობაც უფრო ხშირი იყო. მათ, ასევე, ხაზი გაუსვეს იმას, რომ ადრე უფრო ხშირი იყო მეგობრობაც რუს და ქართველ ხალხს შორის, რაც დღევანდელ ახალგაზრდებში საკმაოდ იშვიათია.

> *„მეზობლებისგან გამომდინარე ხო შეიძლება, უფრო გაღრმავდეს ეს ურთიერთობა და უკეთესი გავხადოთ. ხალხს ყველაფერი შეგვიძლია. პოლიტიკა პოლიტიკაა, მაგრამ ხალხის ძალა უსაზღვროა და ყველაფერი შეგვიძლია. მე ასე მგონია და ჩემი ასაკის ხალხს ასე გონია და თანამედროვე თინეიჯერებისთვის ცოტა სხვანაირი ხილია, რუსული ენაც არ იციან, ენაც ამოიღეს და საერთოდ ვერ წარმოუდგენიათ, რუსეთთან თუ შეიძლება რამე სხვა კავშირი რომ დავამყაროთ. ჩვენი ასაკის ადამიანებს გვაქვს ნოსტალგიური დამოკიდებულება პოლიტიკის გარეშე" (ქალი, 50, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო).*

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსა და ხალხის მიმართ დამოკიდებულებები განსხვავდება, თუკი რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა არ შეიცვლება, რესპონდენტების აზრით, ეს ხალხის დამოკიდებულებაზეც აისახება. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ხაზს უსვამენ იმას, რომ ორივე ქვეყანაში

ახალგაზრდები ისე გაიზარდნენ, რომ მეორე ქვეყნის შესახებ მხოლოდ უარყოფითი ესმით, და მხოლოდ სიძულვილს ხედავენ.

> *„რუსეთმა თუ პოლიტიკა არ შეცვალა ჩვენი ქვეყნების მიმართ, მისი პოლიტიკა და ხალხი, რაც არ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან, მაინც პოლიტიკა და ხალხი ერთმანეთს კვეთს და მე ვფიქრობ, რომ თუ პოლიტიკა არ შეიცვალა უახლოეს მომავალში, უკვე ეს ჩვენზეც აისახება და ჩვენს ურთიერთობებზეც... ისე იზრდება მომავალი თაობა, ახალგაზრდები, მათ უკვე ჩვენ მტერი ვგონივართ... და ეს პირიქით არის...” (მამაკაცი, 52, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ბათუმი).*

რუსეთის სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულებების თვალსაზრისით, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებები ნაკლებად გამოიკვეთა, თუმცა, განსხვავდებოდა შეხედულებები დასახლების ტიპების მიხედვით. დედაქალაქის მცხოვრებლები ყველაზე უარყოფითად განწყობილნი არიან რუსეთის ფედერაციის მიმართ: უმრავლესობა (59%) უარყოფით დამოკიდებულებას აფიქსირებს, მეოთხედი (25%) - ნეიტრალურს და 13% - დადებითს. სხვა ქალაქებში მცხოვრებთა თითქმის ნახევარი (46%) ამბობს, რომ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს რუსეთის სახელმწიფოს მიმართ და დაახლოებით მესამედი ნეიტრალურ დამოკიდებულებას ასახელებს. ქალაქის მოსახლეობისგან განსხვავებით, უარყოფით დამოკიდებულებას ნაკლებად ამჟღავნებენ სოფლების მცხოვრებლები (36%) (დიაგრამა 1).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შორის, ასევე, ხშირი იყო უარყოფითი დამოკიდებულებები რუსეთის სახელმწიფოსა და რუსული პოლიტიკის მიმართ. ეს დამოკიდებულება, ძირითადად, უკავშირდებოდა რუსეთის ექსპანსიური და იმპერიალისტური პოლიტიკის ისტორიულ გამოცდილებას, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას. რესპონდენტების თქმით:

- ისტორიულად რუსეთი საქართველოს მტერია;
- რუსეთი აგრესორია, რომელმაც გასულ საუკუნეში სამჯერ დაიწყო საქართველოსთან ომი;
- რუსეთს არასდროს უნდოდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა ყოფილიყო;
- რუსეთი საქართველოს ჯერ კიდევ ისე უყურებს, როგორც საკუთარ გუბერნიას;
- რუსეთს არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული, არამედ სხვა ქვეყნების ტერიტორიებიც ამ რეგიონში.

ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით, რესპონდენტები ამტკიცებენ, რომ რუსეთიდან მომავალი საფრთხის გამო, ხალხი საქართველოში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს და ვერც მომავალში იგრძნობს. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რუსეთი საფრთხეს არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ დანარჩენი მსოფლიოსთვისაც წარმოადგენს, რადგანაც საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სასამართლოებს უჭირთ რუსეთის ქმედებებზე გავლენის მოხდენა, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში.

> *„რუსეთში იცვლებოდა მმართველობის ფორმები, მაგრამ იგივე რჩებოდა მმართველობის მენტა-ლიტეტი. სამივე რუსეთს, ახლა რომელსაც ვიტყვი, საქართველოსთან ჰქონია შეხება, რა თქმა უნდა, უარყოფითი, მაგ დროს ვიყავით მათი გუბერნია, ოკუპირებული ვიყავით მაშინაც, ანექსირებული. შემდეგ იყო საბჭოთა კავშირი, რომელმაც 70 წელი ტყვეობაში გაგვატარა... ახლა არის ვითომ ფედერაციული რუსეთი, რომელსაც რესპუბლიკად აქვს თავი გამოცხადებული ვითომ, მაგრამ ისევ ისეთი არის, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი და მეფის რუსეთი და მათაც ვყავართ ოკუპირებული... ქვეყანას, რომელსაც შეეხო რუსეთი, დეგრადირების მეტი არაფერი უნახავს” (მამაკაცი, 20, სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, ზუგდიდი).*

რესპონდენტებმა ისაუბრეს რუსულ შოვინიზმზეც, მიუხედავად იმისა, დადებითად იყვნენ რუსი ხალხისადმი განწყობილი თუ უარყოფითად. უფროსი ასაკის რესპონდენტებმა, რომლებსაც რუსებთან ახლო კონტაქტი ჰქონია, განსაკუთრებით აღნიშნეს ეს საკითხი. მათი თქმით, რუსულ პოლიტიკას ყოველთვის ახასიათებდათ შოვინისტური მიდგომა და რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკაც სწორედ აქედან მომდინარეობს.

რუსეთისა და მისი პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულების განხილვისას, ერთმორწმუნეობის საკითხიც წამოიჭრა. რამდენიმე რესპონდენტმა თქვა, რომ საქართველომ უნდა დაივიწყოს საერთო მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგიის საფუძველზე რუსეთთან პარტნიორობის იდეა. გამოცდილება აჩვენებს, რომ საქართველოს ამან კარგი არაფერი მოუტანა და, ერთმორწმუნეობის მიუხედავად, რუსეთი საქართველოს ოკუპანტად დარჩა.

> *„25 წელი ცხოვრების სტაჟი მაქვს რუსეთში... ცუდი და კარგი არ გამოელევა არც რუსებს და არც ქართველებს... ბოლო პერიოდში, ერთი წლის წინათაც ვიყავი მოსკოვში, არ არის ასე იდეალურად მოწესრიგებული ურთიერთობა, მაგრამ ყოფით დონეზე ურთიერთობაში, სამეგობროსთან ის დამოკიდებულება რჩება ქართველ და რუსს შორის, მაგრამ ... შოვინისტები იყვნენ, არიან და იქნებიან, ალბათ დამოკიდებულებაში, ეს დიდი ერების ავადმყოფობაა, ჩემი აზრით.. ჩვენ ვერ გამოვედით იმ მდგომარეობიდან მართლმადიდებლობის ურთიერთობის, ისინი ჩვენი ძმები არიან და რეალურად ვერ ვაფასებთ" [მდგომარეობას]. (მამაკაცი, 55, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).*

ფოკუს ჯგუფის დისკუსიებში მონაწილე ეთნიკურად ქართველების უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოსა და პოლიტიკის მიმართ თითქმის ერთსულოვანი იყო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა კი უფრო მრავალფეროვანი მოსაზრებები დააფიქსირეს. ზოგს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა, რაც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას უკავშირდებოდა, ხოლო ზოგს - დადებითი იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ რუსეთი რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას ცდილობს. დადებითი დამოკიდებულება ზოგჯერ რესპონდენტების ოჯახის წევრების გამოცდილებას უკავშირდება, რომლებიც რუსეთში უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში ცხოვრობენ.

> *„დღეს რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, დიდი სამამულო ომის დაწყება არ დაუშვეს, რადგან ომი ბევრი ადამიანის დაღუპვას ნიშნავს... მომწონს, თუნდაც კავკასიაში, უნდა სტაბილურობა შეინარჩუნოს... რუსეთი ახლა დადებითი მიმართულებით ძალიან სწრაფად ვითარდება. რა თქმა უნდა, კარგია, პირადად მე პუტინის მიერ გატარებული პოლიტიკა ძალიან მომწონს, რუსეთს წინ წაიყვანს, განვითარების გზაზე დააყენებს" (მამაკაცი, 70, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ქვემო ქართლი).*

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის (54%) რუს ხალხთან კომუნიკაციის ენა რუსულია. რუსებთან კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებული ენაა რუსული ყველა ასაკობრივ ჯგუფსა და დასახლების ტიპში, მცირე ვარიაციით. თუკი 35 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა რუსებთან კომუნიკაციისთვის უმეტესად რუსულ ენას იყენებს და თითქმის არასდროს - ინგლისურ ენას, 18-34 წლის ასაკის ახალგაზრდები კომუნიკაციის ენად ინგლისურსაც ასახელებენ. სოფლებში ნაკლები ადამიანი ამბობს, რომ კომუნიკაცია რუსულ ენაზე აქვს, რადგან, დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მცხოვრებლებთან შედარებით, ისედაც ნაკლებად აქვთ რუსებთან რაიმე სახის კომუნიკაცია. საერთო ჯამში, ქართველების მესამედი (33%) ამბობს, რომ რუს ხალხთან არანაირი კომუნიკაცია არ აქვს (ცხრილი 1).

ცხრილი 1. როგორც წესი, რა ენაზე გაქვთ კომუნიკაცია რუს ხალხთან? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
რუსულად	45%	58%	58%	64%	58%	44%	54%
ინგლისურად	7%	1%	0%	5%	3%	1%	2%
გააჩნია/ხან ასე, ხან ისე	12%	7%	5%	7%	5%	10%	8%
ქართულად	4%	2%	1%	2%	2%	3%	2%
სხვა ენაზე	1%	0%	0%	0%	0%	0%	0%
რუს ხალხთან კომუნიკაცია არ მაქვს	32%	31%	36%	22%	32%	42%	33%
არ ვიცი	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
უარი პასუხზე	0%	0%	0%	0%	1%	0%	0%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

ფოკუს ჯგუფების დროს, ასევე, გამოიკვეთა, რომ ქართველები რუსებთან კომუნიკაციისთვის ყველაზე ხშირად რუსული ენას იყენებენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც რუს ტურისტებთან ურთიერთობას ეხება საქმე. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ოკუპანტის ენისთვის თავის არიდების მიზნით, ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია უკეთესია. ნაწილი კი, პირიქით, მნიშვნელოვნად მიიჩნევს რუსული ენის ფლობას, რუსეთიდან და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტებთან კომუნიკაციისთვის.

> *„თუ განვიხილავთ რუსულ ენას ტურიზმის მხრივ, ამ შემთხვევაში აუცილებელი არის, ზოგადად, რუსული ენის ცოდნა, არა მარტო იქიდან გამომდინარე, რომ, მოდი, მოვიყვანოთ ფაქტი, რაც დადასტურებული არის, ანუ სანამ კოვიდი დაიწყებოდა, 2019 წელს ყველაზე მეტი ტურისტი საქართველოში შემოვიდა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ძირითადად საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან და მათი სასაუბრო ენა არის რუსული" (მამაკაცი, 23, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, იმერეთი).*

რესპონდენტების თქმით, ზოგჯერ რუსი ტურისტები აგრესიას გამოხატავენ ქართველების მიმართ, ვინც რუსულად არ ლაპარაკობს, რადგანაც მოლოდინი აქვთ, რომ ქართველები მათ ენაზე უნდა საუბრობდნენ.

> *„ჩვენს ოჯახში, ღვინის შესაძენად ხშირად შედის რუსი ტურისტი და მას ძირითადად, რუსულად ვესაუბრებით, რა თქმა უნდა. რატომ არ იქნება კმაყოფილი, როცა სხვა ქვეყანაში ჩემს ენაზე მესაუბრება სტუმარი, მასპინძელი, იქნება კმაყოფილი, მაგალითად, ქართველს არავინ დახვდება, ხო, უცხოეთში? შეიძლება არაფერი გითხრას, მაგრამ მე ბევრჯერ მსმენია, ქართველმა, რომელმაც არ იცის რუსული, როგორი აგრესიით ეპყრობა რუსი..." (ქალი, 34, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, კახეთი).*

საკომუნიკაციო ენის განხილვისას საქართველოში მცხოვრები რუსების საკითხიც წამოიჭრა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ რუსების მთელი თაობები ცხოვრობდნენ საქართველოში და ქართულად საუბარი არ შეეძლოთ. ზოგჯერ იმის შთაბეჭდილებაც რჩებოდა, რომ ქართულის სწავლას არც ცდილობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ქართველები მათ რუსულად დაელაპარაკებოდნენ. ზოგი რესპონდენტი ამ აზრს ეწინააღმდეგებოდა. რუსულის ცოდნის მიუხედავად, ისინი ცდილობდნენ, თავი აერიდებინათ რუსულ ენაზე საუბრისთვის, რადგანაც, მათი აზრით, ქართულის სწავლა აუცილებელია სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის, რომელთა უკვე რამდენიმე თაობა საქართველოში ცხოვრობს.

„თაობები ცხოვრობენ საქართველოში და ერთი ქართული სიტყვა არ იციან, რის მიმართაც საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება მაქვს და მე არასდროს ვესაუბრები მათ რუსულ ენაზე, საკუთარ ქვეყანაში, პირიქით, ესენი უნდა დამელაპარაკონ ქართულად. ეს პრობლემა დიდი ხანია დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე, შეიძლება ცხოვრობდნენ საუკუნეზე მეტი აქ, გავიდეს თაობები, მაგრამ ერთი ქართული სიტყვა არ იცოდნენ. არ ვიცი, ალბათ, ბევრი შეგნებულად არ სწავლობს" (მამაკაცი, 22, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, აჭარა).

ძირითადი მიგნებები:

- მოსახლეობის ნახევარი (52%) დადებითადაა განწყობილი რუსი ხალხის მიმართ, 39%-ს კი ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს. უარყოფითად მხოლოდ მოსახლეობის 7%-ია განწყობილი. ფოკუს ჯგუფებში გამოჩნდა, რომ დადებითი დამოკიდებულება უმეტესად პირად ან პროფესიულ ურთიერთობას, ქართველებსა და რუსებს შორის ორმხრივად დადებით დამოკიდებულებას და ხალხს შორის წარსულში მჭიდრო კავშირების ქონას უკავშირდება.
- ნეიტრალური დამოკიდებულება უმეტესად იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ ნებისმიერ ქვეყანაში არიან კარგი და ცუდი ადამიანები, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულება უფრო რუსული სახელმწიფოს მიმართ დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს და იმ მოსაზრებას ეყრდნობა, რომ სახელმწიფო ხალხის აზრს გამოხატავს;
- სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, 55 და უფროსი ასაკის ადამიანები უფრო დადებითად არიან განწყობილნი რუსების მიმართ. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმაც აღნიშნეს ასაკობრივი განსხვავებები და ეს იმით ახსნეს, რომ რუსებთან პირადი ურთიერთობის გამოცდილების ნაკლებობის გამო, ახალგაზრდები რუსეთს მის მთავრობასთან აიგივებენ და მისგან მხოლოდ ძალადობა, ომი და ოკუპაცია ახსოვთ;
- მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, მოსახლეობა უარყოფითად ან ნეიტრალურადაა განწყობილი რუსული სახელმწიფოს მიმართ, დამოკიდებულებები განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვით. უარყოფითი დამოკიდებულება ყველაზე ხშირია თბილისელებს შორის, სხვა ქალაქებში და სოფლებში მცხოვრებ ადამიანებთან შედარებით;
- საქართველოში მცხოვრებთა უმრავლესობისთვის რუსებთან კომუნიკაციის ყველაზე პოპულარული ენა რუსულია. ხოლო მოსახლეობის დაახლოებით მესამედის თქმით, მათ რუსებთან არანაირი კომუნიკაცია არ აქვთ.

3.2. რუსეთის საშინაო პოლიტიკა

რუსეთის საშინაო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულებები გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო. გამოკითხვის მონაცემები აჩვენებს, რომ მოსახლეობის ნახევრზე მეტის (56%) აზრით, რუსეთი ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება. მხოლოდ მოსახლეობის 10% ფიქრობს, რომ რუსეთი სწორი მიმართულებით მიდის. მოსახლეობის დაახლოებით მესამედს (30%) ამ საკითხის შეფასება გაუჭირდა. ასეთი წარმოდგენები დომინირებს ყველა ასაკობრივ ჯგუფსა და ყველა ტიპის დასახლებაში, თუმცა, 54 წელს გადაცილებულ მოსახლეობას უფრო ჩამოყალიბებული აზრი აქვს: მათგან მხოლოდ მეოთხედმა განაცხადა, რომ არ იცის, თუ როგორი მიმართულებით ვითარდება რუსეთი. ახალგაზრდები (18-34 წლის) უფრო მეტად ამბობდნენ, რომ არ იციან, რუსეთი სწორი მიმართულებით ვითარდება თუ არასწორით.

დიაგრამა 2: როგორი მიმართულებით ვითარდება რუსეთი ამჟამად? (%)



რაც შეეხება პრობლემებსა და საფრთხეებს, რის წინაშეც რუსეთი ამჟამად დგას, ქართველები უფრო ხშირად (43%) საგარეო საკითხებს და საერთაშორისო კონფლიქტებს/სანქციებს (ცუდ ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან და დასავლეთთან) ასახელებენ. ამას მოსდევს ადამიანის უფლებები და დემოკრატია (25%), ეკონომიკური და სოციალური საკითხები (14%), კრიმინალი (13%) და ჯანდაცვა (8%). ქართველების მხოლოდ 3% მიიჩნევს, რომ რუსეთი ამჟამად არანაირი პრობლემისა და საფრთხის წინაშე არ დგას (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3: რა ძირითადი პრობლემების ან საფრთხეების წინაშე დგას რუსეთი ამჟამად? (%)



შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის გაცემა. შესაბამისად, პროცენტების ჯამი 100-ს აღემატება.

დასახელებული პრობლემები მნიშვნელოვნად არ იცვლება ასაკობრივი ჯგუფებისა და დასახლების ტიპების მიხედვით. თუმცა, თბილისის მცხოვრებლები მთავარ პრობლემად უფრო ხშირად ასახელებენ ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას (33%), ვიდრე სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობა (24% და 20%, შესაბამისი თანმიმდევრობით) (ცხრილი 2).

ცხრილი 2. თქვენი აზრით, რა ძირითადი პრობლემების ან საფრთხეების წინაშე დგას რუსეთი ამჟამად? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
საგარეო საკითხები და საერთაშორისო კონფლიქტები/ სანქციები (მეზობელ ქვეყნებთან და დასავლეთთან ურთიერთობის გაფუჭება)	45%	43%	40%	46%	44%	40%	43%
ადამიანის უფლებები და დემოკრატია	24%	29%	22%	33%	24%	20%	25%
ეკონომიკა და სოციალური პრობლემები	11%	15%	17%	17%	15%	12%	14%
დანაშაული და კრიმინალი	13%	14%	13%	16%	14%	12%	13%
ჯანდაცვა (კოვიდის ჩათვლით)	10%	7%	7%	6%	10%	8%	8%
განათლება	3%	2%	0%	2%	1%	1%	2%
გარემოს დაცვა	1%	1%	0%	1%	1%	1%	1%
სხვა	0%	1%	1%	1%	1%	0%	1%
ყველაფერი	4%	5%	4%	5%	5%	4%	5%
რუსეთი არანაირი პრობლემის ან საფრთხის წინაშე არ დგას	3%	3%	4%	4%	3%	4%	3%
არ ვიცი	29%	28%	30%	26%	26%	33%	29%
უარი პასუხზე	0%	1%	1%	1%	1%	1%	1%

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შორის საკმაოდ მრავალფეროვანი ინფორმაცია და წარმოდგენები გაჟღერდა რუსეთში არსებულ ამჟამინდელ მდგომარეობაზე. ზოგის თქმით, რუსეთში არაფერი იცვლება: ქვეყანა არ ვითარდება, რუსეთს ჰყავს ტოტალიტარული მთავრობა, რომელიც თავის ხალხს ტერორსა და შიშში ამყოფებს და რუსეთი არც კი ცდილობს, ფეხი აუწყოს თანამედროვე მსოფლიოს. რესპონდენტები ხშირად საუბრობდნენ რუსეთის დაძაბულ ურთიერთობაზე დასავლეთთან და სანქციებზე რუსეთის წინააღმდეგ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: „პროტესტის მიმართულება დაკარგა რუსმა ხალხმა, მე ესე ვფიქრობ... ზოგადად, ყველანაირად არასწორი მიმართულება აქვთ, ჩემი გადმოსახედიდან, ანუ არ ვითარდება, თვითონ ქვეყანა ვერ ვითარდება, სულიერად ვერ ვითარდება, დემოკრატიულად ვერ ვითარდება, ანუ მათთვის ის რაღაც ჩარჩოებია, კომუნისტური, რომელშიც ჩარჩენილები არიან და... ხელისუფლების გამო ვერ ხერხდება ამ ჩარჩოებიდან გამოსვლა...“ (ქალი, 49, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).

ფოკუს ჯგუფების ზოგი მონაწილე მიიჩნევს, რომ რუსეთი საკმაოდ განვითარებულია ბევრი მიმართულებით, მაგალითად, ტექნოლოგიების, სამხედრო, ეკონომიკურ, და კულტურულ სფეროებში. მიუხედავად ამისა, ისინიც კი, ვინც რუსეთში გარკვეულ განვითარებას ამჩნევს და მას ძლიერ სახელმწიფოდ მიიჩნევს, აკრიტიკებს რუსეთს დემოკრატიის ხარისხისა და წარმოებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გამო: „რუსეთს ძალიან უარყოფითი პოლიტიკა აქვს“, „რუსეთი პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას“, „ერთადერთი პრობლემა იქ სიტყვის თავისუფლებაა“, „დემოკრატია კვლავ გამოწვევად რჩება“, „დემოკრატიული რომ იყოს, წამყვანი ქვეყანა იქნებოდა“, „თავისუფლებისმოყვარე ხალხს ასეთი პოლიტიკა არ უყვარს“, „რეფორმები არ ხორციელდება“, „რუსეთი ოკუპანტია“.

პოლიტიკასთან დაკავშირებით, ფოკუს ჯგუფებში განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: არადემოკ-რატიული მმართველობა, ადამიანის უფლებების დარღვევები და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა. რესპონდენტები აცხადებდნენ, რომ რუსეთი მონარქიაა, ავტორიტარული სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს პატივს არ სცემს, და თანამედროვე მსოფლიოს ფეხს ვერ უწყობს. ხშირად ახსენებდნენ თავისუფალი მედიის არარსებობას და ამბობდნენ, რომ ქვეყანაში ინფორმაციული ვაკუუმია, რადგანაც ოპოზიციურ სატელევიზიო არხებს, რომლებიც ისედაც შეზღუდული რაოდენობითაა რუსეთში, ავიწროებენ. დემოკრატიული კულტურა სუსტია და მათ, ვინც ხელისუფლებას აკრიტიკებს ან ეწინააღმდეგება, ასევე ავიწროებენ. რესპონდენტების თქმით, ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, რუსეთში დემოკრატიული პროცესების განვითარებას წლები დასჭირდება. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ფიქრობენ, რომ რუსული მედია საქართველოს შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებს და ხშირად ამბობს, რომ 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო. ასევე, უარყოფით სტერეოტიპებს ავრცელებს ქართველების შესახებ: „თვითონ რუსეთში არ ვარ ნამყოფი... მაგრამ, რაც გარედან ჩანს, დიქტატორი პრეზიდენტი და მთავრობა ჰყავთ და მათი აზრი შეზღუდულია. ეს გავლენას ახდენს ერის განვითარებაზე, როცა ჩარჩოებში ხარ მოქცეული და გეუბნებიან, რომ ესე უნდა იაზროვნო და იმის იქით არ გაქვს თავისუფალი აზრის გამოთქმის უფლება, მედიაზეც აისახება ეს ყველაფერი და ჩვენ ამას ტელევიზიითაც ვხედავთ“ (ქალი, 33, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ბათუმი).

განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა რუსი ხალხის დამოკიდებულებაზე რუსული პოლიტიკის მიმართ. ვისაც რუსეთში ბოლო პერიოდში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე ინფორმაცია აქვს, ამტკიცებს, რომ რუსი ხალხი დაიღალა და უკმაყოფილოა ხელისუფლებითა და მისი პოლიტიკით. სხვა რესპონდენტების აზრით, რუსები პუტინით და რუსეთის შოვინისტური პოლიტიკით კმაყოფილები არიან. ამასთან დაკავშირებით, ასევე, ახსენეს რუსული საზოგადოების დაბალი ცნობიერება და საბჭოთა მენტალიტეტის მდგრადობა. ზოგი რესპონდენტის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პუტინის ექსპანსიური პოლიტიკა, შეიძლება, მისი მეზობლებისთვის, და მათ შორის საქართველოსთვის, უარყოფითი იყოს, რუსებს მოსწონთ ეს პოლიტიკა და შესაბამისად, პუტინიც.

„დღეს საკმაოდ პოლიტიკური აქტივობა შეინიშნება რუსეთში. საზოგადოებას, როგორც ამ იმპერიის მოსახლეობას, მოსწყინდა ის ცხოვრების წესი, რა ცხოვრების წესითაც ისინი აცხოვრეს აქამდე. ეს პროტესტი აშკარაა და აღარ მაგრდება სახლებში. ადამიანები მასობრივად გამოდიან ქუჩებში პროტესტის გამოსახატად, მათ მოსწყინდათ. რა მოსწყინდათ ეს შეიძლება კვლევის საგანი იყოს, კონკრეტულად მათ რა არ მოსწონთ, მაგრამ ფაქტია, რომ მათ პუტინი არ მოსწონთ, პუტინის მართველობის პოლიტიკა. რაც გამოიხატება არამარტო მეზობლების ანუ ჩვენნაირი ქვეყნების, როგორიც არის აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსი, შუა აზიის რესპუბლიკების კოლონიზაციის მცდელობაში, არამედ მათ არ მოსწონთ შიდა პოლიტიკა. შიდა პოლიტიკა ეს არის ადამიანის უფლებების და თავისუფლების მაქსიმალური შეზღუდვა, რომ არის ოლიგარქების მმართველობა, ხელი არ მიუწვდება ადამიანს იმაზე, რომ გახდეს მდიდარი" (მამაკაცი, 56, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

რუსეთში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე განსხვავებული მოსაზრებები გაჟღერდა. ზოგი რესპონდენტის თქმით, რუსეთი უზარმაზარია და შეუძლებელია, იცოდე, ხალხი როგორ ცხოვრობს იქ. ზოგმა რესპონდენტმა რუსეთში არსებული მდგომარეობა საქართველოსთან შედარებით შეაფასა და განაცხადა, რომ რუსები უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე ქართველები. სხვების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ დიდ ქალაქში ეკონომიკა ყვავის, ზოგადად რუსეთში უკიდურესი სიღარიბეა.

„რეალურად, რუსეთის სახელმწიფოს და ხალხს ძალიან ბევრი პრობლემები აქვს. აი, რომ ავიღოთ სოციალური პოლიტიკა, საოცრად მძიმე სიტუაციაა. რა თქმა უნდა, იქაც ეს დაყოფა არსებობს, მდიდრების და ღარიბების, მაგრამ სოციალური ფონი ძალიან დაბალია და თვითონ ხელისუფლება თავის ხალხზეც არ ზრუნავს. ახლა გასაგებია, რომ აგრესორები არიან და დამპყრობლები, მარა მათი დამოკიდებულება თვითონ რუსი ხალხის მიმართაც ძალიან ცუდია... რუსი მოსახლეობა ძალიან ცუდ დღეშია და ხშირ შემთხვევაში ბევრად უარესში, ვიდრე შეიძლება ქართველების დიდი ნაწილი იყოს" (ქალი, 42, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, კახეთი).

ძირითადი მიგნებები:

- მოსახლეობის ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ რუსეთი ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება, ხოლო ერთ მესამედს უჭირს იმის განსაზღვრა, თუ როგორი მიმართულებით ვითარ-დება რუსეთი. ათიდან ერთ ადამიანს სჯერა, რომ რუსეთი სწორი მიმართულებით მიდის და ამ მხრივ დასახლების სხვადასხვა ტიპს მიხედვით განსხვავება არ გამოვლინდა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეების თქმით, რუსეთი თანამედროვე მსოფლიოს ფეხს ვერ უწყობს და დასავლეთთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. ვინც რუსეთს ბევრი მიმართულებით განვითარებულ ქვეყნად მიიჩნევს, მაინც აკრიტიკებს მას ქვეყანაში დემოკრატიის დაბალი ხარისხისა და აგრესიული საგარეო პოლიტიკის გამო.
- ქართული საზოგადოება რუსეთის სამ ძირითად პრობლემად მიიჩნევს საგარეო საკითხებს, ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას, და ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა, ასევე, ისაუბრეს საშინაო და საგარეო პრობლემებზე, რის წინაშეც რუსეთი დგას და ხაზი გაუსვეს სიტყვის თავისუფლების ნაკლებობასა და დეზინფორმაციას საქართველოს შესახებ, ოპოზიციის შევიწროებას და რუსული საზოგადოების დაყოფას პუტინის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, ასევე, რუსეთის დიდი ქალაქების მიღმა არსებულ უკიდურეს სიღარიბეს.

3.3. ინფორმაციის წყაროები

მოსახლეობის მესამედზე მეტი (37%) აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაცია არ აქვს. ეს კავშირშია ზემოთ განხილულ მიგნებებთან, რომ მოსახლეობის დაახლოებით მესამედს (30%) უჭირს იმის შეფასება, თუ როგორი მიმართულებით ვითარდება რუსეთი ან იმის დასახელება, თუ რა ძირითადი პრობლემების წინაშე დგას რუსეთი ამჟამად. მოსახლეობის უმეტესობა (41%) ამბობს, რომ რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებზე მხოლოდ მცირე ინფორმაცია აქვს, და მოსახლეობის დაახლოებით ერთი მეხუთედი (19%) აცხადებს, რომ სრულად ან საკმაოდ ინფორმირებულია (დიაგრამა 4).

მცირე განსხვავებები გამოიკვეთა ასაკობრივ ჯგუფებსა და დასახლების ტიპებს შორის. ახალგაზრდები (18-34 წლის), მათზე უფროს თაობებთან შედარებით, ნაკლებად ხშირად (13%) ამბობენ, რომ სრულად ან საკმაოდ ინფორმირებული არიან და უფრო ხშირად (43%) ამბობენ, რომ საერთოდ არ არიან ინფორმირებული რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ (დიაგრამა 4). რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმირებულობა უფრო ხშირია თბილისის მცხოვრებლებში (25%), ვიდრე სხვა ქალაქების (20%) ან სოფლების (16%) მოსახლეობაში.

დიაგრამა 4: რამდენად ინფორმირებული ხართ რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (%)



მათ შორის, ვინც თქვა, რომ გარკვეულწილად მაინც იღებს ინფორმაციას რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებზე (61%), ინფორმაციის ყველაზე პოპულარული წყარო ტელევიზია იყო (ონლაინ გადაცემების გარდა) (69%). ამას მოსდევდა სოციალური ქსელები (37%), მედია საშუალებების ვებგვერდები (14%), რუსეთში მცხოვრები ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები ან კოლეგები (12%) და საქართველოში მცხოვრები ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები ან კოლეგები (6%). ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ბეჭდურ მედიასა და რადიოს მოსახლეობის მხოლოდ მცირე წილი ასახელებს (ცხრილი 3).

ცხრილი 3. როდესაც საქმე რუსეთში მიმდინარე მოვლენებს ეხება, რა არის თქვენთვის ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო/წყაროები? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ტელევიზია (ონლაინ გადაცემების გარდა)	51%	67%	85%	58%	73%	75%	69%
სოციალური ქსელები	59%	43%	14%	47%	38%	28%	37%
მედია საშუალებების ვებგვერდები	21%	16%	6%	20%	11%	11%	14%
რუსეთში მყოფი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, კოლეგები	8%	15%	13%	14%	10%	12%	12%
საქართველოში მყოფი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები, კოლეგები	7%	6%	6%	5%	4%	8%	6%
გაზეთები/ჟურნალები (ონლაინ ვერსიების გარდა)	1%	1%	4%	2%	1%	2%	2%
რადიო (ონლაინ გადაცემების გარდა)	0%	1%	1%	1%	0%	1%	1%
საგანმანათლებლო დაწესებულებები	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
სხვა	1%	1%	0%	1%	1%	0%	1%
არ ვიცი	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
უარი პასუხზე	1%	0%	1%	0%	1%	0%	0%

კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ სრულად, საკმაოდ ან ნაკლებად/მცირედით ინფორმირებულია რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ - 61%

რუსეთის ფედერაციის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფებისა და დასახლების ტიპების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიას ინ-ფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად იყენებენ, მისი მოხმარება უფროსი ასაკის ადამიანებში უფრო გავრცელებულია. ამის საპირისპიროდ, ახალგაზრდები უფრო ხშირად სოციალურ ქსელებს ასახელებენ. დედაქალაქში მცხოვრები ინფორმირებული საზოგადოების ნახევარზე მეტი (58%) რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის წყაროდ ტელევიზიას ასახელებს. თუმცა, ტელევიზიას კიდევ უფრო მეტი მომხმარებელი სხვა ქალაქებსა (73%) და სოფლის ტიპის დასახლებებში (75%) ყავს. სოციალური ქსელებით ინფორმაციის მიღება ყველაზე მეტად გავრცელებულია დედაქალაქში, შემდეგ სხვა ქალაქებსა (38%) და სოფლებში (28%) (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5: ინფორმაციის მთავარი წყაროები რუსეთის შესახებ ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით (%)



შენიშვნა: დაშვებული იყო რამდენიმე პასუხის არჩევა. შესაბამისად, მთლიანი პროცენტული ჯამი 100%-ს აღემატება. პროცენტები დათვლილია 61%-დან, ვინც თქვა, რომ სრულად, საკმაოდ ან ნაკლებად/მცირედით ინფორმირებულია რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ვინც თავს რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირებულად მიიჩნევს, ინფორმაციას უფრო ხშირად იღებს რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებსა და/ან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ საკითხებზე (40%). ამას მოსდევს ინფორმაცია რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე (36%), რუსეთის საშინაო პოლიტიკაზე (27%), ეკონომიკაზე (20%), კულტურაზე (13%), კრიმინალზე (10%), და ტურიზმზე (9%). ამავდროულად, 16% ამბობს, რომ ინფორმაციას ყველაფერზე იღებს (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6: რა ტიპის ინფორმაციას იღებთ რუსეთთან დაკავშირებით? (%)



შენიშვნა: დაშვებული იყო რამდენიმე პასუხის არჩევა. შესაბამისად, მთლიანი პროცენტული ჯამი 100%-ს აღემატება. პროცენტები დათვლილია 61%-დან, ვინც თქვა, რომ სრულად, საკმაოდ ან ნაკლებად/მცირედით ინფორმირებულია რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

მიღებული ინფორმაცია არ განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, თუმცა, გარკვეული განსხვავებები გამოვლინდა დასახლების ტიპებს შორის. დედაქალაქის მცხოვრებლები მცირედით უფრო ინფორმირებულნი (43%) არიან რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, ვიდრე სხვა ქალაქების (35%), და სოფლების მოსახლეობა (32%). ამის მსგავსად, თბილისელები უფრო მეტად ამბობენ, რომ იღებენ ინფორმაციას რუსეთის საშინაო პოლიტიკაზე (32%), ვიდრე სოფელში მცხოვრებნი (23%). სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა მეტ-ნაკლებად თანაბრად აქვთ ყველა ტიპის დასახლებაში მცხოვრებ ადამიანებს (ცხრილი 4).

ცხრილი 4. როგორც წესი, რა ტიპის ინფორმაციას იღებთ რუსეთთან დაკავშირებით? ეს ინფორმაცია არის ... (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
რუსეთიდან წამოსულ საფრთხეებზე/აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ საკითხებზე	38%	43%	38%	41%	41%	38%	40%
რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე	34%	36%	39%	43%	35%	32%	36%
რუსეთის საშინაო პოლიტიკაზე	27%	27%	27%	32%	29%	23%	27%
ეკონომიკაზე	21%	20%	19%	18%	22%	21%	20%
კულტურაზე	12%	14%	12%	16%	9%	12%	13%
დანაშაულზე ან კრიმინალზე	13%	9%	9%	13%	10%	8%	10%
ტურიზმზე	9%	11%	8%	13%	8%	7%	9%
სხვა	0%	3%	2%	3%	2%	1%	2%
ყველაფერზე	14%	15%	19%	17%	16%	16%	16%
არ ვიცი	3%	2%	3%	0%	3%	4%	2%
უარი პასუხზე	1%	1%	1%	0%	1%	1%	1%

კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ სრულად, საკმაოდ ან ნაკლებად/მცირედით ინფორმირებულია რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ - 61%

მოსახლეობის დიდი ნაწილი (59%) რუსეთის ფედერაციის შესახებ მიღებულ ინფორმაციას ძირითადად უარყოფითად აფასებს. მიღებულ ინფორმაციას ძირითადად დადებითად მხოლოდ 15% აღიქვამს. მეხუთედზე ოდნავ მეტი ამბობს, რომ მიღებული ინფორმაცია ნეიტრალურია (დიაგრამა 7). მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა ყველა ასაკობრივი კატეგორიასა და დასახლების ტიპის წარმომადგენელს შორის მიღებულ ინფორმაციას უარყოფითად აღიქვამს, ჯგუფებს შორის გარკვეული განსხვავებები მაინც გამოიკვეთა. ახალგაზრდები (62%) და 35-54 წლის ადამიანები (61%) უფრო ხშირად ამბობენ, რომ მათ მიერ მიღებული ინფორმაცია უარყოფითია, ვიდრე 55 წლის და უფროსი ასაკის ხალხი (55%). განსხვავებები უფრო შესამჩნევია სხვადასხვა დასახლებაში. სოფლების მცხოვრებნი უფრო ხშირად აღიქვამენ მიღებულ ინფორმაციას დადებითად (21%) და უფრო იშვიათად - უარყოფითად (51%), ვიდრე დედაქალაქის მცხოვრებლები (12% და 65%, შესაბამისი თანმიმდევრობით), და სხვა ქალაქების მოსახლეობა (10% და 66%, შესაბამისი თანმიმდევრობით) (დიაგრამა 7).

დიაგრამა 7: ინფორმაცია, რომელსაც რუსეთის ფედერაციის შესახებ იღებთ, ძირითადად დადებითია თუ უარყოფითი? (%)



შენიშვნა: პასუხები დათვლილია 61%-დან, ვინც თქვა, რომ სრულად, საკმაოდ ან ნაკლებად/მცირედით ინფორმირებულია რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ინტერესს რუსეთში არსებული მდგომარეობის მიმართ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებიც აფიქსირებენ. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ რუსეთი მეზობელი ქვეყანაა და იქ განვითარებული მოვლენები საქართველოზეც ახდენს გავლენას. მათი თქმით, ეს გავლენა პოლიტიკურიცაა და ეკონომიკურიც, რადგანაც საქართველო რუსულ ბაზარზეა დამოკიდებული. რესპონდენტების ვარაუდით, თუკი პოლიტიკური სიტუაცია არ შეიცვლება, მხოლოდ ეკონომიკა ორ ქვეყანას შორის არსებულ ურთიერთობას ვერ გამოასწორებს.

> *„ძალიან მნიშვნელოვანია [იმის ცოდნა, თუ რა ხდება რუსეთში], იმიტომ, რომ რუსეთში რაც ხდება, პირდაპირ ჩვენზე ახდენს გავლენას. თუ იქ დემოკრატიულად წავა პროცესები, ჩვენც გვეშველება და იქნება ამოვისუნთქოთ. თუ რაიმე შეიცვლება იქ და დამოკიდებულებას შეცვლიან" (ქალი, 47, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, იმერეთი).*

რაოდენობრივი მონაცემების მსგავსად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებიც ტელევიზიასა და სოციალურ მედიას ასახელებენ როგორც რუსეთის, ისე საქართველოსთან მისი ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე პოპულარულ წყაროებად. რესპონდენტებმა, ასევე, დაასახელეს როგორც ქართული და რუსული, ისე ინგლისურენოვანი წყაროები, როგორებიცაა „ბი-ბი-სი" და „სი-ენ-ენი". თუმცა, ქართულ წყაროებს უფრო ხშირად იყენებენ და უმეტესად ტელევიზორს უყურებენ. ეთნიკურად სომხები და აზერბაიჯანელები ამბობენ, რომ რუსეთის შესახებ ინფორმაციას რუსულად ან საკუთარ ენებზე იღებენ.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის შედეგად რუსეთის ფედერაციაზე ინფორმაციას მოსახლეობის მხოლოდ 12% იღებს რუსეთში მცხოვრები ნაცნობებისგან, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა რუსეთში მცხოვრები ახლობლები ინფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე სანდო წყაროდ დაასახელეს. განსაკუთრებით სანდოდ დასახელდნენ ადამიანები, რომლებიც, მიყურადების საფრთხის მიუხედავად, მაინც ავრცელებენ რუსეთის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ ინფორმაციას სოციალური ქსელების მეშვეობით.

რუსეთში ინფორმაციის თავისუფლების წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით ბევრი რესპონდენტისთვის რუსული მედია სანდო წყაროს არ წარმოადგენს. ზოგი ქართულ მედიასაც გარკვეულწილად სუბიექტურად მიიჩნევს. თუმცა, კვლევის მონაწლეთა ნაწილისთვის ქართული მედია სანდოა, განსაკუთრებით რუსულ მედიასთან შედარებით. ნაწილისთვის კი რუსეთში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის მისაღებად საუკეთესო წყარო სოციალური მედიაა.

„თვითონ ტელევიზია, პრესა, ეს მონოპოლიზირებულია რუსეთში. ერთადერთი საშუალება ინტერნეტია, სადაც წერენ სიმართლეს. ბოლომდე საიდან ვგებულობთ ინფორმაციას და რუსეთში ცხოვრობს 800 000 ქართველი, ანუ საკმაოდ ბევრი ნათესავი, მეგობარი, ურთიერთობა გვაქვს და ასევე რუსი კოლეგებისა და მეგობრებისგან" (მამაკაცი, 55, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (61%) ამბობს, რომ გარკვეულწილად მაინც ინფორმირებულია რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ახალგაზრდები შედარებით ნაკლებად არიან ინფორმირებულნი რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, უფროსი ასაკის ადამიანებთან შედარებით. „სრულად" ან „საკმაოდ" ინფორმირებულობა შედარებით უფრო ხშირია თბილისის მცხოვრებლებს შორის (25%), სოფლის მცხოვრებლებთან შედარებით (16%). ფოკუს ჯგუფების მონაწილეები უმეტესად ამბობენ, რომ საკმაოდ ინფორმირებულნი არიან რუსეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რადგან სჯერათ, რომ რუსეთში მიმდინარე მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოზე.
- მათთვის, ვინც რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გარკვეულ ინფორმაციას მაინც იღებს, ინფორმაციის ყველაზე პოპულარული წყაროებია ტელევიზია (69%), და სოციალური ქსელები (37%). ინფორმაციის ძირითად წყაროებად ამ წყაროებს ასახელებენ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებიც. მათი მტკიცებით, რუსული მედია პოლიტიზებულია, თუმცა, ქართული მედიაც საკმაოდ სუბიექტურია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ნათესავებსა და კოლეგებს ინფორმაციის წყაროდ მოსახლეობის მხოლოდ 12% ასახელებს, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთათვის ისინი ინფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე სანდო წყაროს წარმოადგენენ.
- ვინც რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენებზე გარკვეულ ინფორმაციას იღებს, ყველაზე ხშირად რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებსა და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ საკითხებს (40%) ეცნობიან. ამას მოსდევს ინფორმაცია რუსეთის საგარეო (36%), და საშინაო (27%) პოლიტიკის შესახებ. ინფორმირებული მოსახლეობის უმრავლესობა (59%) მიღებულ ინფორმაციას უარყოფითად აფასებს. მიღებულ ინფორმაციას დადებითად მხოლოდ 15% აღიქვამს.

3.4. საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა

რესპონდენტებს სთხოვეს იმ ძირითადი პრობლემებისა და საფრთხეების დასახელება, რის წინაშეც საქართველო ამჟამად დგას. საქართველოში მცხოვრებლებმა ყველაზე ხშრად ეკონომიკური და სოციალური საკითხები (57%), სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები / ოკუპაცია (41%) და ტერიტორიული მთლიანობის კიდევ უფრო მეტი დარღვევის საფრთხე (32%) დაასახელეს. რესპონდენტებმა ასევე დაასახელეს ჯანდაცვა, მათ შორის კოვიდ-19-თან დაკავშირებული საკითხები (26%), ადამიანის უფლებები და დემოკრატია (11%), კრიმინალი (10%) და განათლება (7%). საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 13%-ის აზრით, საქართველო ყველა იმ პრობლემის წინაშე დგას, რასაც შეკითხვა მოიცავდა (დიაგრამა 8).

დიაგრამა 8: საქართველოს წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები/საფრთხეები (%)



შენიშვნა: დაშვებული იყო რამდენიმე პასუხის არჩევა. შესაბამისად, მთლიანი პროცენტული ჯამი 100%-ს აღემატება. რეს-პონდენტებს პასუხის ვარიანტებს უკითხავდნენ.

გამოკითხვის მონაცემებში მცირე განსხვავებები გამოიკვეთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და სხვადასხვა ტიპის დასახლებაში მცხოვრებთა შორის. ახალგაზრდებთან შედარებით, 34 წელს გადა-ცილებული ადამიანები უფრო ხშირად ამბობენ, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები/ოკუპაციაა ის ძირითადი პრობლემა, რის წინაშეც საქართველო დგას (43%, 36%-თან შედარებით). სოფლებში, ჯანდაცვის საკითხები მოსახლეობის 29%-მა დაასახელა, დედაქალაქში კი - 18%-მა. გარდა ამისა, თბილისელების 11%-მა განათლება დაასახელა მაშინ, როცა ეს პრობლემა სოფლებში მცხოვრებთა მხოლოდ 5%-მა აღნიშნა (ცხრილი 5).

ცხრილი 5. თქვენი აზრით, რა ძირითადი პრობლემების ან საფრთხეების წინაშე დგას საქართველო ამჟამად? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ეკონომიკური და/ან სოციალური	57%	58%	57%	57%	57%	57%	57%
სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ტერიტორიები/ოკუპაცია	36%	43%	43%	40%	39%	43%	41%
ტერიტორიული მთლიანობის (კიდევ უფრო/მეტი) დარღვევის საფრთხე	30%	32%	34%	35%	30%	31%	32%
ჯანდაცვა (კოვიდის ჩათვლით)	26%	26%	25%	18%	27%	29%	26%
ადამიანის უფლებები და დემოკრატია	12%	10%	10%	13%	10%	10%	11%
დანაშაული და კრიმინალი	12%	10%	8%	8%	11%	10%	10%
განათლება	9%	8%	5%	11%	8%	5%	7%
გარემოს დაცვა	2%	5%	1%	3%	4%	2%	3%
სხვა	1%	1%	2%	2%	1%	1%	1%
ყველაფერი	15%	13%	11%	15%	15%	11%	13%
საქართველო არანაირი პრობლემის ან საფრთხის წინაშე არ დგას	1%	1%	1%	0%	0%	1%	1%
არ ვიცი	2%	1%	2%	1%	2%	2%	2%
უარი პასუხზე	0%	0%	1%	0%	0%	0%	0%

თვისებრივ მონაცემებშიც მსგავსი სურათი გამოიკვეთა. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ეკონომიკური პრობლემები, უმუშევრობა და დაბალი ხელფასები საქართველოს ძირითად საშინაო პრობლემებად დაასახელეს. რესპონდენტებმა ასევე ისაუბრეს ნეპოტიზმსა და მაღალანაზღაურებადი სამსახურის პოვნის სირთულეებზე. მათი თქმით, ეს ეკონომიკური პრობლემები ემიგრაციის მიზეზი ხდება.

ასევე ხშირად დასახელებული პრობლემა რუსეთი იყო, რომელიც დასახელდა როგორც ზოგადი პრობლემა, ისე ტერიტორიების ოკუპაციასთან კავშირში. გარდა ამისა, ფოკუს ჯგუფების ზოგმა მონაწილემ ახსენა დეზინფორმაცია, რუსეთიდან გამუდმებით მომდინარე ანტიდასავლური პროპაგანდა და არასტაბილური პოლიტიკური ნება საქართველოში რუსეთის პოლიტიკური ჩარევის საწინააღმდეგო მოქმედებებისთვის. ზოგი რესპონდენტის თქმით, ქართული პოლიტიკის დამოკიდებულება რუსეთის მიმართ ძალიან შერბილდა და საჭიროა მისი გამკაცრება.

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ამბობენ, რომ მთავრობასა და ოპოზიციას შორის გამუდმებული ჭიდილი ქვეყნისთვის უზარმაზარ პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერები ერთმანეთის მიმართ აგრესიული ხდებიან: „შიდა ურთიერთობები [არის პრობლემა], თვითონ ემტერებიან ერთმანეთს და ეს არის ჩვენი დიდი საშიშროება. ეს უნდა აღმოიფხვრას და გაერთიანდეს ქვეყანა" (ქალი, 64, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო, საზღვრისპირა სოფლები).

ფოკუს ჯგუფ დისკუსიებში ხშირად ასახელებდნენ პანდემიასა და ქვეყანაში ვაქცინების არქონას.[2] ზოგი რესპონდენტი ასევე საუბრობდა დემოკრატიისა და პროფესიონალიზმის ნაკლებობაზე, განათლების დაბალ დონეზე, მიკერძოებულ სასამართლო სისტემაზე და კანონის უზენაესობის დეფიციტზე.

2 ფოკუს ჯგუფ დისკუსიები ჩატარდა 2021 წლის თებერვალში, როდესაც საქართველოში ვაქცინაციის პროცესი ჯერ დაწყებული არ იყო.

რამდენიმე ეთნიკურად სომეხმა რესპონდენტმა ასევე წამოჭრა დავით გარეჯის მონასტერთან დაკავშირებული საკითხები. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

> *„რა თქმა უნდა, [დავით გარეჯის] მონასტერთან დაკავშირებით ძალიან რთული ვითარებაა. დავით გარეჯი მნიშვნელოვანია აზერბაიჯანელებისათვის და ისინი დათმობაზე წასვლას არ აპირებენ. ჩვენთვისაც, საქართველოსთვისაც ის ძალიან ღირებული და ისტორიული მნიშვნელობის ძეგლია და არც საქართველოს არ სურს მისი დათმობა და ვითარება შესაძლებელია, გართულდეს. ორივე მხარე იბრძვის თავისი ინტერესებისათვის და რა მოხდება, არ ვიცით" (ქალი, 33, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად სომეხი, სამცხე-ჯავახეთი).*

საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით რესპონდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ საკუთარი დამოკიდებულება ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხის მიმართ. ქართველების უმრავლესობამ დადებითი დამოკიდებულება (ძალიან დადებითი და უფრო დადებითი, ვიდრე უარყოფითი) დააფიქსირა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მიმართ (80% და 74%, შესაბამისი თანმიმდევრობით) (დიაგრამა 9).

ასაკის მიხედვით ეს დამოკიდებულება განსხვავდება. ახალგაზრდები (18-34) უფრო დადებითად არიან განწყობილნი საქართველოს დასავლური მისწრაფებების მიმართ, ვიდრე უფროსი ასაკის წარმომადგენლები. თუმცა, დადებითი დამოკიდებულების წილი საკმაოდ მაღალია ყველა ასაკობრივ ჯგუფში (დიაგრამა 9).

მცირე განსხვავებები გამოვლინდა ურბანული და სოფლის დასახლებების მცხოვრებლებს შორის. თბილისის მოსახლეობა (84%) ოდნავ უფრო დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ, ვიდრე სხვა ქალაქებისა (79%) და სოფლების მოსახლეობა (79%). თბილისში (78%) და სხვა ქალაქებში მცხოვრებნი (75%) უფრო დადებითად არიან განწყობილნი საქართველოს ნატოში გაწევრიანების მიმართ, ვიდრე სოფლების მოსახლეობა (70%). ასევე, სოფლად მცხოვრებთა ოდნავ უფრო მეტ წილს (14%) არ აქვს ჩამოყალიბებული აზრი ამ საკითხზე, ვიდრე დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მოსახლეობას (8% და 9%, შესაბამისი თანმიმდევრობით) (დიაგრამა 9).

დიაგრამა 9: ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისადმი ინტერესი (%)



ფოკუს ჯგუფებში დამოკიდებულებები მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული იყო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და დასახლების ტიპის წარმომადგენლებს შორის. უმეტეს შემთხვევაში, რესპონდენტები დიდ მხარდაჭერას აცხადებდნენ ევროკავშირისა და ნატოს მიმართ. ისინი ევროკავშირსა და ნატოში ხედავდნენ საქართველოს პრობლემების გადაჭრის გზას. რესპონდენტების მტკიცებით, ამ კავშირებში გაერთიანების შედეგად საქართველო უკეთესი ქვეყანა იქნება. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: „ჯერ ერთი, აბსოლუტურად სხვა სტანდარტებით მოგვიწევს ცხოვრება, რომელიც ჩვენსა და ზოგადად ჩვენს გარშემომყოფებზე საკმაოდ კარგად აისახება, ანუ აისახება იმ მხრივ, რომ მეტი თავისუფლებაა, მეტი დემოკრატიაა, მეტი შესაძლებლობებია, თუნდაც ჩვენი შვილებისთვის, რომ ისწავლონ“ (ქალი, 49, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).

რესპონდენტები ასევე აცხადებდნენ, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომ ის ფეხზე დადგეს და წინააღმდეგობა გაუწიოს რუსულ აგრესიას.

> *„საერთაშორისო მხარდაჭერა არის მნიშვნელოვანი ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის, რადგან სხვა ბერკეტი ჩვენნაირ პატარა ქვეყანას არა აქვს, რომ გაუმკლავდეს ამ მონსტრს [რუსეთს] და ეკონომიკური გაძლიერებაც ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველომ რომ აითვისოს ევროპის ბაზარი, დახვეწდა თავის პროდუქციასაც და გააუმჯობესებდა კიდეც და კონკურენტუნარიანსაც გახდიდა და ნაკლებად დამოკიდებული იქნებოდა რუსეთზე" (ქალი, 25, უმაღლესი განათლება, სტუდენტი, თელავი).*

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ახსენეს, რომ ევროკავშირი ცდილობს, საქართველოს ეკონომიკურად დაეხმაროს. თუკი საქართველო ევროკავშირის ნაწილი გახდება, ზოგის აზრით, ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. თუმცა, ზოგი რესპონდენტი საწინააღმდეგო მოსაზრებას იზიარებდა, რომ ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, რადგანაც ევროკავშირს ბევრი რეგულაცია აქვს და საქართველოს ეკონომიკას გაუჭირდება ამ რეგულაციების შესრულება. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

> *„მე ევროკავშირის წევრობის მომხრე არ ვარ, უფრო ვარ ევროკავშირში ასოცირებული წევრობის მომხრე. ევროკავშირს აქვს ისეთი ბევრი სოციალისტური რეგულაციები ეკონომიკის, რომელიც ჩვენნაირი განვითარების ქვეყნისთვის დამღუპველია... დამწყები ბიზნესისთვის ეს იქნება დამღუპველი და ძირში გაანადგურებს. ვფიქრობ, უმჯობესი იქნება ასოცირებული წევრობა და ყველა სხვა ურთიერთობების გაღრმავება ევროპასთან... ეს ევროპული ღირებულებები არის ადამიანის თავისუფლებაზე დაფუძნებული ღირებულებები" (კაცი, 56, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, იმერეთი, ქუთაისი).*

ფოკუს ჯგუფებს რამდენიმე ისეთი რესპონდენტიც ესწრებოდა, რომელიც აცხადებდა, რომ ევროკავშირის წევრობა მიუღებელია და საქართველოს ტრადიციებისა და ღირებულებებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ერთ-ერთი მათგანის აზრით:

> *„ლიბერალიზაციისკენ თუ წავედით, მე მგონია, რომ ქართული ერი, ჯიში, გენი გადაგვარდება და არ იქნება ის, რაც უნდა იყოს... ქართველობას დავკარგავთ. იქნებ ევროკავშირს და ნატოს რომ ვიძახით, იმიტომაც არის გაღიზიანებული ისიც [რუსეთი] და იქნებ სხვა შემთხვევაში მოლაპარაკება ეფექტური ყოფილიყო? "(ქალი, 45+, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო).*

ასევე, რამდენიმე რესპონდენტი მხარს უჭერდა ევროკავშირთან ურთიერთობას, თუმცა, ნატოს წინააღმდეგი იყო, რადგანაც არ უნდოდა რუსეთის გაღიზიანება. რესპონდენტის თქმით: „მეც წინააღმდეგი

ვარ ნატოში შესვლის, რადგან ჩვენთან ახლოს, სოფელ ჯანდარში ნატოს ბაზაა განთავსებული და ბევრ საფრთხეს ქმნის. მაგრამ ევროპის კავშირში ჩართვა მენდომებოდა განათლებისთვის, პოლიტიკისთვის“ (კაცი, 22, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ქვემო ქართლი).

თუმცა, ნატოს შეფასება, საერთო ჯამში ძალიან დადებითია. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ნატოს წევრობა ქვეყანას უსაფრთხოებას მოუტანს, დაიცავს მას და რუსული აგრესიის პრევენციას მოახდენს. ბევრი რესპონდენტისთვის ნატო რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთადერთი ინსტრუმენტია. ამავდროულად რესპონდენტებმა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ ნატოს გადასაწყვეტია, მიიღებს თუ არა იგი საქართველოს: „ეს ნატო იმისთვის გვინდა, რომ უფრო რუსეთის აგრესია შემცირდეს. მაგრამ ეს ნატოს წევრობა უფრო, ალბათ, ნატოზეა დამოკიდებული, ვიდრე ჩვენზე. ისინი როგორც ჩათვლიან საჭიროდ, როცა ჩათვლიან საჭიროდ, მაშინ მიგვიღებენ. როგორც მოხდა, მაგალითად, თურქეთის შემთხვევაში“ (კაცი, 32, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი).

ზოგი რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ნატოში საქართველოს იმიტომ არ იღებენ, რომ რუსეთთან კონფლიქტს თავს არიდებენ. გარდა ამისა, რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, რომ საქართველო არ უნდა ცდილობდეს ნატოს წევრობას, რადგან ეს რუსეთს გააღიზიანებს. მათი თქმით, რადგანაც ნატოში გაწევრიანება უახლოეს მომავალში დაგეგმილი არ არის, ქართველებმა უნდა გაითვალისწინონ რუსეთის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ, რადგანაც რუსეთი ყოველთვის საქართველოს მეზობელი იქნება.

> *„საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა რომ მოგვარდეს, აშშ-ში, ნატოში შესვლა არაა საჭირო, საჭიროა მეზობელთან კარგი ურთიერთობა. ევროპა ყოველთვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგი ყოფილა, მას უნდოდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია. 75 წელი რუსეთის შემადგენლობაში ვიყავით, ცუდად ვცხოვრობდით? კარგად გვიცხოვრია” (კაცი, 45+, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ქვემო ქართლი).*

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს, ზოგადად, არ ჰქონდათ უარყოფითი დამოკიდებულება ნატოსა და ევროკავშირის მიმართ, რამდენიმე მონაწილე მიიჩნევდა, რომ ამ სტრუქტურებში გაწევრიანება საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით ვერაფერში დაეხმარებოდა და საქართველოში ხალხს საკუთარი თავისთვის თავად უნდა მიეხედა. ერთ-ერთი რესპონდენტის აღნიშნავს:

> *„ჩვენ თვითონ თუ არ ვიზრუნეთ ჩვენს თავზე, ვერც ევროპა გვიშველის, ვერც ნატო და ვერც რუსეთი... იმ ევროპასთანაც უნდა გვქონდეს ურთიერთობები დალაგებული, ევროკავშირის წევრიც უნდა ვიყოთ, რუსეთთანაც უნდა გვქონდეს დალაგებული ურთიერთობა... მაგრამ ჩვენ ხელს გვიშლის გარე ძალები, რომ მათი ინტერესების გამო ჩვენ ვიჩაგრებით... ჩვენ არ უნდა ვიყოთ დიდ ქვეყნებს შორის საჭადრაკო დაფა” (კაცი, 51, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ბათუმი).*

ზოგმა რესპონდენტმა ასევე ახსენა, რომ დასავლეთის აღშფოთება საკმარისი არ არის და რუსეთის შესაჩერებლად დასავლეთმა უფრო მტკიცე ნაბიჯები უნდა გადადგას: „ეს დომინანტი ქვეყნები, აქამდე თუ ვერ დაგვხმარებია და გვეხმარება, აწი რა შეიცვლება? აი, რისი იმედი და რა მოლოდინი უნდა გვქონდეს? მხოლოდ იმ ფრაზების მოსმენაში ვართ, რომ ‘შეშფოთებულები ვართ’, ‘აღშფოთებულები ვართ’, ეს ასე არ უნდა იყოს“ (ქალი, 40, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი)

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საკმაოდ ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ ნატოსა და ევროკავშირის მიმართ და აცხადებენ, რომ ინფორმაცია არ აქვთ. თუმცა, ეთნიკურად სომხებმა გარკვეული დადებითი დამოკიდებულება დააფიქსირეს.

„ალბათ, უფრო დადებითი [დამოკიდებულება მაქვს], რადგან თუ საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი, ის უფრო განვითარდება და გაძლიერდება, შესაბამისად, თავსაც უფრო დაცულად იგრძნობს. თანაც ევროკავშირს ბევრი შესაძლებლობა აქვს. ხალხს თავისუფლად მიმოსვლის შესაძლებლობა ექნება ევროკავშირის ქვეყნებთან და ესეც, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება ხალხზე. მეც არ ვარ ინფორმირებული ბევრ საკითხთან დაკავშირებით და ამიტომაც არ შემიძლია ამ თემაზე სრულყოფილი პასუხის გაცემა, მაგრამ, ჩემი აზრით, ცუდი ნამდვილად არ იქნება" (ქალი, 25, საშუალო განათლება, ეთნიკურად სომეხი, სამცხე ჯავახეთი).

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოში ხალხი მიიჩნევს, რომ ძირითადი პრობლემები და საფრთხეები, რის წინაშეც საქართველო ამჟამად დგას, ეკონომიკური და სოციალური საკითხებია (57%). ამას მოსდევს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ოკუპაციის საკითხი (41%), ტერიტორიული მთლიანობის შემდგომი დარღვევები (32%) და ჯანდაცვა (26%).
- ფოკუს ჯგუფების დროს მსგავსი დამოკიდებულებები დაფიქსირდა. ბევრმა რესპონდენტმა წამოჭრა უმუშევრობასთან, დაბალ ხელფასებთან, „ნორმალური" სამსახურის შოვნის სირთულეებთან დაკავშირებული საკითხები. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ასევე ხშირად ახსენეს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები და „მცოცავი ოკუპაცია". ასევე, პანდემიასთან დაკავშირებული სირთულეები.
- ქართველების დიდი უმრავლესობა (80%) დადებით დამოკიდებულებას (ძალიან დადებითსა და უფრო დადებითს, ვიდრე უარყოფითს) აფიქსირებს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების მიმართ. ქართველების დიდ ნაწილს (74%) ასევე დადებითი დამოკიდებულება აქვს ნატოში საქართველოს გაწევრიანების მიმართ.
- ახალგაზრდებსა და დედაქალაქის მცხოვრებლებს უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვთ ევროკავშირისა და ნატოს მიმართ, ვიდრე უფროსი ასაკის ადამიანებსა და სოფლების მცხოვრებლებს. თუმცა, ამ ჯგუფებშიც უმრავლესობა (70% და მეტი) დადებითადაა განწყობილი. ფოკუს ჯგუფების დროს გამოჩნდა, რომ ხალხი ევროკავშირსა და ნატოს საქართველოს პრობლემების გადაჭრის მთავარ გზად ხედავს, ასევე, თავისუფლების, დემოკრატიის, ეკონომიკური სტაბილურობის, უკეთესი განათლების (ევროკავშირი) და უსაფრთხოებისა და რუსეთისგან დაცვის (ნატო) გარანტად.
- ვისაც ევროკავშირისა და ნატოს მიმართ ნეიტრალური ან უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, ამას იმით ხსნიან, , რომ ევროპა საქართველოს უგულებელყოფს. ამასთან ერთად, ზოგს ნატოში გაწევრიანების მცდელობით რუსეთის გაღიზიანება არ უნდა. სხვებს კი ურჩევნიათ, რომ ქართველებმა თვითონ მიხედონ საკუთარ თავს და დამოკიდებული არ იყვნენ მსხვილ პოლიტიკურ მოთამაშეებზე.

3.5. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები

ქართველების უმრავლესობა (74%) მიიჩნევს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის მტრული ურთიერთობაა და მხოლოდ 18% ფიქრობს, რომ ამ ორ სახელმწიფოს მეგობრული ურთიერთობა აქვს. მოსახლეობის მცირე ნაწილს (8%) უჭირს იმის განსაზღვრა, მეგობრულია თუ მტრული ურთიერთობა რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოებს შორის (დიაგრამა 10). დედაქალაქის მაცხოვრებლების ცოტა უფრო დიდი ნაწილი (77%) მიიჩნევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას მტრულად, ვიდრე სოფლების მცხოვრებლები (71%) (დიაგრამა 10).

დიაგრამა 10: საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები (%)



საქართველოს მოსახლეობის აზრით, საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლურ ურთიერ-თობებს, ყველაზე მეტად, ხელს უშლის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციაა (60%), მოსკოვის განზრახვა, საქართველო თავისი გავლენის სფეროში დააბრუნოს (30%), საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პოლიტიკა (22%), პასუხისმგებელი პირები რუსეთის ხელისუფლებაში (18%) და პასუხისმგებელი პირები საქართველოს ხელისუფლებაში (10%) (დიაგრამა 11).

დიაგრამა 11: საქართველოსა და რუსეთის კეთილმეზობლურ ურთიერთობებში ხელშემშლელი მთავარი დაბრკოლებები (%)



შენიშვნა: დაშვებული იყო რამდენიმე პასუხის არჩევა. შესაბამისად, მთლიანი პროცენტული ჯამი 100%-ს აღემატება.

მთავარი დაბრკოლებების დასახელებისას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და დასახლების ტიპების წარმომადგენლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა (ცხრილი 6).

ცხრილი 6. თქვენი აზრით, რა მთავარი დაბრკოლება/დაბრკოლებები არსებობს, რომელიც საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობას უშლის ხელს? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია	59%	59%	60%	61%	62%	58%	60%
მოსკოვის განზრახვა, საქართველო მოაქციოს საკუთარი გავლენის ქვეშ	28%	34%	28%	33%	29%	29%	30%
საქართველოს სურვილი, გახდეს ევროპის და ევრო-ატლანტიკური გაერთიანების ნაწილი	20%	22%	22%	21%	20%	23%	22%
პასუხიმგებელი პირები რუსეთის ხელისუფლებაში	16%	18%	19%	19%	18%	16%	18%
პასუხისმგებელი პირები საქართველოს ხელისუფლებაში	8%	8%	12%	12%	8%	9%	10%
სხვა	2%	2%	1%	2%	3%	1%	2%
არანაირი დაბრკოლება არ არსებობს/რუსეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობაა	1%	0%	0%	1%	0%	0%	0%
არ ვიცი	9%	5%	8%	5%	7%	9%	7%
უარი პასუხზე	1%	1%	0%	0%	1%	1%	1%

კვლევის თვისებრივი კომპონენტის შედეგები რაოდენობრივის მსგავსია. რესპონდენტები აცხადებენ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობაა, რაც მეტწილად რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის ბრალია. დაძაბული ურთიერთობების მიზეზად რესპონდენტები ყველაზე ხშირად საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციასა და მცოცავ ოკუპაციას ასახელებენ. მცოცავი ოკუპაცია, რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა რეგიონში და ისტორიული გამოცდილება რესპონდენტებს მუდმივი საფრთხის შეგრძნებას უტოვებს. რესპოდენტები მცოცავ ოკუპაციასთან ერთად ასევე ასახელებდნენ მოქალაქეების გატაცებასა და მათზე ძალადობას. ზოგი რესპონდენტის თქმით, ქართველები ვერ აცნობიერებენ ამ პრობლემას. სხვები კი მიიჩნევენ, რომ რუსული აგრესიის შედეგების დავიწყება ადვილი არ იქნება.

> *„ყველამ ვიცით, რომ მცოცავი ოკუპაცია არის და ნელ-ნელა, არაფერს გვეკითხებიან და აბსოლუტურად ისე, თითქოს, თავის ეზოს შემოიღობავენ და მოდიან და მოდიან. ჩვენ კიდევ საკმაოდ ისე, ძალიან [გულგრილად] ვუცქერით ამ ყველაფერს და ვართ გაჩუმებულები და არავითარ ღონისძიებებს ან ბერკეტებს არ ვფლობთ და არ ვახორციელებთ. არ ვიცი, ვერ ვგებულობ უბრალოდ, აბსოლუტურად გულგრილად ვუყურებთ ამ ყველაფერს, რაც ჩვენს თავს ხდება" (ქალი, 38, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო).*

ფოკუს ჯგუფებში ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების არქონაც აღინიშნა. მიმდინარე პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, რესპონდენტების აზრით, არც რუსეთი და არც საქართველო ჩანს მზად ურთიერთობების აღსადგენად, არცერთი მათგანი არ დგამს ქმედით ნაბიჯებს ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

ზოგადად, რესპონდენტები საკმაოდ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიმართ ისტორიული გამოცდილებიდან გამოწვეული უნდობლობის გამო. ზოგმა რესპონდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ პოლიტიკური დაძაბულობა მოიხსნას და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები აღდგეს, რუსებისა და რუსული კულტურის მიმართ მათი სიყვარულის გამო. თუმცა, მხოლოდ დეოკუპაციის პირობით. სხვა რესპონდენტების მტკიცებით, რუსეთის მიდგომა საქართველოს მიმართ არასოდეს შეიცვლება და დეოკუპაციის შემდეგ საქართველომ რუსეთთან ყველანაირი კავშირი უნდა გაწყვიტოს.

„ზოგადად, რუსეთთან რაიმე ურთიერთობის ქონა შეუძლებელია იმიტომ, რომ ამ ქვეყანას არ აინტერესებს რაღაცა რეალური კეთილგანწყობები ქვეყნებთან. მას აქვს იმპერიალისტური მიზნები, რის მისაღწევადაც გზად ყველაფერს ანადგურებს. ეს არის და ეს. ჩვენი მთავარი ამოცანა, მე ვფიქრობ, ოკუპირებული ტერიტორიების დახსნა და შემდეგ ყველანაირი ურთიერთობების გაწყვეტა [უნდა იყოს]...” (მამაკაცი, 20, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, ზუგდიდი).

ფოკუს ჯგუფების ზოგი მონაწილის აზრით, რუსეთი საბჭოთა კავშირის აღდგენას და რეგიონში დომინირებას ცდილობს. რესპონდენტების მტკიცებით, რუსეთი ყოველთვის მოქმედებდა „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით და კავკასიაში მიწებს ისე უნაწილებდა ქვეყნებს, რომ რეგიონის დესტაბილიზაცია მოეხდინა. ამის შედეგად, რეგიონში ქვეყნები და ხალხი ერთმანეთთან კონფლიქტშია.

„ჩემი აზრით, რუსეთმა თავის დროზე კავკასია გადააჯაჭვა ერთმანეთს... მიწები ისე გადაუნაწილა... ყოველ წუთს შეუძლია ააფეთქოს ნაღმი... მაგრამ რაღაცნაირად ერთმანეთის გატანა არ იყო იქ, სომეხი, აზერბაიჯანელი, ქართველი, აფხაზი, ყველა ერთნი იყვნენ, მაგრამ მე ასე ვფიქრობ, რომ ეს რუსეთმა დაუპირისპირა ხალხები ერთმანეთს, რომ ჩამოვარდნილიყო შუღლი და მივსულიყავით იქამდე, რა მდგომარეობაშიც ახლა ვართ...” (ქალი, 64, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო).

ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები ერთსულოვნები იყვნენ რუსეთის ოკუპაციის საკითხისა და მისი როლის მიმართ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, ხოლო ეთნიკურ უმცირესობებს შორის მოსაზრებები გაიყო. ზოგი რუსეთს აბრალებდა ოკუპაციას, ზოგი კი საქართველოს და ამბობდა, რომ საქართველოს რუსეთისთვის საკუთარი ტერიტორიების ოკუპაციის უფლება არ უნდა მიეცა. აზერბაიჯანულენოვან ფოკუს ჯგუფებში რესპონდენტები ამტკიცებდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის უარყოფითი ურთიერთობები საქართველოს ბრალია და ამ ტერიტორიების მცხოვრებლებმა მიმართეს რუსეთს დახმარებისთვის. მათი თქმით, საქართველო კარგი ქვეყანა რომ ყოფილიყო ამ ტერიტრიებს დამოუკიდებლობა არ მოუნდებოდათ. ასევე ახსენეს, რომ მართალია, ქართველები ამას ოკუპაციას ეძახიან, თუმცა, აფხაზეთი რეალურად სუვერენული სახელმწიფოს ქონას ცდილობს. ამრიგად, რესპონდენტების თქმით, საქართველო უნდა ეცადოს რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორებას, რომ ხალხს იქ მოგზაურობისა და ვაჭრობის შესაძლებლობა ჰქონდეს.

„მე არ ვთვლი, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის დარღვევაზე დამნაშავე არის რუსეთი. საქართველოს მიწების ოკუპაცია საქართველოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგია. აფხაზეთის, ოსეთის ოკუპაციას რუსეთთან კავშირი არ აქვს. აფხაზებმა, ოსებმა დახმარება სთხოვეს რუსეთს. ქართველი რომ კარგი ყოფილიყო, რატომ წავიდოდნენ სხვასთან... მე არ ვთვლი, რომ რუსეთს აფხაზეთი ოკუპირებული აქვს, რომ თავის შემადგენლობაში შეიყვანოს. აფხაზეთს ხომ თავისი პრეზიდენტი ჰყავს, უბრალოდ, როგორც ვიცი, რუსეთის ფულს იყენებს... აი, რუსეთის მიერ აფხაზებისთვის მიცემული თავისუფლება, საქართველოს რომ მიეცა, რატომ წავიდოდნენ აფხაზები საქართველოდან? ანუ არც რუსეთის ნაწილი არიან, თავიანთი სუვერენული სახელმწიფოს შექმნას ცდილობენ” (მამაკაცი, 70, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად აზერბაიჯანელი, ქვემო ქართლი).

საქართველოში მცხოვრები ხალხის უმრავლესობას (75%) სჯერა, რომ ეკონომიკური და სავაჭრო კავშირები ხელს უწყობს საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას, ხოლო ტურიზმი საქართველოსა და რუსეთს შორის ქართველი და რუსი ხალხის ურთიერთობას აუმჯობესებს (84%) (დიაგრამა 12). ეს შეხედულებები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში არ განსხვავდება, თუმცა, დამოკიდებულება განსხვავებულია სხვადასხვა ტიპის დასახლებაში. სოფლებში მცხოვრებნი ოდნავ უფრო მეტად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ეკონომიკური კავშირები ურთიერთობებს აუმჯობესებს.

დიაგრამა 12: ტურიზმისა და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების წვლილი ურთიერთობების გაუმჯობესებაში (%)



ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების გზით რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების პოტენციურ გაუმჯობესებაზე. ზოგს სჯეროდა, რომ ამას დადებითი როლის შესრულება შეუძლია, როგორც წარსულ შემთხვევებში, როცა მეტი ვაჭრობა და ხალხს შორის ურთიერთობაც უკეთესი იყო. სხვები ფიქრობდნენ, რომ ეკონომიკურ ურთიერთობებს არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ, რადგანაც რუსული პოლიტიკა არაპროგნოზირებადია. ამასთან დაკავშირებით იხსენებდნენ ქართულ საქონელზე დადებულ ემბარგოებს. გარდა ამისა, მათი აზრით, ქართველებმა ვაჭრობა პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა არ უნდა დააყენონ, როცა საქმე ოკუპირებულ ტერიტორიებს ეხება.

> *„დღეს რა პროდუქტიც ექსპორტზე გადის, ორჯერ და სამჯერ მეტი გადიოდა იმ პერიოდში, როცა რუსეთსა და საქართველოს შორის იყო ნორმალური, ჩამოყალიბებული დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. შესაბამისად, ეკონომიკური თვალსაზრისით როცა დაკავშირებული ხარ ქვეყანასთან, განაპირობებს, რა თქმა უნდა, ურთიერთობის მოგვარებას, სტაბილურობას ქვეყნებს შორის. იმიტომ, რომ ეკონომიკა არის მთავარი მამოძრავებელი ღერძი ქვეყნის ჩამოყალიბების სტრუქტურის, ჩემი აზრით" (მამაკაცი, 23, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, იმერეთი).*

ისინი, ვისაც ეკონომიკური ურთიერთობების პოტენციალის სჯერა, ერგნეთის ბაზრობა[3] იხსენებენ, როგორც სახალხო დიპლომატიის კარგ მაგალითს. მათი აზრით, ვაჭრობის შედეგად თითქმის მიღწეული იყო შერიგება, თუმცა, ამ ბაზრობის დახურვის შემდეგ ურთიერთობები გაუარესდა. რესპონდენტები იმავეს ამტკიცებდნენ რუსეთთან ვაჭრობის შესახებ. მათი აზრით, ძლიერ ეკონომიკურ კავშირებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზება შეუძლია.

> *„ერგნეთის ბაზარი და ენგურ ჰესი, ეს იყო ორი მარგალიტი, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას შორის, საიდანაც დაწყებული იყო შერიგება, 2004 წლამდე... ერგნეთის ბაზარი ვიცი და რუსი და ქართველი და ოსი და ქართველი ხალხი ისე იყო უკვე შერიგებული და შეთანხმებული ყველანაირად, რომ აბსოლუტურად მიმოსვლა, კულტურა, ეკონომიკა და ურთიერთობა, ხალხი თავისუფლად იყო 2004 წლამდე, სანამ ისევ ბოდიში და უაზრო პოლიტიკა არ ჩაერია ჩვენს ურთიერთობაში და ისევ ხიდი არ ჩატეხა... ოსეთთან დაძაბული იყო ურთიერთობა, მაგრამ იყო ერგნეთის ბაზარი, მართლაც იმ წუთში იყო სახალხო დიპლომატიის და ხალხის ურთიერთობის ქვეყნებს შორის [მაგალითი]. საბაზრო ურთიერთობა დალაგებული იყო და აახლოებდა ხალხს და გადასვლა და გადმოსვლაც არ იყო პრობლემა...” (მამაკაცი, 56, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).*

ზოგი რესპონდენტი ამ პოზიციასაც სკეპტიკურად უყურებდა. მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ურთიერთობებს, ზოგადად, დადებითი პოტენციალი აქვს, ეკონომიკური ურთიერთობები ვერ შეცვლის რუსეთთან ურთიერთობას, როდესაც ის ვაჭრობას პოლიტიკურ ბერკეტად იყენებს. რესპონდენტების მტკიცებით, რუსეთი სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს, რადგანაც ნებისმიერ დროს შეუძლია, სამხედრო ძალა გამოიყენოს ან ქართულ პროდუქციას ემბარგო დაადოს. რესპონდენტებმა ბევრი მაგალითი გაიხსენეს, როცა რუსეთი სწორედ ასე მოიქცა. რესპონდენტებმა ასევე ახსენეს სტრატეგიული ინფრასტრუქტურა და საწარმოები, რომელთა გასხვისება განსაკუთრებით რუსეთზე საფრთხეს წარმოადგენს. ზოგი რესპონდენტი რუსეთთან ვაჭრობის აკრძალვის იდეითაც გამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად ქართველმა რესპონდენტებმა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნება ახსენეს, ეთნიკურად სომხები მას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.. მათი თქმით, ისინი რუსულად ქართველებზე უკეთესად საუბრობენ და მათთვის უფრო ადვილია რუსეთში მუშაობა. ეს განსაკუთრებით სეზონურ სამუშაოებს ეხება. ეთნიკურად სომეხმა რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს უცხოეთიდან გამოგზავნილი ფულის მნიშვნელობას მათი თემისთვის და, შესაბამისად, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობას. მათი თქმით, საქართველოს ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებს ჯერ სომხური მოქალაქეობის აღება სჭირდებათ და მხოლოდ შემდეგ ეძლევათ წვდომა რუსულ სამუშაო ბაზარზე. ეთნიკურად სომეხმა რესპონდენტებმა თქვეს, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დაახლოებით 80% რუსეთში სეზონური სამუშაოს შედეგად გამოგზავნილ ფულზეა დამოკიდებული. შესაბამისად, სამუშაო ძალის მიმოსვლა საქართველოს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს. ეკონომიკური საკითხის მოგვარების გარდა, ეთნიკურად სომეხი რესპონდენტების აზრით, საქართველომ უნდა შეარბილოს საკუთარი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ და ეცადოს საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთში უვიზოდ გადაადგილების უფლების მოპოვება. მაშინ, როცა რუსი მოქალაქეები საქართველოში ადვილად შემოდიან, ქართველებსაც უნდა შეეძლოთ დროისა და რესურსების მომცველი სავიზო პროცედურების გარეშე რუსეთში საკუთარი ნათესავების მონახულება. რუსეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი მიმოსვლა რომ იყოს, ხალხს ექნებოდა საშუალება, წასულიყო, ემუშავა მეზობელ ქვეყანაში და გაეუმჯობესებინა საკუთარი ეკონომიკური კეთილდღეობა.

3 ბაზრობა სოფელ ერგნეთში, სადაც 1991-დან 2004 წლამდე პერიოდში ქართველები და ოსები ვაჭრობდნენ.

„სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმეტესობა რუსეთში მიდის სეზონურ სამუშაოებზე. ახლა მათ არ აქვთ შესაძლებლობა თავიანთი ქართული მოქალაქეობით რომ წავიდნენ და იძულებულები არიან, უარი თქვან საქართველოს მოქალაქეობაზე და სომხეთის ან რუსეთის მოქალაქეები გახდნენ, რომ წასვლა-წამოსვლა და მუშაობა შეძლონ. ეს ნამდვილად ძალიან ცუდია ჩვენთვის... აი, ისეთი ურთიერთობები უნდა იყოს, როგორც ახლა ევროპასთან არის. ახლა ევროპაში თავისუფლად შესაძლებელია მიმოსვლა ვიზების და ყველაფერის გარეშე. რუსეთთანაც ეგრე უნდა იყოს, ნამვილად... მე ზუსტად არ ვიცი, თუ როგორი ვითარებაა თბილისში და საქართველოს სხვა მხარეებში, მაგრამ ახალციხე-ახალქალაქის და ნინოწმინდის, ასე რომ ვთქვათ, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის 80% რუსეთზე არის დამოკიდებული და იქ გამომუშავებული და იქიდან გამოგზავნილი ფულის ხარჯზე ცხოვრობს. ეს ფული საქართველოში შემოდის და ესეც საქართველოს ინტერესებში უნდა იყოს... ისე გააკეთოს, რომ სავიზო რეჟიმი არ იყოს ასეთი მკაცრი, რომ ეკონომიკური ურთიერთობები დაიწყოს, რომ მოსახლეობას თავისუფალი მიმოსვლის შესაძლებლობა მისცეს. მარტო სეზონური სამუშაოც ხომ არ არის, ჩვენ ყველას, თითოეულ ჩვენგანს რუსეთში ნათესავები და ახლობლები გვყავს და, სიხარულის ამბავია თუ წუხილი, გვინდა დავესწროთ ხოლმე, მაგრამ ვერ ვახერხებთ, რადგან ვიზის აღებას, საბუთების მოწესრიგებას ძალიან დიდი დრო სჭირდება" (ქალი, 35, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად სომეხი, სამცხე-ჯავახეთი).

ზოგადად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სკეპტიკურად არიან განწყობილი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით და იმ მოსაზრებისკენ იხრებიან, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა უმეტესად რუსეთზე და მის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. სანამ რუსეთი არ გადაწყვეტს დეოკუპაციას და საქართველოს სუვერენიტეტის პატივისცემას, საქართველოს მდგომარეობის შესაცვლელად ცოტა რამის გაკეთება შეუძლია. შესაბამისად, იმ ნაბიჯების განხილვისას, რაც საქართველომ უნდა გადადგას, რესპონდენტები უფრო მეტად იმაზე საუბრობდნენ, თუ რა უნდა გააკეთოს საქართველომ რუსული საფრთხის განეიტრალებისა და შემცირებისთვის, ვიდრე იმაზე, თუ რა ნაბიჯები გადადგას ურთიერთობების გასაუმჯობესებლად.

რესპონდენტების თქმით, საკუთარი ინტერესების დასაცავად და რუსული საფრთხის თავიდან ასარიდებლად, საქართველო უნდა ეცადოს რუსეთზე საერთაშორისო ზეწოლის გაზრდას ან პარტნიორობის გაღრმავებას და საერთაშორისო გაერთიანებებში გაწევრიანებას. საერთაშორისო ზეწოლაზე საუბრისას რესპონდენტებმა ახსენეს ევროკავშირი, ნატო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ისევე, როგორც დიდი ქვეყნები, როგორებიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანია. რაც შეეხება დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, რესპონდენტების მტკიცებით, საქართველო უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს დემოკრატიის მიმართულებით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მიმზიდველი პარტნიორი გახდეს და მათ საქართველოს ინტერესებს ლობირება გაუწიონ. თუკი დასავლეთი არ ჩაერევა, რუსეთი ყოველთვის ეცდება საქართველოში არასტაბილური მდგომარეობის ხელშეწყობას, რადგანაც მას საკუთარი საზღვრის გასწვრივ ნატოს ჯარების ყოლის ეშინია.

„გადარჩენის ბერკეტი არის ერთ-ერთ რომელიმე ორგანიზაციაში შესვლა, რომელიც ჩვენ დაგვიცავს როგორც სახელმწიფოს. ეს დასავლური სტრუქტურები გვევლინება ასეთად. ნატოსა და ევროკავშირთან გაძლიერებული ურთიერთობები, ჩვენი გეოპოლიტიკური თავსებადობა ამ სტრუქტურებთან იქნება გარანტი, რომ გადავრჩეთ და თუ გადავრჩით, შემდეგ შეიძლება იმაზე ფიქრი, რამდენად მოვახერხებთ ურთიერთობას მეზობელთან" (მამაკაცი, 24, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, კახეთი).

ზოგმა რესპონდენტმა ისაუბრა მოლაპარაკებების საჭიროებაზე და იმაზე, რომ კომპრომისი ორივე, ქართული და რუსული, მხრიდან გარდაუვალია. მათი თქმით, ვერავინ შეძლებს ქვეყნებს შორის ურთიერთობების დალაგებას, თუკი რუსეთი და საქართველო ვერ გამონახავენ საუბრის გზას. რამდენიმე რესპონდენტმა თქვა, რომ რუსეთის დაგმობა მხოლოდ იმიტომ, რომ ის დემოკრატიული არ

არის, არასწორია. მათი აზრით, მსოფლიოში „ჭეშმარიტად“ დემოკრატიული ქვეყანა არ არსებობს და ადამიანის უფლებები ყველგან ირღვევა. პოტენციურ კომპრომისზე საუბრისას რესპონდენტები უმეტესად ახსენებდნენ ნატოში გაწევრიანებაზე და, შესაბამისად, ნატოს ჯარების განთავსებაზე უარის თქმას. ასეთ შემთხვევაში გაჟღერდა არგუმენტიც, რომ საქართველოს საკომპრომისო არაფერი რჩებოდა, რადგანაც მაშინაც კი, თუ საქართველო კომპრომისზე წავიდოდა, რუსეთი მაინც ეცდებოდა დომინირებას და არ შეიცვლიდა აზრს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. ამრიგად, თუკი ზოგი რესპონდენტისთვის დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია რუსეთის წინააღმდეგ თავდაცვას ნიშნავდა, სხვების აზრით, ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად ინტეგრაციაზე უარის თქმა იყო საჭირო.

„ნამდვილად ვერ ვიტყვი სახელმწიფოზე, რომელიც ასე მოგექცევა, რომ ის არ არის ოკუპანტი, მაგრამ რაღაცა უნდა იყოს ნაბიჯები იმისკენ, რომ ეს ჩხუბი დამთავრდეს, აღდგეს ის დიპლომატიური ურთიერთობები... ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ცოტა-ცოტა ჩვენც დავთმოთ, იმათაც დათმონ და რაღაცნაირად შერიგებისკენ უნდა წავიდეთ... დავდივარ და ხალხში ვლაპარაკობ, სოფელში მხვდებიან მოსახლეობა, იმასთან, სუფრაზე ვჯდები... საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმგზავრობ და ყველას ესეთი აზრი აქვს, ყველა მოქალაქეს... სადამდე უნდა ვიყოთ ასეთ დაძაბულ მდგომარეობაში, ორ კილომეტრნახევარში აგერ, საზღვრის პირას ვცხოვრობთ და არ ვიცით, რა გველოდება ხალხს...” (მამაკაცი, 54, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).

ფოკუს ჯგუფების ზოგ მონაწილეს მიაჩნდა, რომ საქართველოს რბილი მიდგომა აქვს რუსეთის მიმართ. მათი თქმით, ისტორიამ დაამტკიცა, რომ კეთილსინდისიერ ურთიერთობას რუსეთთან საქართველოსთვის კარგი არასდროს მოუტანია: მიუხედავად მეგობრული ურთიერთობების ქონის მცდელობებისა, ყველაფერი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით დასრულდა. ამრიგად, ასეთი მცდელობები ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს და რუსეთი მაინც იმას გააკეთებს, რასაც ყოველთვის. შესაბამისად, რუსეთის გაღიზიანების შიშის ნაცვლად საქართველო ყოველთვის უნდა გამოხატავდეს საკუთარ პოზიციას, სამხედრო ძალის გამოყენებით იქნება ეს თუ დიპლომატიურად. ზოგ რესპონდენტს ამ მდგომარეობიდან სამხედრო გამოსავლისაც სჯერა, თუმცა, იმასაც იაზრებენ, რომ საქართველოსთვის ომში რუსეთის დამარცხება არარეალისტურია. რესპონდენტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, ამიტომ საქართველოს მხრიდან მუქარები არაფერს მოიტანს. მათი აზრით, საჭიროა რბილი ძალისა და დიპლომატიური მიდგომის გამოყენება. ზოგმა რესპონდენტმა ისიც ახსენა, რომ ეფექტური შედეგისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებებში საქართველოს საპატრიარქოს ჩართვა.

„რაც შეეხება მშვიდობიან მიდგომას... მე ვფიქრობ, რომ არ არის სწორი. იმიტომ, რომ ჩვენ მშვიდობიანად მივუდგებით, გავუცინებთ რუსეთს თუ მოვეფერებით, რუსეთი მაინც თავისას გააკეთებს. ამიტომ ჩვენ გვირჩევნია, ჩვენი სათქმელი აუცილებლად ვთქვათ. ეს იქნება ომით, ბრძოლით თუ დიპლომატიური გზით... და არა ის, რომ, მოდი, არ გავაღიზიანოთ რუსეთი და ჯობია ისევ ჩუმად ვიყოთ, არ გვესროლოს... უნდა გაძლიერდეს სამხედრო თვალსაზრისით. შენ მოქალაქეს როდესაც ესვრიან და შენ იმას ამბობ, იცი რა, მაინც ვერაფერს ვერ ვიზამ და მოკლან ის ჩემი მოქალაქე, მე მირჩევნია ჩემი მოქალაქე ბრძოლაში დაიღუპოს, ვიდრე უმოქმედობის შედეგად დაიღუპოს... ქართველი ყოველთვის იყო მებრძოლი და არასოდეს არ დაუთმია ერთი გოჯი მიწა...” (მამაკაცი, 37, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, იმერეთი).

მაშინ, როდესაც ზოგი რესპონდენტის მტკიცებით, ხელისუფლებიდან პუტინის წასვლა რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს გააუმჯობესებს, სხვები ამბობენ, რომ მთავრობის ცვლილება საქართველოსთვის არაფერს შეცვლის, თუკი პუტინის მემკვიდრე „მეორე პუტინი“ იქნება. შესაბამისად, თუკი პროგრესულმა ლიდერმა არ ჩაანაცვლა პუტინი, საქართველო ვერ

შეძლებს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას. ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე რესპონდენტმა რუსეთში მიმდინარე მოვლენები გაიხსენა. მათი შეხედულებით, ნავალნი პუტინის ძლიერი ოპოზიციაა. მიუხედავად ამისა, ნავალნიმაც რომ შეცვალოს პუტინი, მათი აზრით, ეს ოკუპაციის საკითხს საქართველოსთვის სასარგებლოდ არ შეცვლის, რადგან ტერიტორიული საკითხების მიმართ ნავალნისაც მსგავსი დამოკიდებულება აქვს. რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ იმპერიალისტურ პოლიტიკას რუსული საზოგადოებაც მხარს უჭერს. შესაბამისად, ვინც არ უნდა შეცვალოს პუტინი, მასაც მოუწევს ამ შეხედულებების გაზიარება. ამ რესპონდენტების მტკიცებით, თაობათა ცვლაც კი არ დაძრავს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს, რადგანაც რუს ხალხს ყოველთვის იმპერიალისტური მისწრაფებები ამოძრავებს.

> *„მე პირადად ვერ ვხედავ რუსეთში ისეთ მოცემულობას, შეიძლება რაღაც დოზით ოპოზიციური სიტუაცია ამსუბუქებს ჩვენთვის მდგომარეობას, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვიცით რუსეთის მოქმედი ოპოზიციის ლიდერის პოზიცია ჩვენ ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით, მე არ ვფიქრობ, რომ რუსეთი... შეიძლება, მოხდეს და შეიცვალოს ხელისუფლება, მე არ ვფიქრობ, რომ დიდად ჩვენ შეგვიმსუბუქებს რამეს იმიტომ, რომ ისევ და ისევ რუსეთი მაინც გააგრძელებს თავის ოკუპაციურ პოლიტიკას...” (მამაკაცი, 20, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად ქართველი, ზუგდიდი).*

რესპონდენტებმა რამდენიმე ისტორიული პერიოდი დაასახელეს, რომლებმაც, მათი აზრით, საქართველოსა და რუსეთს შორის ამჟამად არსებული ურთიერთობა განაპირობა. ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა ისაუბრეს 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისზე, მათ შორის, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენებზე, საბჭოთა კავშირის დაშლაზე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და 1992-1993 წლებში აფხაზეთის ომზე. ასევე ხშირად ახსენეს მე-18 საუკუნეში გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატი. ზოგმა რესპონდენტმა 2008 წლის აგვისტოს ომიც გაიხსენა და 1921 წელს წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში.

> *„სამჯერ წარმოაჩინა რუსეთმა თავისი თავი. სამივეჯერ, ჩვენ ვიხედებოდით დასავლეთით. ეს არის დაწყებული მე-18 საუკუნიდან, 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი რომ დაიდო, ჩვენ საბოლოოდ მივეცით რუსეთს საშუალება, რომ დავემონებინეთ. მეორეჯერ იყო, წინა საუკუნის დასაწყისში, როცა დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ფაქტობრივად ევროპის სრულუფლებიანი წევრი ვხდებოდით, არც ეს გვაპატიეს და მესამეჯერ, აგერ უკანასკნელი, 2000, 21-ე საუკუნის დასაწყისში, როცა ჩვენ გვინდოდა ჩვენი ტერიტორიების [დაბრუნება]... ჩვენ არანაირი გარანტია არ გვაქვს, რომ მეოთხეჯერაც მსგავსს არ იზამს, ამიტომ არანაირ მოლაპარაკებას, მე ვფიქრობ, აზრი არ აქვს, თუ ეს სამივეჯერ, სამი პრეზიდენტი იყო რუსეთში ჩასული, სამივეჯერ მივიღეთ უარი” (მამაკაცი, 50, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).*

პოტენციური ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების შესახებ დისკუსიების მსგავსად, განსხვავებული მოსაზრებები გაჟღერდა რუსეთში ქართული დიასპორის პოტენციური როლის შესახებ. ბევრმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მათ ქართველი მეგობრები, ნათესავები და ნაცნობები ჰყავთ რუსეთში. ზოგი მონაწილის მსჯელობა დიასპორის შესახებ მათ პირად გამოცდილებასა და მეგობრებისგან თუ ნათესავებისგან მოსმენილ ამბებს ეფუძნებოდა, სხვების მოსაზრებები კი მხოლოდ ჰიპოთეტურ არგუმენტებს წარმოადგენდა.

ისინი, ვისაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების მოგვარებაში დიასპორის პოტენციალის სჯერა, ამტკიცებს, რომ დიასპორას დიდი გავლენის მოხდენა არ ძალუძს, თუმცა, გარკვეული როლის შესრულება იმით შეუძლია, რომ მეგობრების დამოკიდებულებები შეცვალოს და ხმა მიაწვდინოს ადგილობრივ პოლიტიკოსებს. ასე მათ შესაძლოა იმ ხალხთან დაკავშირებაც მოახერხონ, ვის ხმასაც

რეალური წონა აქვს. ამას, რესპონდენტების თქმით, შეიძლება, წლები დასჭირდეს, თუმცა, რეალური გავლენის მოხდენის პოტენციალი აქვს.

> *„რატომღაც მგონია, რომ [დიასპორას] საკმაოდ დიდი როლი შეუძლია ითამაშოს ამ ურთიერთობებში. შეიძლება ფართო მასშტაბებზე ვერ, მაგრამ, აი, შიდა, როგორ იცით, თოვლის გუნდის პრინციპით, პატარ-პატარა დამოკიდებულებებით, სადაც ცხოვრობენ, მაგალითად, ოლქებში, ქალაქებში და ა.შ. ჯერ სამეგობროში, შემდგომში უფრო ფართო მასშტაბებზე, თუნდაც ექნებათ წვდომა პოლიტიკურ ფიგურებთანაც და ა.შ. ანუ ამ მხრივ შეძლებენ, რომ საკმაო როლი ითამაშონ და საბოლოო ჯამში შეუძლიათ ვინმე მაგალითად, აქტივისტი, რომელიც თამამად დააფიქსირებს ამ თავის აზრს... მე არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ ეს არიქა დღეს, ხვალ და ზეგ გაკეთდება, ან ერთ-ორ წელში, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ 10-15 წლის შემდეგ უკვე შედეგს გამოიღებს და საკმაოდ ნორმალურ შედეგზეც გავა...” (ქალი, 29, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, აჭარა).*

ისინი კი, ვინც სკეპტიკურად უყურებს რუსეთში ქართული დიასპორის პოტენციალსა და როლს, ამტკიცებენ, რომ რუსეთი დემოკრატიული ქვეყანა არაა და იქ ეთნიკურ უმცირესობებს პატივს არ სცემენ. შესაბამისად, ნებისმიერი, ვინც პრობლემების გაჟღერებას ეცდება, შეიძლება, შევიწროების მსხვერპლი გახდეს. რესპონდენტებმა ქართველების მიმართ პუტინის პირადი სიძულვილიც ახსენეს.

რესპონდენტებმა ასევე ახსენეს ისეთი ისტორიული პირები, როგორებიც არიან: სტალინი, ქართველი ცნობილი სახეები და ბიზნესმენები, ვინც ამჟამად რუსეთში მუშაობს. მათი თქმით, ყველა ქართველიც კი არ ცდილობს ქართველების ინტერესების დაცვას. მეორე არგუმენტი ის იყო, რომ რუსეთში ქართველებს პოლიტიკურ სიტუაციასთან დაკავშირებით არაფრის გაკეთება შეუძლიათ ისევე, როგორც საქართველოში მყოფ ქართველებს არ აქვთ მდგომარეობის შეცვლის არანაირი ბერკეტი.

> *„აი, თქვენ ამბობთ დიასპორაო, ბევრ სხვა ქვეყანაში დიასპორა წყვეტს რაღაცებს, კი, მაგრამ ჩვენ გვაქვს ლაპარაკი ქართულ დიასპორაზე რუსეთში, სადაც მთავარსარდალს სძულს ქართველები. ამაზეა ლაპარაკი და ეს რომ, დავუშვათ, ამერიკაში იყოს იმხელა დიასპორა, რაც ჩვენ ახლა რუსეთში გვყავს, შეიძლება რაღაცა გადაწყვიტოს, დემოკრატიულ ქვეყანაში... აი სომხებს ისეთი მაგარი ლობი აქვთ რუსეთში, ძალიან მაგარი ლობი და იმათმა ვერ გადაწყვიტეს, ისე ითამაშა პუტინმა ახლა აზერბაიჯანელებთან მიმართებაში...” (მამაკაცი, 47, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ბათუმი).*

რესპონდენტებმა რუსეთში ქართულ დიასპორაზე ქართული ხელისუფლების გავლენაც ახსენეს. მათი მტკიცებით, ქართული ხელისუფლება დიასპორას შეზღუდვებს უწესებს. თუმცა, ამ თემაზე რესპონდენტებს რაიმეს გადაჭრით თქმა უჭირთ, რადგან, მათი აზრით, ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული მდგომარეობა ქართული ხელისუფლებისთვის ხელსაყრელია. რაც შეეხება პოლიტიკურ ჩარევას დიასპორის საკითხებთან დაკავშირებით, რესპონდენტებმა ახსენეს მიხეილ სააკაშვილის მცდელობა, ხელი შეეწყო დიასპორის ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთვის, რომელსაც, რესპონდენტების თქმით, კრიმინალები ედგნენ სათავეში და ორგანიზაციას პირადი სარგებლისთვის იყენებდნენ.

რესპონდენტები ამტკიცებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართულ დიასპორას პირდაპირი პოლიტიკური როლის შესრულება არ შეუძლია, მას მაინც შეუძლია ქართველებზე რუსული პროპაგანდის შედეგად შექმნილი სტერეოტიპების დამსხვრევა. ზოგ რესპონდენტს მიაჩნია, რომ თუკი ქართული დიასპორა შეძლებს საერთო მიზნის გარშემო ორგანიზებას, როგორც ამას სომხური დიასპორა აკეთებს, იგი შეიძლება საქართველოს ინტერესების გამტარებლად იქცეს.

„ახლა რა არის, იცით? რუსეთში არსებული დიასპორა გამორჩეულია, რუსეთში წასული ჩვენები სერიოზული ბიზნესით არიან დაკავებული. თუ იტალიაში, საბერძნეთში მოსამსახურის დონეზე არის ქართული დიასპორა, იქ უკვე სერიოზული ბიზნესია და რუსეთიდან შემოსული ფული ყველაზე დიდი ინვესტიციაა საქართველოში, ვიდრე სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან, მიუხედავად იქ ხალხის უფრო მეტი რაოდენობისა...” (მამაკაცი, 56, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).

ძირითადი მიგნებები:

- ქართველების უმრავლესობა (74%) ფიქრობს, რომ ქართველ და რუს სახელმწიფოებს შორის მტრული ურთიერთობებია. საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობების მთავარ დაბრკოლებებად ქართველები ყველაზე ხშირად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას (60%) ასახელებენ. ამას მოსდევს მოსკოვის განზრახვა, საქართველო საკუთარი გავლენის სფეროში დააბრუნოს (30%). ფოკუს ჯგუფების მონაწილეებიც მსგავს საკითხებს ახსენებენ და დამატებით უსვამენ ხაზს მცოცავ ოკუპაციასა და მუდმივი საფრთხის განცდას რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის გამო. რუსეთის ასეთი პოლიტიკა მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მიმართაც.
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სკეპტიკურად არიან განწყობილნი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მიმართ, თუკი რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას არ შეწყვეტს. ისინი უფრო მეტად იმ ნაბიჯებზე საუბრობენ, რაც საქართველომ უნდა გადადგას რუსული საფრთხის განეიტრალების ან შემცირებისთვის. ამ მხრივ, ზოგი მიიჩნევს, რომ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია ერთადერთი გამოსავალია, ხოლო სხვები ამბობენ, რომ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია საფრთხეს შეიცავს.
- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ოპტიმისტურადაა განწყობილი ხალხთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში ტურიზმის პოტენციალის (84%) მიმართ და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების (75%) მიმართ.
- ის რესპონდენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეკონომიკურ და სავაჭრო კავშირებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესება შეუძლია, წარსულს იხსენებენ და ამბობენ, რომ მეტი ვაჭრობის დროს ურთიერთობაც უკეთესი იყო. ხოლო მათი ოპონენტები ასევე წარსულს ეყრდნობიან და ამბობენ, რომ რუსეთს ნებისმიერ დროს შეუძლია ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს დადება. მათი მტკიცებით, ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი ვაჭრობაზე უფრო მნიშვნელოვანია.
- ამასთან, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სამცხე-ჯავახეთიდან აუცილებლად მიიჩნევენ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას, რადგან მათი ეკონომიკური კეთილდღეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცირკულარულ მიგრაციაზე რუსეთში სეზონური სამუშაოს შესასრულებლად.

3.6. კონფლიქტური რეგიონები - ცოდნა და დამოკიდებულება

3.6.1 ამჟამინდელი მდგომარეობა კონფლიქტურ რეგიონებში

გამოკითხვაში რესპონდენტებს ჰკითხეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (75%) აცხადებს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. ცამეტი პროცენტი აფხაზეთს რუსეთის ფედერაციის ნაწილად მიიჩნევს, ხოლო 5% ფიქრობს, რომ აფხაზეთი კვაზი დამოუკიდებელი სახელმწიფოა (დიაგრამა 13). უფროს თაობებთან შედარებით (35-54 წლის: 78% და ასაკობრივი ჯგუფი 55+: 76%), ახალგაზრდების უფრო ნაკლები წილი (70%) ამბობს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, ამასთან, თბილისისა (78%) და სხვა ქალაქების (76%) მოსახლეობა უფრო ხშირად ამტკიცებს, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია, ვიდრე სოფლად მცხოვრებნი (72%) (დიაგრამა 13).

სურათი მსგავსია სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში. ქართველების უმრავლესობა (71%) ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია. თექვსმეტი პროცენტი სამხრეთ ოსეთს რუსეთის ფედერაციის ნაწილად მიიჩნევს, 4% კი ფიქრობს, რომ სამხრეთ ოსეთი კვაზი დამოუკიდებელი სახელმწიფოა (დიაგრამა 13). როგორც აფხაზეთის შემთხვევაში, უფროსი ასაკის ადამიანები (75%) უფრო ხშირად ამბობენ, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია, ვიდრე ახალგაზრდები (18-34: 62%). ამ კითხვაზე დასახლების ტიპებს შორის განსხვავება შედარებით უმნიშვნელოა (დიაგრამა 13).

დიაგრამა 13: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი (%)



გამოკითხვის დროს რესპონდენტებს ასევე ჰკითხეს, თუ როგორი მიმართულებით ვითარდება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. ქართველების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება (68% და 69%, შესაბამისი თანმიმდევრობით). გარდა ამისა, მოსახლეობის ერთმა მეხუთედმა არ იცის, თუ როგორი მიმართულებით ვითარდება აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი (20% და 21%, შესაბამისი თანმიმდევრობით). მოსახლეობის მხოლოდ 10% ფიქრობს, რომ აფხაზეთი საერთოდ არ იცვლება, სამხრეთ ოსეთზე კი იმავეს 7% ამბობს (დიაგრამა 14).

მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოიკვეთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს შორის. თუმცა, მოსაზრებები განსხვავდებოდა დასახლებული პუნქტის ტიპების მიხედვით. დედაქალაქისა (72%) და სხვა ქალაქების (72%) მცხოვრებლები უფრო ხშირად ამბობდნენ, რომ აფხაზეთი არასწორი მიმართულებით ვითარდება, ვიდრე სოფლების მოსახლეობა (62%). გარდა ამისა, სოფლად მცხოვრებლებმა (25%) უფრო ხშირად არ იცოდნენ, თუ როგორ შეეფასებინათ აფხაზეთის განვითარების მიმართულება, ვიდრე დედაქალაქის მცხოვრებლებმა (17%) ან სხვა ქალაქების მოსახლეობამ (15%) (დიაგრამა 14).

სამხრეთ ოსეთის განვითარების მიმართულების შეფასებისას რესპონდენტების შეხედულებები განსხვავდებოდა ასაკობრივი ჯგუფებისა და დასახლების ტიპის მიხედვით. ახალგაზრდების (18-34) უფრო მცირე წილი (63%) მიიჩნევდა, რომ სამხრეთ ოსეთი ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება, ვიდრე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (72%) (დიაგრამა 14). ამასთან, დედაქალაქში (73%) და სხვა ქალაქებში (74%) მცხოვრებნი უფრო მეტად ფიქრობდნენ, რომ სამხრეთ

ოსეთი ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება, ვიდრე სოფლებში მცხოვრები ხალხი (64%). სოფლის მოსახლეობას (26%) უფრო უჭირდა სამხრეთ ოსეთის განვითარების მიმართულების შეფასება, ვიდრე დედაქალაქისა (19%) და სხვა ქალაქების (18%) მოსახლეობას (დიაგრამა 14).

დიაგრამა 14: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის განვითარების მიმართულება (%)



ფოკუს ჯგუფის დროს შეგროვებული კვლევის თვისებრივი მიგნებები რაოდენობრივ მონაცემებს ადასტურებს. რესპონდენტების დიდი ნაწილი ამტკიცებს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი[4] საქართველოს ნაწილია და ორივე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფება. ზოგადად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს მეტი ინფორმაცია ჰქონდათ აფხაზეთში არსებულ მდგომარეობაზე, ვიდრე სამხრეთ ოსეთში, გარდა იმ რესპონდენტებისა, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე სოფლებში ცხოვრობენ.

ფოკუს ჯგუფების დროს რესპონდენტების უმეტესობა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ საქართველოსა და მის კონფლიქტურ რეგიონებში კონფლიქტის პროვოცირებასა და მართვას რუსეთი ახორციელებს. მათი თქმით, საქართველოსა და ამ რეგიონებს შორის ომი არ ყოფილა. ეს იყო ომი რუსეთსა და საქართველოს შორის. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: „აფხაზეთშიც და სამაჩაბლოშიც, ყველაფერი, თუ რამე არის გაფუჭებული, ეს ის მესამე ძალაა ჩვენ ორს შორის, არის ის დიდი ქვეყანა, რომელსაც უნდა, რომ ყველას უფროსი იყოს“ (ქალი, 56, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი).

აფხაზეთი

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმეტესობისთვის აფხაზეთი საქართველოს ნაწილია და აფხაზები ქართველები არიან. საერთო ჯამში, რესპონდენტები აფხაზეთში მდგომარეობას უარყოფითად აფასებენ და ამბობენ, რომ იქ ცუდი სიტუაციაა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

4 რესპონდენტებს ერჩიათ, ამ რეგიონისთვის „სამაჩაბლო“ ეწოდებინათ ან „ შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორია“, ვიდრე „სამხრეთ ოსეთი“.

„ტურისტულად გაიმართა, ვითომ, რომ კითხოთ, გაიმართა, მაგრამ მაინც დაძაბული სიტუაცია არის. ავტომატებით დადიან ქუჩებში, რაღაც სხვანაირი სიტუაცია არის. ახლა ჩემი ძმაც რომ იყო ჩასული სამი წლის წინ, სახლიდან რომ გაიხედავდი, ავტომატებით დადიან სამხედრო პირები, ქურდობებიც არის და ძალიან ცუდი სიტუაციაა" (ქალი, 24, საშუალო განათლება, ეთნიკურად ქართველი, ბათუმი).

ეკონომიკური პირობები ძალიან მძიმეა და, ზოგი რესპონდენტის თქმით, აფხაზეთში ხალხი ნანობს, რომ რუსეთი აირჩიეს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი ამტკიცებდა, რომ 1990-იანი წლების შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და კრიმინალი იქ ისევე გავრცელებულია, როგორც საქართველოში იყო 1990-იან წლებში.

„მე მაქვს ინფორმაცია, აფხაზეთში ახლობელს ჰყავს ნათესავები და ბოლო 17 წლის შემდეგ ახლა იყო ორი-სამი წლის წინ და რაც თქვა, რომ 90-იან წლებში როგორი ყოფაც გვქონდა ჩვენ, ახლა არის ისეთი ყოფა ზუსტადო. ძარცვა, ქურდობა... ეგ არის, რომ გადასახადებს არაფერში არ იხდიან საერთოდ, ჩვეულებრივი აღებ-მიცემობა არის, როგორც იყო. ქრთამით ყველაფერი კეთდება" (ქალი, 45+, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი)

ამასთან, ზოგი რესპონდენტის მტკიცებით, აფხაზეთში მთავრობა მოქალაქეებს არ ეხმარება და, განსაკუთრებით პანდემიის დროს, ხალხმა არ იცის, ვის მიმართოს. მათი თქმით, სამედიცინო დახმარებისთვის ბევრი ადამიანი ჩამოვიდა საქართველოში. რესპონდენტების თქმით, ჯანდაცვის სისტემა პანდემიამდეც ცუდი იყო და აფხაზეთიდან საქართველოში ბევრი გადმოდიოდა სამკურნალოდ.

„როგორც ვიცი, სამედიცინო სიტუაცია ისედაც ცუდია, აფხაზეთში ისედაც ცუდი იყო [კოვიდამდე], მანამდე გადმოდიოდა ძალიან ბევრი პაციენტი. ჩემს მეზობლადაც კი ცხოვრობდნენ, აქ ნაქირავები ჰქონდათ აფხაზებს, შვილი ჰყავდათ ჩამოყვანილი, აქ მკურნალობდნენ და ვიცი იმათგან, რომ ძალიან ცუდი მდგომარეობაა აფხაზეთში" (ქალი, 53, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს რუსეთის გავლენასა და რუსულ პროპაგანდაზე აფხაზეთში. მათი მტკიცებით, ახალგაზრდები მხოლოდ რუსულად საუბრობენ და აფხაზურ ენაზე ლაპარაკი არ იციან. რესპონდენტების თქმით, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდას ავრცელებს, რაც საქართველოსთან გაერთიანებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

„აფხაზეთში ახლა ძირითადად რუსული გავლენაა, როგორც ვიცი. ბავშვები და ახალგაზრდა თაობა აფხაზურად არ ლაპარაკობენ და, მე როგორც ვიცი, ძირითადად, გარუსების პოლიტიკა მიმდინარეობს იქ. ისინი როგორც უყურებენ საქართველოს, ერთ-ერთ კაციჭამია ერად აღგვიქვამენ, ალბათ, რუსული პროპაგანდის გავლენით და მაგათთან საერთოდ შერიგებაზე ლაპარაკი ზედმეტია" (კაცი, 32, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი).

რესპონდენტების თქმით, რუსებმა წარსულში ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ აფხაზეთში ხალხს საქართველო შესძულებოდა. ერთი მონაწილე იმასაც კი ყვებოდა, რომ რუსები ქართველების სახელით ომში დანაშაულს სჩადიოდნენ:

„აფხაზეთის ომის დროს რუსებმა რა გათვალეს: ქართველების სახელით იყო დაჯგუფება, იბრძოდა, რომელიც შედიოდა ოჯახებში, აუპატიურებდა, კლავდა, ხვრეტდა, საშინელებებს აკეთებდნენ, ოღონდ ქართველი ჯარისკაცების სახელით და ამიტომ არის, რომ სძულთ ასე ძალიან იმ აფხაზებს ქართველები. იმიტომ, რომ ქართულად საუბრობდნენ და ქართველების სახელით აკეთებდნენ ამ ყველაფერს, მე ეს ვიცი ჩემი მეგობარი მეომრისგან, რომელიც იბრძოდა აფხაზეთში" (კაცი, 42, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

ზოგი რესპონდენტი საკუთარ ბავშვობასაც იხსენებდა, როცა აფხაზეთში ჩადიოდნენ და ეზოში თამაშობდნენ. აფხაზეთში მაშინაც ხშირად საუბრობდნენ რუსულად. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით: „რუსული ვისწავლე იძულებიდან გამომდინარე [აფხაზეთში], იმიტომ რომ არავინ მელაპარაკებოდა თავიდან ეზოში სათამაშოდ ჩასულს და იძულებული ვიყავი... ვთქვათ, ათი ქართველი ბავშვი რომ ვიყავით, ამ ათში მეგრელები, რა თქმა უნდა, შედიოდნენ. ჩამოვიდოდა ორი რუსი და ეს უპირობო ამბავი იყო, რომ ჩვენ ვთამაშობდით რუსულად“ (ქალი, 43, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

ზოგმა რესპონდენტმა თქვა, რომ მათ მეგობრები და ნაცნობები ჰყავთ, რომლებიც აფხაზეთიდან დევნილები არიან და სახლში დაბრუნება არ შეუძლიათ, რადგანაც მათ სახლებში ახლა სხვები ცხოვრობენ. რესპონდენტების ნაწილი ოპტიმისტურად იყო განწყობილი აფხაზი ხალხის მიმართ. მათ აღნიშნეს, რომ აფხაზები უვლიან სახლებს, რომლებიც მანამდე ქართველებს ეკუთვნოდა და სხვებს არ უშვებენ იქ.

თუმცა, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებიდან ყველა ოპტიმისტურად განწყობილი არ არის. ზოგი რესპონდენტის თქმით, ქართველებსა და აფხაზებს შორის კავშირი დიდი ხანია დაკარგულია და ახალი თაობა ქართველებს მტრებად იცნობს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთიდან ხალხი სამედიცინო დახმარების მისაღებად საქართველოში ჩამოდის, ეს საერთო სიტუაციას არ ცვლის და ხალხს აფხაზეთში არ უნდა ქართველებთან ბევრი საერთოს ქონა:

> *„[ახალგაზრდობა] გაზრდილი არის სხვა პრინციპებზე, სხვა აღზრდით, რომ ქართველები მტრები არიან და ეს ჯაჭვი და ეს ძაფი უკვე აღარ არის. ძალიან ძნელია აფხაზეთთან შერიგება, ყოველ შემთხვევაში, 20 წლის და 12 წლის წინ შედარებით უდრო ადვილი იყო, ჩემი აზრით, ვიდრე ახლა იმიტომ, რომ ახალი თაობა არის გაზრდილი, რომელიც მოწყვეტილია საქართველოს” (კაცი, 37, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი)*

რესპონდენტების მტკიცებით, საქართველოში ხალხს აფხაზეთთან მეტი კავშირი და ურთიერთობა უნდა. თუმცა, ამ რეგიონებში ხალხი გამოკეტილია და კავშირები მხოლოდ რუსებთან აქვთ. მათი პასპორტით მხოლოდ რუსეთში შეუძლიათ წასვლა და იმ ქვეყნებში, რომლებიც მათ დამოუკიდებლობას აღიარებს.

სამეგრელოში, ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს მდებარე სოფლებში, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ასევე ამტკიცებდნენ, რომ აფხაზეთში ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან ცუდია და პანდემიის დროს კიდევ უფრო გაუარესდა. ამ სოფლებში მცხოვრებმა ზოგმა რესპონდენტმა ახსენა, რომ აფხაზეთში ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო იმის გააზრება, რომ ისინი დამოუკიდებლები არ არიან და, პირიქით, ძალიან არიან რუსეთზე დამოკიდებული. ისინი მიხვდნენ, რომ არ აქვთ ის თავისუფლება, რაც უნდოდათ და რისთვისაც იბრძოდნენ. ზოგმა ის შემთხვევები გაიხსენა, როდესაც ხალხი აფხაზეთიდან გაქცევას ცდილობდა, ასევე, შემთხვევები, როცა ქართველებს იტაცებდნენ და მეორე მხარეს გადაჰყავდათ. საერთო მოსაზრება იყო, რომ აფხაზ და ქართველ ხალხს კარგი ურთიერთობა ექნებოდათ, რუსები რომ არ იწვევდნენ კონფლიქტს.

> *„ჩვენ ისეთ მხარეში ვცხოვრობთ, სადაც ხელისგულივით ჩანს ყველაფერი, რა ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. ჩვენ თვალწინ სულ მოკლე ხანში შვიდი-რვა წლის წინ აშენდა რუსეთის ჯარების სამხედრო ქალაქი და ამას ვუყურებთ ყოველდღე ჩვენი სოფლიდან ორ კილომეტრში და აკრძალული გვაქვს ენგურზე, ადმინისტრაციულ საზღვართან ჩასვლა, რადგან ყოველ წუთს მოსალოდნელია ადამიანების გატაცება... რამდენიმე მაგალითი გვაქვს სოფელში, როდესაც ჩვენი ბიჭები წაიყვანეს აფხაზეთში, გალის რაიონში, რუსებმა დაიჭირეს ესენი, ფაქტობრივად ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და გადაიყვანეს გალში და გალის მილიციას ჩააბარეს.*

აფხაზეთის მხრიდან და გალის მოსახლეობის მხრიდან, ვინც იზოლატორში იყვნენ, პატივისცემით ეპყრობოდნენ ამ ბიჭებს. გამოჩნდა იქ ნაცნობიც, პატივი სცეს, სამი დღის განმავლობაში არაფერი არ დააკლეს და ის ჯარიმის თანხაც, რომელიც გადასახდელი ჰქონდათ, ე.წ საზღვრის დარღვევის გამო, იმ აფხაზებმა გადაუხადეს და გამოუშვეს ცოცხალი. ამით იმის თქმა მინდა, რომ რუსებმა კი დაიჭირეს, მაგრამ აფხაზებმა კარგად მიიღეს, დააპურეს და არაფერი არ დააკლეს... ურთიერთობის მოგვარება ყოველთვის შეიძლება [აფხაზურ მხარესთან]... მათ დაკარგეს, რისთვისაც ფაქტობრივად იბრძოდნენ, თავისუფლება არ აქვთ... და ისინი კარგავენ თავიანთ პრივილეგიებს აფხაზეთის ტერიტორიაზე" (კაცი, 68, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო).

მეორეს მხრივ, ფოკუს ჯგუფების დროს ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ აფხაზეთში ხალხი ბედნიერია საკუთარი მდგომარეობით: „მეგობარი მყავს აფხაზეთიდან. აქ ცხოვრობს და მშობლები ჰყავს იქ. გადმოცემით ვიცი, რომ იქაური სიტუაცია მოსწონთ მათ, კარგი ცხოვრება აქვთ... ანუ მუშაობს, კარგი ხელფასი აქვს, კარგად ფასდება მისი შრომა და მეტი სხვა არ აინტერესებს" (ქალი, 29, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

გარდა ამისა, ზოგი ეთნიკურად სომეხი რესპონდენტის აზრით, მდგომარეობა აფხაზეთში შეიძლება უკეთესი იყოს ვიდრე საქართველოში, რადგან რუსეთი ეკონომიკურად ძლიერია. მიუხედავად ამისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ იმაზე, თუ რა ხდება კონფლიქტურ რეგიონებში. მათი მტკიცებით, ისინი არანაირ ინფორმაციას არ იღებენ. მათი შთაბეჭდილებით, აფხაზეთი რუსეთის ნაწილია და რუსეთი წყვეტს, თუ რა მოუვა ხალხს აფხაზეთში: „არ ვიცი, როგორ ცხოვრობენ. წესით, ცუდად არ უნდა იცხოვრონ. მომავალთან დაკავშირებით კიდე ვფიქრობ, ყველაფერი უკვე გარკვეულია და ისინი რუსეთის ნაწილს წარმოადგენენ და რუსეთი წყვეტს, თუ იქ რა და როგორ უნდა იყოს" (კაცი, 21, საშუალო განათლება, ეთნიკურად სომეხი, სამცხე-ჯავახეთი).

სამხრეთ ოსეთი

აფხაზეთის მსგავსად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სამხრეთ ოსეთში მდგომარეობას, უმეტესად, უარყოფითად აფასებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ იქ ხალხი ცუდ პირობებში ცხოვრობს. თუმცა, გარკვეული განსხვავებებიც გამოიკვეთა ამ ორი ტერიტორიის შეფასებისას. ზოგი მონაწილის მტკიცებით, აფხაზეთისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთში ხალხს მჭიდრო კავშირები აქვს ჩრდილოეთ ოსეთთან და, შესაბამისად, მეტი მხარდაჭერაც. ამასთან, რესპონდენტების თქმით, ხალხი აფხაზეთიდან უფრო ხშირად კვეთს ადმინისტრაციულ საზღვარს, ხოლო სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვარი ჩაკეტილია.

„[სამაჩაბლო] მართლა მთლიანად ოკუპირებულია და უფრო ცუდი ამბები ხდება იმიტომ, რომ აფხაზეთში ესე არ არის ადამიანების გატაცების ამბები. იგივე საზღვრების გადმოწევა იქით ნაკლებად ხდება ასე ინტენსიურად, ვიდრე ცხინვალის რეგიონში... აფხაზეთში, ვთქვათ, მეგრელები გადადიან იქით, ნათესავებს ნახულობენ. მეტ-ნაკლებად ესეთი გადაადგილებები არის... მეც ვარ ნამყოფი იმ ტერიტორიაზე. რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, მანდ მსგავსი რამეები არ ხდება და ეგრევე ვარდები ტყვედ და საკმაოდ უფრო ისეთი მკაცრი და ცუდი სიტუაციაა, ვიდრე აფხაზეთის მიმართულებით" (ქალი, 42. უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, კახეთი).

ზოგმა რესპონდენტმა ასევე ახსენა, რომ სამხრეთ ოსეთში ხალხს ქართველები არასდროს მოსწონდა და მათ რუსეთის შემადგენლობაში უნდათ შესვლა.

„სამხრეთ ოსეთში, როგორც ვიცი, შვიდი თუ რვა სამხედრო ბაზა არის. მოჩანს, სხვათა შორის, ავტობანიდანაც, რო მიდიხარ საღამოთი, ანთებულია. იქაც არასახარბიელო მდგომარეობა არის... ოსები ჩვენს მიმართ ძალიან ცუდად არიან განწყობილები. 2006 წელი იყო, რო გადავედი

და, აი, ავტობუსით მივდიოდი და ჩვენ გაგვაჩერეს ოსებმა, მოვარდნენ ჩვეულებრივად ქალაქში, კოლხოზნიკის ავტომობილებით, წვერებში, ავტომატებით, ჩვეულებრივად მოქალაქეები. გაგვაჩერეს, გალახეს, ძალიან ცემეს ბევრი საქართველოს მოქალაქე და რო მივდიოდით, მოსახლეობა ხო იყო, კერძო მოსახლეობა, საკუთარი სახლებიდან, ქართულნომრიანი ავტობუსები, ყველა აბსოლუტურად, სანამ მივიდოდით, აი, ძაან ცუდად გვექცეოდნენ, ზოგი ქვებს ისროდა" (კაცი, 37, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, იმერეთი).

შიდა ქართლში საზღვრის პირა სოფლების წარმომადგენელ რესპონდენტებს შედარებით მეტი ინფორმაცია ჰქონდათ მდგომარეობაზე სამხრეთ ოსეთში და ისინიც ამბობდნენ, რომ იქ ცუდი სიტუაციაა. ამის მიუხედავად, რესპონდენტების თქმით, იქ მცხოვრებ ხალხს ქართველებთან ერთად ცხოვრება არ უნდა.

„აფხაზეთის მდგომარეობა არ ვიცი, მაგრამ ოსებთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს. ჩვენი სოფელი და მათი სოფელი გვერდი-გვერდ არის. ბაღები შუაზეა გაყოფილი. ჩვენ შუაში არის მავთულხლართები და მავთულხლართების იქით ისინი არიან, მავთულხლართების აქეთ - ჩვენ. ერთმანეთს ვხედავთ ყოველდღიურად. ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან, შევიწროვებულები არიან, მაგრამ მაინც არ უნდათ ჩვენთან. ხო ეტყობათ, ხო ემჩნევათ იმათ. შეიძლება, მოგვატყუონ, შეიძლება, თქვან, ვაიმე, ესე, მაგრამ არა, მაინც არ უნდათ ჩვენთან. კი ამბობენ, ვითომ გვინდაო, მაგრამ არ უნდათ ურთიერთობა ჩვენთან. წლებია უკვე არ უნდათ" (კაცი, 42, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).

რესპონდენტების თქმით, ახალგაზრდა თაობის შემთხვევაში ეს კავშირი კიდევ უფრო დაკარგულია. უფროს ხალხს ქართველებთან კონტაქტი კიდევ აქვს და კარგი ამბებიც ახსოვს. რესპონდენტები შიდა ქართლის საზღვრისპირა სოფლებიდან ამბობენ, რომ სამხრეთ ოსეთში მდგომარეობაზე ინფორმაცია პირდაპირ იქ მცხოვრები ხალხისგან აქვთ, ტელეფონით ან პირისპირ, როცა სამხრეთ ოსეთიდან ხალხი ჩამოდის.

საზღვრისპირა სოფლებიდან რესპონდენტები ასევე აცხადებენ, რომ რუსები დაეპატრონენ ტერიტორიას და ხალხს ოსურად ლაპარაკის უფლებას არ აძლევენ. აფხაზების მსგავსად, ხალხი სამხრეთ ოსეთიდანაც კვეთდა ადმინისტრაციულ საზღვარს და გადმოდიოდა საქართველოში სამედიცინო დახმარების მისაღებად ან საყიდლებზე. რესპონდენტების თქმით, ესეც იმაზე მიუთითებს, რომ სამხრეთ ოსეთში ცუდი მდგომარეობაა. გარდა ამისა, რესპონდენტების მტკიცებით, სამხრეთ ოსეთში არის ხალხი, ვისაც რუსეთის შემადგენლობაში შესვლა უნდა, თუმცა, ისეთებიც არიან, ვისაც საქართველოსთან შემოერთება უნდა. მათი თქმით, ეს მოსაზრებაც მათ ასაკთანაა კავშირში.

„მე ვფიქრობ, უფრო ახალგაზრდა თაობას არ ენდომება, თორე ხანშიშესულ თაობას ენდომება ურთიერთობები. იმიტომ, რომ წარსული გვქონდა მაინც საერთო, ნათესავური ურთიერთობები იყო და ისინიც ცნობენ ქართველ ერს, ქართველების ხასიათს და მათ უფრო ენდომებათ, ვიდრე ახალგაზრდებს, ვინც მომსწრე არიან ამ ომების. იმათმა ქართველები მხოლოდ ცუდი მხრიდან გაიცნეს, კონფლიქტიდან გამომდინარე" (ქალი, 41, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).

რესპონდენტებმა აფხაზეთის საზღვრისპირა სოფლებიდან აღნიშნეს, რომ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან სიტუაცია უფრო ჩახლართულია და არ არსებობს ბუნებრივი საზღვარი, როგორიცაა მდინარე ენგური.

„იქ უფრო სხვანაირი სიტუაცია მგონია იმიტომ, რომ ჩვენ აქ, გინდათ თუ არ გინდათ, საზღვარი არის, ჩვენთან ენგური ყოფს და პირობითად ვამბობ, რომ საზღვარი არის... და იქ რუსი, რომელიც დათვრება, სამხედრო, როგორ წავა, როგორ მოვა, კაცმა არ იცის. ხო და ეს არის ძირითადი,

გატაცებები და რაღაცა, ნახევარი სახლი ოკუპაციაში ექცევა, ნახევარი ისე რჩება. იქ თავის ეზოში რომ მოძრაობს, იმასაც იჭერენ და ძირითადად ესეთი რაღაცეები ხდება იქით... იქ არის ღია ტერიტორია, ღია სივრცეები არის და მცოცავი ოკუპაცია უფრო მარტივია" (კაცი, 36, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო).

ისევე, როგორც აფხაზეთის შემთხვევაში, ეთნიკურ უმცირესობებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია სამხრეთ ოსეთში არსებულ ვითარებაზე. ერთი რესპონდენტის თქმით:

„იქაც [სამხრეთ ოსეთში] იგივე მდგომარეობაა, რაც აფხაზეთზე ითქვა. ინფორმაცია არც მის შესახებ მაქვს" (ქალი, 33, უმაღლესი განათლება/სტუდენტი, ეთნიკურად სომეხი, სამცხე ჯავახეთი).

3.6.2 კონფლიქტური რეგიონების მომავალი

რესპონდენტებს ჰკითხეს აზრი კონფლიქტური რეგიონების მომავალზე. ქართველების უმრავლესობა (61%) ფიქრობს, რომ ათი წლის შემდეგ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი იქნება. შვიდ პროცენტს სჯერა, რომ იგი რუსეთის ნაწილი იქნება, 29% კი ამბობს, რომ უჭირს პასუხის გაცემა (დიაგრამა 15). სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და დასახლების ტიპში შეხედულებები განსხვავდება. ახალგაზრდების უფრო მცირე ნაწილი (56%) ამბობს, რომ აფხაზეთი 10 წელიწადში საქართველოს ნაწილი იქნება, ვიდრე 35-54 წლის მოსახლეობა (66%) და 54 წელს გადაცილებული ადამიანები (61%). რაც შეეხება დასახლების ტიპს, დედაქალაქში (63%) და სხვა ქალაქებში მცხოვრებთა (67%) უფრო დიდი ნაწილი ამბობს იმავეს, სოფლის მოსახლეობასთან შედარებით (57%) (დიაგრამა 15).

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, ქართველების უმრავლესობას (62%) სჯერა, რომ ის ათი წლის შემდეგ საქართველოს ნაწილი იქნება. რვა პროცენტი ფიქრობს, რომ იგი რუსეთის ნაწილი იქნება, ხოლო მოსახლეობის ერთ მეოთხედზე მეტმა (27%) არ იცის, სამხრეთ ოსეთს ათი წლის შემდეგ რა სტატუსი ექნება (დიაგრამა 15). ახალგაზრდების უფრო მცირე წილს (54%) სჯერა, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილი იქნება, ვიდრე 35-54 წლის ხალხს (67%) და 54 წელს გადაცილებულ ადამიანებს (64%). რესპონდენტების შეხედულებები დასახლების ტიპის მიხედვით მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

დიაგრამა 15: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი ათი წლის შემდეგ (%)



ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს უნდათ, რომ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მომავალთან დაკავშირებით. ისინი ამბობენ, რომ სურთ, ეს რეგიონები ისევ საქართველოს შემადგენლობაში იხილონ. თუმცა, ყველა ფოკუს ჯგუფში იყო რამდენიმე მონაწილე, რომელიც აფხაზეთს დაკარგულად მიიჩნევდა. მათი თქმით, აფხაზეთის დაბრუნება მოლაპარაკებებით შეუძლებელია, რუსეთთან ომის მოგება კი - წარმოუდგენელი. რესპონდენტების აზრით, აფხაზეთი დაკარგულია, რადგან რუსეთს იქ მცხოვრებ ხალხზე დიდი გავლენა აქვს.

> *„[აფხაზეთი] არც დაგვიბრუნდება და არც არაფერი, ჩემი აზრით. ეს არის ჩვეულებრივი ილუზიები. იმიტომ, რომ არც თვითონ არ ვუნდივართ და უკვე ქართველებშიც ის დამოკიდებულებაა, ყველამ იცის, რომ აფხაზებს ქართველები არ მოსწონთ და უკვე აქედანაც რაღაც ნეგატიური აზრები ჩნდება. მგონია, რომ ჩემს სიცოცხლეში მაინც მინიმუმ იმას ვერ მოვესწრები, რომ აფხაზეთი და საქართველო გაერთიანდეს" (კაცი, 27, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი).*

აფხაზეთთან შედარებით, რესპონდენტებს ნაკლები ინფორმაცია და მოსაზრებები ჰქონდათ სამხრეთ ოსეთზე. თუმცა, საერთო განცდა იყო, რომ ოსებს რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა ურჩევნიათ, რაც საქართველოსთან გაერთიანების შანსებს ამცირებს. ზოგი ეთნიკურად სომეხი რესპონდენტის თქმით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მომავალში რუსეთის ნაწილი გახდება: „უფრო მოსალოდნელია, რომ [სამხრეთ ოსეთი] რუსეთის ნაწილი გახდება. როგორც ვიცი, მანდ ხალხისთვის რუსული საბუთები დაურიგებიათ და ეგრე ცხოვრობენ. გამოდის, რომ მომავალში, ალბათ, რუსეთს შეუერთდება" (ქალი, 61, ეთნიკურად სომეხი, სამცხე ჯავახეთი).

ამის საწინააღმდეგოდ, ზოგ რესპონდენტს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ თუ საქართველო ეკონომიკურად ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნება, შეიძლება, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ხალხს საქართველოსთან კვლავ გაერთიანება მოუნდეს. მათი თქმით, საქართველო ეკონომიკურად უნდა განვითარდეს, რომ აფხაზები და ოსები დააინტერესოს: „უნდა შევქმნათ ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომ დავაინტერესოთ ის აფხაზეთი და ის ოსეთი, რომ, აი, ჩემთან ჯობს და ჩემს მხარეზე გადმოვიდეს. დღეს რუსი იმას ისეთ პენსიას აძლევს, იმას ჩემკენ არ მოუნდება ნამდვილად გადმოსვლა" (ქალი, 64, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).

3.6.3 რუსეთის მიერ კონფლიქტური რეგიონების დაფინანსება

რაოდენობრივი გამოკითხვიდ დროს, რესპონდენტებს სთხოვეს, გამოეხატათ საკუთარი დამოკიდებულება რუსეთის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფინანსური მხარდაჭერის მიმართ. მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთის ამ პოლიტიკას მხარს არ უჭერს (44% აფხაზეთისა და 45 % სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში). თოთხმეტი პროცენტი რუსეთის მიერ აფხაზეთის ფინანსურ დახმარებას მხარს უჭერს, 13% კი - სამხრეთ ოსეთის ფინანსურ დახმარებას. ცხრიდან ერთი ქართველი (11%) ნაწილობრივ უჭერს მხარს რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ რეგიონების ფინანსურ დახმარებას. დაახლოებით იგივე წილი კი ამბობს, რომ მათთვის სულერთია, ეხმარება თუ არა რუსეთი ფინანსურად აფხაზეთს (12%) და სამხრეთ ოსეთს (13%) (დიაგრამა 16).

რუსეთის მიერ აფხაზეთის ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით გარკვეული განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და დასახლების ტიპს შორის. უფროსი ასაკის ადამიანები ისე ხშირად არ უჭერენ მხარს რუსეთის მიერ აფხაზეთის დაფინანსებას, როგორც 18-34 წლის ასაკის ადამიანები. თბილისის მოსახლეობის ნახევარი (50%) რუსეთის დახმარებას მხარს არ უჭერს, განსხვავებით სხვა ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის 44%-ისა და სოფლებში მცხოვრებთა 39%-ისა (დიაგრამა 16).

რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და დასახლების ტიპს შორის. 35-54 ასაკის ადამიანთა (49%) და 54 წელს გადაცილებულთა თითქმის ნახევარი (49%) არ ემხრობა რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დაფინანსებას, ხოლო ახალგაზრდების უფრო მცირე წილი (38%) ამბობს იმავეს. დასახლების ტიპს რაც შეეხება, თბილისის მოსახლეობის ნახევარი (52%), სხვა ქალაქების მცხოვრებელთა 46% და სოფლებში მცხოვრებთა 41% არ უჭერს მხარს რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთის ფინანსურ დახმარებას (დიაგრამა 16).

დიაგრამა 16: რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის ფინანსური დახმარების გაწევის მხარდაჭერა (%)



თვისებრივი კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ საქართველოში ხალხი, ზოგადად, უარყოფითადაა განწყობილი რუსეთის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფხაზეთის დაფინანსების მიმართ, რადგანაც, მათი აზრით, რუსეთი ამას იმიტომ აკეთებს, რომ აფხაზეთს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს. რესპონდენტების მტკიცებით, რუსეთს რეალურად ამ რეგიონში არაფრის განვითარება არ უნდა. მას მხოლოდ ის სურს, რომ აფხაზეთი საკუთარი გავლენის ქვეშ იყოლიოს და მისი პორტი შავ ზღვაზე გასასვლელად გამოიყენოს. რესპონდენტების აზრით, აფხაზეთის დაფინანსება რუსეთის მხრიდან ჭკვიანური ნაბიჯია, რადგანაც ეს რეგიონს რუსეთზე დამოკიდებულს ხდის და იმის შანსს ამცირებს, რომ აფხაზებს საქართველოსკენ გამოხედვა მოუნდეთ.

> *„რუსეთის მხრიდან აფხაზეთის დაფინანსება არ არის გამოწვეული სიკეთის გამოვლინებით და თანაგრძნობით. ესეც არის პოლიტიკური გათვლა, რომ მიბმული იყოს აფხაზეთი რუსეთზე. და რას ნიშნავს დაფინანსება? რომ შენ [აფხაზეთს] თვითონ არ შეგიძლია დამოუკიდებლად რაღაც აწარმოო, იყო შემოქმედი საკუთარი სახელმწიფოსი და ეს არის, პირიქით, ძალიან ცუდი, რომ ასე არიან მიბმულები, ეს არის განუვითარებლობისკენ მიმავალი გზა" (ქალი, 44, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ზუგდიდი).*

მეორეს მხრივ, ზოგმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთი უნდა აფინანსებდეს რეგიონს, რადგანაც ვინმემ იქ მცხოვრებ ხალხზე უნდა იზრუნოს: „ასეც უნდა იყოს, ალბათ. თუ დაიპყრო, უნდა მიხედოს კიდეც ამ ხალხს. საკმარისად თუ აფინანსებს [ეჭვი მეპარება], რასაც ვუყურებთ დანგრეულია ყველაფერი. ქუჩები ჩამონგრეული, ხალხი უყურადღებოდ. რა ვიცი, აბა, [ეჭვი მეპარება], სათანადოდ ყურადღებას აქცევდეს“ (ქალი, 52, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, იმერეთი).

კითხვაზე, რა აზრის იყვნენ იმაზე, რომ აფხაზეთისთვის ფინანსური მხარდაჭერა საქართველოს აღმოეჩინა, რამდენიმე რესპონდენტი ცოტათი განაწყენდა, რადგანაც, მათი თქმით, თუკი აფხაზეთში ხალხს არ უნდა, რომ საქართველოს ნაწილი იყოს, საქართველოდან არც რაიმე დახმარების მიღება უნდა უნდოდეთ. ზოგი მონაწილის აზრით, საქართველოც აფინანსებს და მხარს უჭერს აფხაზეთს. მათი განცდით, რუსეთი უნდა ზრუნავდეს აფხაზებზე, რადგანაც მათ აირჩიეს რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა. ამ მოსაზრებას ოპონენტებიც გამოუჩნდა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ აფხაზეთში ქართველი ხალხი ცხოვრობს და ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ და გავაგრძელოთ მათთან მოლაპარაკება.

> *„შეიძლება ეს პოლიტიკისთვის არ არის სწორი, მაგრამ მე ვთვლი, რომ იქაურ მოსახლეობას არც შუქი უნდა გადაუხადოს საქართველოს მთავრობამ. რომ ვეხვეწებოდით, რომ ახლა კორონა არის და იქნებ აქეთ გადმოვიდნენ, ვუმკურნალოთ, პრობლემები როცა აქვთ. ხომ უნდათ რუსეთი? კეთილი ინებოს რუსეთმა და აფხაზეთიდან თავის ავადმყოფი წაიყვანოს რუსეთში, საჭიროების მქონეც წაიყვანოს, განათლების მიღება ვისაც უნდა, ისიც წაიყვანოს და დააფინანსოს თავის ბიუჯეტიდან... თვითონ აფხაზეთის გვერდზეც წამიკითხავს, რომ ქართველებმა მადლობა თქვან, რომ ჩვენ თუ ვიკადრეთ და მათთან წავედითო, სასწავლებლად იქნება თუ სამკურნალოდო... კეთილი ვინებოთ ჩვენ და არც დავეხმაროთ, არც არაფერი... აფხაზებს როცა ჩვენ არ დავეხმარებით, ისინი მიხვდებიან, რომ რუსეთისგან არ აქვთ იმდენი სიკეთე, რამდენიც შეიძლება საქართველოსგან მიიღონ" (ქალი, 18-44, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ზუგდიდი).*

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს მსგავსი დამოკიდებულებები ჰქონდათ რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დაფინანსების საკითხთან მიმართებაშიც. ბევრს ჰქონდა უარყოფითი დამოკიდებულება და ამბობდა, რომ რუსეთი ქართულ პოლიტიკაში ერევა. თუმცა, ზოგი მონაწილე იმასაც ამტკიცებდა, რომ რუსული ფულის, რუსული პასპორტებისა და რუსული პენსიის მიღების სურვილი სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისგან მოდის: „იცით რა, ამ დაფინანსებასთან დაკავშირებით და ამ პენსიებზე, თვითონ მოსახლეობის ნებაც იყო, რომ ეს რუსეთიდან წამოსულიყო იმიტომ, რომ უკეთეს პენსიას იღებდნენ იქიდან. თვითონ ცდილობდა მოსახლეობა, რომ რუსული პასპორტები აეღოთ. რა თქმა უნდა, რუსეთიდან მოდიოდა ეს ყველაფერი, მაგრამ მოსახლეობაც თანახმა იყო, რომ რუსული პასპორტები ჰქონოდა რუსული პენსიისთვის“ (ქალი, 53, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).

ზოგი რესპონდენტი (განსაკუთრებით ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლებიდან) გაღიზიანებულია იმ ფაქტით, რომ სამხრეთ ოსეთში ხალხმა რუსეთის ნაწილად ყოფნა აირჩია. ისევე, როგორც ეს აფხაზეთის შემთხვევაში იყო, აქაც, რამდენიმე რესპონდენტმა ახსენა, რომ რადგანაც რუსეთს სამხრეთ ოსეთი ოკუპირებული აქვს, იმის პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს, რომ იქ მცხოვრებლებს დაეხმაროს: „რუსეთმა, ხო, თავის თავზე აიღო ვალდებულება და უნდა დაეხმაროს“ (ქალი, 64, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია (75% და 71%, შესაბამისი თანმიმდევრობით) და ოდნავ ნაკლები პროცენტი მიიჩნევს, რომ ათ წელიწადში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილი გახდება (61% და 62%, შესაბამისი თანმიმდევრობით). 35 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებთან შედარებით, ახალგაზრდები (18-34) უფრო ნაკლებად მიიჩნევენ კონფლიქტურ რეგიონებს საქართველოს ნაწილად.
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აცხადებენ, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რეგიონების კონფლიქტი რუსეთის მიერაა პროვოცირებული და მართული.
- მოსახლეობის უმრავლესობას სჯერა, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება (68% და 69%, შესაბამისი თანმიმდევრობით). ამ მიგნებებს თვისებრივი მონაცემებიც ამყარებს, რადგან ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ორივე რეგიონში მდგომარეობას მძიმედ აღწერენ. რესპონდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ რუსული გავლენა და პროპაგანდა იქ მცხოვრებ ხალხს რუსეთისკენ უბიძგებს, აიძულებს, რუსულად ისაუბრონ და მათ რუსეთზე ეკონომიკურად დამოკიდებულს ხდის.
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი ამტკიცებს, რომ კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ხალხს არ უნდა, რომ რუსეთის ნაწილი იყოს და დამოუკიდებლობას ამჯობინებს. მათი აზრით, კარგი ურთიერთობებით იქ მცხოვრებ ხალხსა და ქართველებს შორის კავშირების აღდგენა შესაძლებელია. ამის საპირისპიროდ, სხვა რესპონდენტები ამტკიცებენ, რომ კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები ხალხი დაკარგულია, რადგან მათ რუსეთისგან მიღებული მხარდაჭერა მოსწონთ. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ასევე ამბობენ, რომ კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს ქართველების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, რადგანაც დროთა განმავლობაში ის კავშირი ქრება, რაც ქართველებს ამ რეგიონებთან ჰქონდათ.
- აფხაზეთთან შედარებით, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს ნაკლები ინფორმაცია და მოსაზ-რებები ჰქონდათ სამხრეთ ოსეთის შესახებ. თუმცა, ზოგადი შეხედულებებით ოსებს რუსეთთან ყოფნა ურჩევნიათ, რაც გაერთიანების შანსებს ამცირებს.
- მოსახლეობის დიდი წილი არ ემხრობა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის ფინანსური დახმარების ფაქტს (44% და 45%, შესაბამისი თანმიმდევრობით). ახალგაზრდებთან (18-34) და დედაქალაქის გარეთ მცხოვრებლებთან შედარებით, უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (35+) და დედაქალაქის მცხოვრებლები რუსეთის მიერ კონფლიქტური რეგიონების დაფინანსების წინააღმდეგნი არიან. ფოკუს ჯგუფების ბევრი მონაწილეც ეწინააღმდეგება ამ იდეას და ამბობს, რომ რუსეთი ყიდულობს რეგიონებს და იქ საკუთარ გავლენას ავრცელებს. რესპონდენტების თქმით, ეს პოლიტიკური ნაბიჯია ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად.
- ამავდროულად, მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი მხარს უჭერს ან ნაწილობრივ მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაფინანსებას. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი აცხადებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლებზე ვინმემ უნდა იზრუნოს და რადგან რუსეთმა ეს ტერიტორიები მიისაკუთრა, პასუხისმგებლობაც აქვს, რომ იქ მცხოვრებ ხალხს მიხედოს.

3.7. ჩრდილოეთი კავკასია - ცოდნა და დამოკიდებულება

კვლევის დროს რესპონდენტებს ჰკითხეს ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკების შესახებ და მათ მიმართ დამოკიდებულებაზე. კითხვაზე, ჩრდილოეთი კავკასიის რომელი რესპუბლიკა იყო ყველაზე კეთილგანწყობილი საქართველოს მიმართ, საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარმა (46%) ვერცერთი რესპუბლიკის დასახელება ვერ შეძლო. ხუთიდან ერთი მოქალაქე მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთი კავკასიის არცერთი რესპუბლიკა საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი არ არის. თერთმეტმა პროცენტმა ყველაზე კეთილგანწყობილ რესპუბლიკად ინგუშეთი დაასახელა. ამას მოსდევს დაღესტანი (5%), ჩეჩნეთი (4%) და ჩრდილოეთი ოსეთი-ალანია (4%). სხვა რესპუბლიკები კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (ცხრილი 7).

ცხრილი 7. თქვენი აზრით, ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებიდან, რომელია ყველაზე კეთილგანწყობილი საქართველოს მიმართ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ადიღე	2%	1%	0%	1%	1%	1%	1%
ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი	0%	1%	1%	1%	1%	1%	1%
ყაბარდო-ბალყარეთი	1%	2%	2%	2%	1%	2%	2%
ჩრდილოეთი ოსეთი - ალანია	3%	4%	5%	4%	4%	5%	4%
ინგუშეთი	8%	13%	11%	15%	12%	7%	11%
ჩეჩნეთი	4%	3%	5%	5%	4%	4%	4%
დაღესტანი	4%	5%	5%	5%	5%	5%	5%
სხვა	1%	1%	1%	1%	0%	1%	1%
ყველა მათგანი ერთნაირად	4%	5%	8%	5%	5%	6%	6%
არცერთი	21%	20%	19%	19%	21%	20%	20%
არ ვიცი	52%	45%	42%	42%	47%	48%	46%
უარი პასუხზე	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

საქართველოში მცხოვრები ადამიანების აზრი თითქმის თანაბრად გაიყო კითხვაზე, თუ რამდენად გვანან ან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ჩრდილოეთი კავკასიელი და ქართველი ხალხი. ორმოცდასამი პროცენტი ფიქრობს, რომ ისინი ერთმანეთს გვანან (39% უფრო გვანან, ვიდრე განსხვავდებიან და 3% ძალიან გვანან), ხოლო 39% მიიჩნევს, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან (28% უფრო განსხვავდებიან, ვიდრე გვანან და 11% - ძალიან განსხვავდებიან). თვრამეტ პროცენტს უჭირს იმის განსაზღვრა, ჩრდილოეთი კავკასიელი და ქართველი ხალხი გავს თუ განსხვავდება ერთმანეთისგან (ცხრილი 8).

ცხრილი 8. თქვენი აზრით, რამდენად გვანან ან განსხვავდებიან ერთმანეთისგან ჩრდილოეთ კავკასიელი და ქართველი ხალხი? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძალიან გვანან ერთმანეთს	3%	4%	3%	3%	3%	4%	3%
უფრო გვანან, ვიდრე განსხვავდებიან	37%	41%	39%	41%	41%	37%	39%
უფრო განსხვავდებიან, ვიდრე გვანან	32%	26%	27%	30%	28%	27%	28%
ძალიან განსხვავდებიან	11%	9%	12%	15%	11%	8%	11%
არ ვიცი	18%	19%	19%	10%	18%	24%	18%
უარი პასუხზე	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%

მათ შორის, ვინც ფიქრობს, რომ ჩრდილოეთი კავკასიელი და ქართველი ხალხი ერთმანეთს გავს (43%), უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს მსგავსება გამოიხატება კულტურაში, წეს-ჩვეულებებში, ტრადიციებსა და/ან ღირებულებებში (58%), ისევე როგორცხალხის ხასიათში (47%) (დიაგრამა 17). ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ჩრდილოეთი კავკასიელი და ქართველი ხალხი ერთმანეთისგან განსხვავდება (39%), ასევე, უფრო ხშირად ამბობს, რომ ხალხი განსხვავდება კულტურით, წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით და/ან ღირებულებებით (55%), რელიგიით (40%) და ხასიათით (26%) (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17: მსგავსებები და განსხვავებები ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს შორის (%)



შენიშვნა: დაშვებული იყო რამდენიმე პასუხის არჩევა. შესაბამისად, მთლიანი პროცენტული ჯამი 100%-ს აღემატება. კითხვა მსგავსებისა და განსხვავების შესახებ დაესვათ მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც თქვეს, რომ ჩრდილოეთი კავკასიელი და ქართველი ხალხი გავს ერთმანეთს (43%) ან განსხვავდება ერთმანეთისგან (39%).

კვლევის თვისებრივ ნაწილშიც მსგავსი მოსაზრებები დაფიქსირდა. ფოკუს ჯგუფების დიდმა ნაწილმა არ იცოდა ბევრი ჩრდილოეთი კავკასიის შესახებ. ისინი, ვისაც ინფორმაცია ჰქონდა, ამბობდნენ, რომ ეს ინფორმაცია ტელევიზიით, ინტერნეტით ან უნივერსიტეტში სწავლის დროს ჰქონდათ მიღებული. მათი აზრით, ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკები რუსეთის გავლენის ქვეშ არიან. რესპონდენტების ვარაუდით, იქ მცხოვრებ ხალხს არ მოსწონს რუსეთის გავლენის ქვეშ ყოფნა, თუმცა, მათ ბევრი არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, რადგანაც პუტინისა და კრემლის წინააღმდეგ წასვლის ეშინიათ.

> *„საკმაოდ კარგად ვიცნობ ამ ხალხს. ყველას არა, მაგრამ საკმაოდ დიდი დრო მაქვს გატარებული მათთან ერთად და მეგობრულები არიან ჩვენს მიმართ. მაგრამ არის დიდი ხელისშემშლელი პირობა: ის, რომ დიდი დათვი არ აძლევს გასაქანს. ეს არის და ეს, როგორც კი გულში გაივლებენ, ოდნავ მაინც, რომ დამოუკიდებლობა უნდათ, იმ წუთში ახალ ომს ან ახალ ტერორისტულ აქტს იღებენ რუსეთის მხრიდან" (კაცი, 50, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).*

ზოგი რესპონდენტის თქმით, ჩრდილოეთ კავკასიაში ხალხი ქართველებისადმი დადებითადაა განწყობილი, მაგრამ რუსეთი ერევა და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ პატარა ქვეყნებსა და კავკასიის რესპუბლიკებს შორის შუღლი დანერგოს და კონფლიქტი წარმოშვას:

> *„მთელი ჩრდილოეთი კავკასიის შესახებ რომ ვისაუბრო, ზუსტად იგივე პოლიტიკას ატარებდა რუსეთი საუკუნეების განმავლობაში, რა პოლიტიკასაც ის ატარებდა საქართველოსთან მიმართებით. ანუ ვგულისხმობ „დაყავი და იბატონეს" პრინციპს. თუნდაც სამხრეთ კავკასიაში სურდა, რომ საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი დაეპირისპირებინა ერთმანეთთან. იმავეს აკეთებდა [ჩრდილოეთ კავკასიაში]. იავნანამ რა ჰქმნა, ყველამ ვიცით, ლეკები გადმოდიოდნენ, საქართველოდან გაყავდათ ბავშვები და იტაცებდნენ და ა.შ. ეს იყო წმინდა იმპერიალისტური პოლიტიკა, სადაც რუსეთი აჩვენებდა კავკასიელ ხალხს, თუნდაც საქართველოს, რომ, აი, დაღესტანი ცუდი იყო, რას უკეთებს და რუსეთს შეუძლია დაეხმაროს... იგივე გაკეთდა ჩეჩნეთშიც, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენზე ცუდ მდგომარეობაში არიან, იმიტომ რომ რუსეთი მათთან ტერიტორიული*

თვალსაზრისით უფრო ახლოს არის, ვიდრე საქართველოსთან... საქართველოს უფრო აქვს შესაძლებლობა რაღაცის თქმის და რაღაცის გაპროტესტების, ვიდრე მათ" (ქალი, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისთვის ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებიდან ყველაზე ნაცნობი ჩეჩნეთი იყო. რესპონდენტების თქმით, ჩეჩნეთში ხალხს ეშინია რამზან კადიროვის, დიქტატორის, რომელიც კრემლის ინსტრუქციებს ასრულებს. თუმცა, მანამდე, სანამ გამსახურდია იყო პრეზიდენტი, საქართველოს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ჩეჩნეთთან, როცა ეს უკანასკნელიც თავისუფ-ლებისთვის იბრძოდა.

„მაგრამ ჩვენ მივხვდით, რომ ერთი პრობლემა გვაქვს ყველას საერთო და ამას რუსეთი ჰქვია. ჩეჩნეთში ხელდასმული პატივცემული კადიროვი ჰყავს რუსეთს და იქაც ძალიან მძიმე ვითარებაა პოლიტიკური, სოციალური, ადამიანური. არ ვარ ამ ქვეყნებში ჩახედული, მაგრამ ხშირად ხდება ტერაქტები, ადამიანები იხოცებიან, ადამიანები ადამიანებს კლავენ პოლიტიკური ნების, განსხვავებული აზრის გამო" (ქალი, 43, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ზუგდიდი).

რესპონდენტებს ყველაზე დადებითი დამოკიდებულება ინგუშეთის მიმართ ჰქონდათ. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თქმით, 1993 წელს აფხაზეთის ომში ისინი ქართველების წინააღმდეგ არ იბრძოდნენ მაშინ, როდესაც ყველა სხვა რესპუბლიკიდან რუსეთი ხალხს ქირაობდა ან აიძულებდა, რომ ომში ჩართულიყვნენ. ზოგმა რესპონდენტმა ასევე აღნიშნა, რომ სანამ რუსეთი ჩაერეოდა, საქართველოსა და ინგუშეთს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მათი თქმით, ხევსურები ინახავდნენ და უვლიდნენ ინგუშების სახლებს, როდესაც ისინი ინგუშეთიდან ძალით გადაასახლეს 1944 წელს, საბჭოთა პერიოდის დროს. რამდენიმე რესპონდენტმა დაღესტანიც ახსენა. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფლების წარმომადგენლებმა ფოკუს ჯგუფებში ყაბარდო-ბალყარეთი ახსენეს, როგორც არაკეთილგანწყობილი რესპუბლიკა. მათი თქმით, ბალყარებს აფხაზებთან ნათესავური კავშირები ჰქონდათ და ქართველებს ავიწროვებდნენ.

„როდესაც გადაასახლეს სტალინის პერიოდში ინგუშები და ჩრდილოეთი კავკასიელები, იქ ჩაასახ-ლეს ქართველები და ოსები. რომ დაბრუნდნენ შემდეგ პერიოდში, ერთ-ერთი ხალხი ვინც დაუტოვა ის სახლი და ძროხაც და, ასე ვთქვათ, სიმბოლურად ნათქვამია, ბუხარი ანთებული, ქართველები იყო და მის მერე ერთ-ერთი შედეგი არის, რომ ურთიერთობა ინგუშებთან მოწესრიგებულია და ინგუშები არიან ერთადერთი წარმომადგენლები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ აფხაზეთის ომში" (კაცი, 55, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).

რესპონდენტებმა, ვისაც გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკების შესახებ, თქვეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში ხალხი ერთმანეთს გავს გარეგნობით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, წარმომავლობით, გენეტიკით, ღირებულებებით და, ასევე, სურვილით, რომ თავისუფალი და დამოუკიდებელი იყოს რუსეთისგან: „მებრძოლი ხალხი ვართ... თავისუფლება გვიყვარს, [მაგრამ] ერთად დგომა ვერ შევძელით, ვერა" (ქალი, 64, უმაღლესი განთლება, ეთნიკურად ქართველი, შიდა ქართლი).

გარდა ამისა, რესპონდენტების თქმით, საკმაოდ მსგავსია ქართველების და ჩრდილოეთი კავკასიის ხალხების ენებიც. ჩვენს მსგავსად, ისინიც იყენებენ ასო-ბგერებს „ყ" და „ჭ", რაც ევროპელებთან არ გვხვდება. რესპონდენტებმა ასევე ახსენეს ტრადიციული ცეკვები და ტანსაცმელი, რაც ასევე მსგავსია. გარდა ამისა, ზოგმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს მსგავსად, ამ ერებმაც იციან ვაჟკაცობა და სიმამაცე: „ღირებულებები, დავუშვათ, ტრადიცია ერთნაირი გვაქვს. ხო აი ვაჟკაცობა, დამოკიდებულებები, ქალისადმი პატივისცემა... ძალიან დიდ პატივისცემას გამოხატავენ ქალისადმი,

ოჯახისადმი, ტრადიციებისადმი და ა.შ.“ (კაცი, 58, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი). ახალგაზრდებმა ქვემო ქართლიდან აღნიშნეს, რომ ეს რესპუბლიკები აზერბაიჯანის მსგავსია, რადგანაც საერთო რელიგია აქვთ - ისლამი.

ყველა ასაკობრივ ჯგუფსა და დასახლებაში ასევე იყვნენ რესპონდენტები, ვინც ფიქრობდა, რომ ქართველები სხვა კავკასიური ხალხებისგან ძალიან განსხვავდება. მათი თქმით, ქართველები უფრო დასავლეთის და ევროპის მიმართულებით იყურებიან. ჩრდილოეთი კავკასიელი რესპუბლიკები რუსული გავლენის ქვეშ იმყოფებიან და, რუსეთის მსგავსად, სოციალისტურ რესპუბლიკად ყოფნა ამჯობინეს. საქართველო კი ცდილობს იყოს კაპიტალისტური, ევროპული ქვეყანა. რესპონდენტები განსხვავებულ რელიგიასაც ახსენებენ, რადგან ჩრდილოეთი კავკასიელები მუსლიმები არიან. თუმცა, რელიგია მაინც არ იყო დასახელებული მთავარი განსხვავება ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებს შორის. უფრო ხშირად რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის მისწრაფებას: „კარდინალური განსხვავებაა ჩვენს ქვეყანასა და დანარჩენ კავკასიურ ქვეყნებს შორის... როგორც მენტალობით, ასევე მისწრაფებებით...თუნდაც ის, რომ ჩვენ გვინდა პროგრესი, განვითარება. შეიძლება მათ არ აძლევთ მრწამსი ამის გასაქანს, მაგრამ ძალიან დიდი განსხვავებაა“ (კაცი, 50, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თბილისი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხს საქართველოსა და მის კონფლიქტურ რეგიონებთან ურთიერთობის მოგვარებაში საკუთარი წვლილის შეტანა არ შეუძლიათ. ჩვეულებრივ ხალხს პოლიტიკაში სიტყვა არ ეთქმის. ისინი ეკონომიკურად რუსეთზე არიან დამოკიდებული, რომელიც მათ საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს. თუკი რუსეთი უკან დაიხევს, მაშინ ჩრდილოეთი კავკასიელი ხალხი შეძლებს ერთმანეთთან პრობლემების მოგვარებას.

> *„არ მგონია, რომ რაიმე როლის შესრულება შეეძლოთ ჩრდილოეთ კავკასიელებს ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებაში იმიტომ, რომ თავისი შინაარსით ეს კონფლიქტი არ არის არც ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური. ეს არის ქართულ-რუსული კონფლიქტის პატარა გაგრძელება. ამ ჩრდილოკავკასიურ ერებს თავისი პრობლემები აქვთ, რომლისთვისაც თვითონ ვერ მიუხედავთ, იმიტომ, რომ ეს თვითგამორკვევა არ შედის რუსეთის კოლონიალური, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებში. წარმოიდგინეთ ახლა ადგილობრივ დონეზე, ვთქვათ, დაღესტანში რომელიმე ჯგუფის დონეზე გაჩნდეს სურვილი, რომ ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ დიალოგში მიიღონ მონაწილეობა. რამდენად პერსპექტიული იქნება ეს და არ დაბლოკავს ამ ინიციატივას რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება, რომლის ინტერესებშიც საერთოდ არ შედის ამ ურთიერთობის დათბობა-დარეგულირება, არამედ ამ ურთიერთობებში მეტი კონფლიქტის შემოტანა და გახანგრძლივება. ამიტომ არ მგონია, რომ ის ჩრდილოკავკასიური ერები რამე რესურსს წარმოადგენდნენ ჩვენს მეზობელ ეთნოსებთან ურთიერთობის გამოსწორებაში” (კაცი, 56, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ქუთაისი).*

სხვა რესპონდენტმა აღნიშნა: „სანამ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში იქნებიან ეგენი, მაგათი როლი მინიმალური იქნება“ (კაცი, 32, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, თელავი).

თუმცა, რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკებებითა და დისკუსიებით, ჩრდილოეთ კავკასიაში ხალხს კონსენსუსის მიღწევა შეუძლია. რესპონდენტების ნაწილმა ასევე ახსენა „კავკასიური ინსტიტუტის/სახლის“ იდეა, რომელსაც შეეძლო სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხის გაერთიანების ხელშეწყობა.

> *„ზვიად გამსახურდიას ჰქონდა საერთო კავკასიური სახლის იდეა, გახსოვთ, ალბათ. სამწუხაროდ, ეს ვერ განხორციელდა. მაშინ ჩეჩნები, ინგუშები, დაღესტანი და ბევრი სხვა კავკასიური ქვეყნები*

დადებითად იყვნენ განწყობილი და, აი, მომენტი იყო, მომენტუმს რომ ეძახიან... ჩვენ დავკარგეთ, ვერ გამოვიყენეთ, ისევ და ისევ რუსების გამო... შორეული პერსპექტივის ამბავია" (კაცი, 56, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, ზუგდიდი).

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასევე აღნიშნა: „უბრალოდ მზაობა კავკასიის არცერთ ქვეყანას არ აქვს, თორემ ყველაზე საუკეთესო, ალბათ, კავკასიური სახლის შექმნა იქნებოდა ერთობისთვის, შიდა დამოუკიდებელი პოლიტიკით და ერთიანი საგარეო პოლიტიკით. ეს იქნება ყველაზე კარგი, კავკასიური სახლი" (ქალი, 48, უმაღლესი განათლება, ეთნიკურად ქართველი, სამეგრელო).

ძირითადი მიგნებები:

- საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარმა (46%) ვერ შეძლო რუსეთის ფედერაციის შემადგელობაში მყოფი ჩრდილოეთი კავკასიის ვერცერთი რესპუბლიკის დასახელება, რომელიც, მათი აზრით, საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილია. ერთი მეხუთედის თქმით, ამ რესპუბლიკებიდან არცერთია კეთილგანწყობილი საქართველოს მიმართ. თვისებრივი კვლევის მონაცემები რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგების მსგავსია, რადგანაც ბევრ რესპონდენტს არ ჰქონდა ინფორმაცია ჩრდილოეთ კავკასიური რესპუბლიკების შესახებ. ვისაც გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა, ინგუშეთი დაასახელეს საქართველოს მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილად. ამავდროულად, ხალხმა ყველაზე მეტი ჩეჩნეთის შესახებ იცის. თუმცა, მის მიმართ დამოკიდებულებები არაერთგვაროვანია;
- საქართველოს მოსახლეობის 43%-ის აზრით, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებსა და საქართველოში ხალხი ერთმანეთს გავს, 39%-ის თქმით კი - ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ისინი, ვინც მიიჩნევენ, რომ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებსა და საქართველოში მცხოვრები ხალხი ერთმანეთს გავს (43%), თვლიან, რომ ეს მსგავსება ჩანსს კულტურაში, წეს-ჩვეულებებში, ტრადიციებსა და/ან ღირებულებებში (58%), ხალხის ხასიათსა (47%) და მსოფლმხედველობაში (8%).
- ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებსა და საქართველოში ხალხი ერთმანეთისგან განსხვავდება (39%), ამ განსხვავებას ასევე ხედავს კულტურაში, წეს-ჩვეულებებში, ტრადიციებისა და/ან ღირებულებებში (55%). ასევე, განსხვავებულ რელიგიაში (40%), ხალხის ხასიათსა (26%) და მსოფლმხედველობაში (20%).
- გამოკითხვის მსგავსად, აზრები ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს შორისაც გაიყო. ზოგი ამბობდა, რომ ეს ხალხები ერთმანეთის მსგავსია გარეგნობით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, წარმოშობით, გენეტიკით, ღირებულებებით, ვაჟკაცობითა და სიმამაცით. დანარჩენები კი მთავარ განსხვავებად საქართველოს დასავლეთთან დაახლოების სურვილს ასახელებდნენ. ამასთან, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ, რელიგიის გარდა, ჩრდილოეთ კავკასიაში ხალხი რუსეთის გავლენის ქვეშაა, მაშინ, როდესაც საქართველო ევროპისკენ მიილტვის და ევროპულ ღირებულებებს იზიარებს;
- ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ხაზს უსვამენ იმას, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკებები ისევე, როგორც კავკასიაში დამოუკიდებელი და თავისუფალი რესპუბლიკების არსებობა რუსეთის ინტერესებში არ შედის. რუსეთი მუდმივად ერევა რეგიონის საქმეში და ცდილობს ახალი კონფლიქტებისა და დაძაბულობის შექმნას როგორც ჩრდილოეთ, ასევე სამხრეთ კავკასიაში იმისთვის, რომ რეგიონზე საკუთარი გავლენა შეინარჩუნოს. რესპონდენტების თქმით, ჩვეულებრივ ხალხს, სამწუხაროდ, არავინ ეკითხება და მათ არც იმის ძალა აქვთ, რომ რეგიონში არსებული კონფლიქტები მოაგვარონ.

4. დასკვნები

მოცემული ანგარიში საქართველოში რუსეთის შესახებ არსებულ ცოდნას, წარმოდგენებსა და დამოკიდებულებებს მიმოიხილავდა. უფრო კონკრეტულად, ანგარიშში წარმოადგენილია საქართველოში მცხოვრები ხალხის წარმოდგენები და დამოკიდებულებები რუსი ხალხისა და რუსეთის სახელმწიფოს, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ნორმალიზების დამაბრკოლებელი ფაქტორების, კონფლიქტური რეგიონების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, და ჩრდილოეთი კავკასიის მიმართ.

ანგარიშის ქვეთავებში წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

- რუსი ხალხის მიმართ დამოკიდებულება უმეტესად დადებითი ან ნეიტრალურია. თუმცა, დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოს მიმართ საკმაოდ უარყოფითია;
- საქართველოში ხალხი უმეტესად მიიჩნევს, რომ რუსეთი სწორი მიმართულებით არ ვითარდება და ამ განვითარებას რამდენიმე ფაქტორი უშლის ხელს, რომელთა შორისაც საერთაშორისო კონფლიქტები და სანქციები, პრობლემები ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის სფეროში და ეკონომიკური და სოციალური პრობლემებია;
- საქართველოს მოსახლეობის დიდი წილი ამბობს, რომ (სრულად, საკმაოდ ან ნაკლებად/მცირედით) ინფორმირებულია რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ინფორმაციას ძირითადად ტელევიზიიდან და სოციალური ქსელებიდან იღებს. მათ მიერ მიღებული ინფორმაცია უმეტესად რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე რუსეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკას ეხება. ამ ინფორმაციას ისინი, ძირითადად, უარყოფითად აღიქვამენ;
- საქართველოში მცხოვრებნი მიიჩნევენ, რომ ძირითადი პრობლემები და საფრთხეები, რის წინაშეც საქართველო ამჟამად დგას, ეკონომიკური და სოციალური საკითხებია, რასაც მოსდევს ოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის კიდევ უფრო მეტად დარღვევის საშიშროება და ჯანდაცვის საკითხები, მათ შორის პანდემია;
- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დადებით დამოკიდებულებას აფიქსირებს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, რადგან ეს გაერთიანებები საქართველოს პრობლემების მოგვარების მთავარ გზად აღიქმება, რომლებსაც შეუძლია საქართველოს თავისუფლება, დემოკრატია, ეკონომიკური სტაბილურობა, უმაღლესი განათლება (ევროკავშირი), ისევე, როგორც უსაფრთხოება და რუსეთისგან დაცვა (ნატო) მოუტანოს. ყველაზე დადებითი დამოკიდებულებები ახალგაზრდებსა და თბილისის მოსახლეობას შორის გამოვლინდა;
- რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის მტრული ურთიერთობაა. ქართველები ყველაზე ხშირად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციას ასახელებენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მთავარ დაბრკოლებად. რესპონდნეტების თქმით, ქვეყნებს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობას, ასევე, უშლის ხელს მოსკოვის განზრახვა, საქართველო საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქციოს;
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სკეპტიკურად არიან განწყობილი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების მიმართ მანამ, სანამ რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას არ შეწყვეტს. ისინი საუბრობენ ნაბიჯებზე, რომელიც საქართველომ უნდა გადადგას რუსული საფრთხის განეიტრალებისა და შემცირებისთვის. ამ მხრივ, ზოგ რესპონდენტს მიაჩნია, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაცია ერთადერთი გამოსავალია, სხვები კი ამტკიცებენ, რომ ინტეგრაცია საფრთხეს წარმოადგენს;

- ბევრი რესპონდენტი ოპტიმისტურადაა განწყობილი საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებაში ტურიზმის ისევე, როგორც ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების როლის მიმართ. მეორეს მხრივ, რესპონდენტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ სავაჭრო კავშირებს ისეთ არაპროგნოზირებად ქვეყანასთან, როგორიც რუსეთია, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია, ქართულ პროდუქციას ემბარგო დაადოს, ურთიერთობების გაუმჯობესების პოტენციალი არ აქვს. ამასთან, მათი მტკიცებით, კონფლიქტური რეგიონები და ქვეყნის პოლიტიკური ინტერესები ვაჭრობაზე უფრო მნიშვნელოვანია;
- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია. თუმცა, მოსახლეობის შედარებით ნაკლები წილი მიიჩნევს, რომ ათ წელიწადში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი კვლავ საქართველოს ნაწილი იქნება. 35 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებთან შედარებით, ახალგაზრდები ნაკლებად მიიჩნევენ კონფლიქტურ რეგიონებს საქართველოს ნაწილად. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ფიქრობენ, რომ რუსეთმა გაუწია პროვოცირება და ახლაც მართავს კონფლიქტებს საქართველოსა და მის ორ რეგიონს შორის;
- საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ფიქრობს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ძირითადად, არასწორი მიმართულებით ვითარდება და ორივე რეგიონში არსებულ მდგომარეობას სავალალოდ მიიჩნევენ. რესპონდენტები ხშირად ამბობენ, რომ რუსული გავლენა ამ რეგიონებში მცხოვრებ ხალხს რუსეთის ფედერაციისკენ უბიძგებს, რუსულ ენაზე საუბარს აიძულებს და ეკონომიკურად რუსეთზე დამოკიდებულს ხდის;
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნაწილი ამტკიცებს, რომ კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ხალხს არ სურს, რუსეთის ნაწილი იყოს და დამოუკიდებლობა ურჩევნია. მათი თქმით, შესაძლებელია ქართველებსა და კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ხალხს შორის ურთიერთობის აღდგენა. ამის საპირისპიროდ, სხვა რესპონდენტები ამბობენ, რომ კავშირი კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობასთან დაკარგულია, რადგანაც მათ უნდათ, რუსეთის ნაწილი იყვნენ და მოსწონთ რუსეთისგან მიღებული დახმარება. ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ასევე ამბობენ, რომ კონფლიქტურ რეგიონებში ახალ თაობას, ძველი თაობისგან განსხვავებით, ქართველების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. მათი მტკიცებით, დროთა განმავლობაში ქართველების კავშირი ამ რეგიონებთან სრულიად გაქრება;
- საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს არ უჭერს იმ ფაქტს, რომ რუსეთის ფედერაცია თავისი სეხელმწიფო ბიუჯეტიდან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ეხმარება. მათი მტკიცებით, ამით რუსეთი ცდილობს, იყიდოს ეს რეგიონები და იქ თავისი გავლენა გაავრცელოს. სხვა რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ვინმემ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხზე უნდა იზრუნოს და რაკი რუსეთმა წაიღო ეს რეგიონები, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა იქ მცხოვრებ ხალხზე;
- საქართველოში მცხოვრებ ხალხს მცირე ინფორმაცია აქვს რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკების შესახებ. მათ უმეტესად სმენიათ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის შესახებ და, მათი აზრით, ეს უკანასკნელი, სხვებთან შედარებით, ყველაზე მეგობრულადაა განწყობილი საქართველოს მიმართ;
- რესპონდენტების მოსაზრებები გაიყო იმასთან დაკავშირებით, თუ რა მსგავსებები და განსხვავებებია ჩრდილოეთი კავკასიის ხალხებსა და ქართველებს შორის. რესპონდენტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებსა და საქართველოში ხალხი ერთმანეთს ჰგავს კულტურით, წეს-ჩვეულებებით, ტრადიციებით, ღირებულებებით, ხასიათითა და მსოფლმხედველობით. თუმცა, სხვა რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში ხალხი სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისგან. მთავარ განსხვავებად ასევე აღინიშნა რელიგია და საქართველოს მისწრაფება, იყოს დემოკრატიული ქვეყანა და დასავლეთის ნაწილი;
- ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ხაზს უსვამენ იმას, რომ კავკასიის რესპუბლიკების მიერ ერთმანეთში პრობლემების მოგვარება რუსეთის ინტერესებში არ შედის. რესპონდენტების თქმით, რუსეთი გამუდმებით ერევა მათ საქმეში იმისთვის, რომ ახალი კონფლიქტები და დაძაბულობა წარმოქმნას ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში. იგი თავს „სამშვიდობო ძალად“ წარმოაჩენს. თუმცა, რეალურად რეგიონი საკუთარი გავლენის ქვეშ ჰყავს მოქცეული.

დანართები

დანართი 1: კროსტაბულაცია ასაკობრივი ჯგუფების და დასახლების ტიპის მიხედვით

1. როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსი ხალხის (მოქალაქეების) მიმართ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძალიან დადებითი	7	10	13	10	11	10	10
დადებითი	38	40	48	45	43	40	42
ნეიტრალური	49	42	29	37	37	42	39
უარყოფითი	4	5	8	5	5	6	6
ძალიან უარყოფითი	1	2	2	2	1	2	2
არ ვიცი	0	1	1	0	1	1	1
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

2. როგორი დამოკიდებულება გაქვთ რუსეთის სახელმწიფოს მიმართ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძალიან დადებითი	2	3	2	1	4	2	2
დადებითი	16	14	17	12	14	19	16
ნეიტრალური	37	33	31	25	33	40	34
უარყოფითი	31	34	33	40	34	27	33
ძალიან უარყოფითი	11	13	13	19	12	8	13
არ ვიცი	3	2	4	3	3	3	3
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

3. თქვენი აზრით, როგორი მიმართულებით ვითარდება რუსეთი ამჟამად? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძირითადად, სწორი მიმართულებით	11	11	7	8	10	10	10
ძირითადად, არასწორი მიმართულებით	49	53	64	58	55	55	56
საერთოდ არაფერი იცვლება	4	5	4	5	5	4	4
არ ვიცი	35	30	25	29	30	31	30
უარი პასუხზე	1	0	0	1	1	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

4. როგორ აფასებთ საქართველოს მისწრაფებას/სურვილს, გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძალიან დადებითად	46	46	46	50	48	42	46
უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	40	33	31	34	30	37	34
უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	8	8	7	5	7	9	8
ძალიან უარყოფითად	2	5	6	5	6	3	4
არ ვიცი	4	8	9	6	8	8	7
უარი პასუხზე	0	1	0	1	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

5. როგორ აფასებთ საქართველოს მისწრაფებას/სურვილს, გახდეს ნატოს წევრი ქვეყანა? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძალიან დადებითად	45	43	43	49	45	39	44
უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	34	29	28	29	30	31	30
უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	9	11	11	8	9	11	10
ძალიან უარყოფითად	3	6	6	6	7	4	5
არ ვიცი	8	10	12	7	8	14	10
უარი პასუხზე	0	1	1	1	1	1	1
სულ	100	100	100	100	100	100	100

6. თქვენი აზრით, რითი ჰგვანან ერთმანეთს ჩრდილოეთი კავკასიელი და ქართველი ხალხი? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
კულტურით, წეს-ჩვეულებებით, ტრადიციით და/ან ღირებულებებით	49	60	65	61	54	59	58
ხასიათით	44	47	49	49	47	47	47
მსოფლმხედველობით	7	8	8	10	7	6	8
რელიგიით	5	3	1	3	4	3	3
ეკონომიკური მდგომარეობით და პირობებით/ ცხოვრების დონით/ ცხოვრების ხარისხით	4	2	1	1	3	3	2
სხვა	7	4	5	6	5	5	5
არ ვიცი	10	7	6	6	10	8	8
უარი პასუხზე	2	0	0	0	1	0	1

**კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ ჩრდილო ეთკავკასიელი და ქართველი ხალხი ძალიან ჰგავს ან უფრო ჰგავს, ვიდრე განსხვავდება - 43%*

7. თქვენი აზრით, რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ჩრდილოეთი კავკასიელი და ქართველი ხალხი? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
კულტურით, წეს-ჩვეულებებით, ტრადიციით და/ან ღირებულებებით	53	52	61	56	55	55	55
ხასიათით	40	41	39	42	37	40	40
მსოფლმხედველობით	16	33	28	21	29	27	26
რელიგიით	19	23	16	23	24	14	20
ეკონომიკური მდგომარეობით და პირობებით/ ცხოვრების დონით/ ცხოვრების ხარისხით	6	5	7	8	6	4	6
სხვა	5	6	5	6	7	4	5
არ ვიცი	13	7	8	8	9	11	9
უარი პასუხზე	0	1	1	0	0	2	1

** კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ ჩრდილოეთი კავკასიელი და ქართველი ხალხი ძალიან განსხვავდება ან უფრო განსხვავდება, ვიდრე ჰგავს - 39%*

8. რამდენად ინფორმირებული ხართ რუსეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
სრულად ინფორმირებული ვარ	2	4	4	4	2	3	3
საკმაოდ ინფორმირებული ვარ	11	19	19	21	17	13	16
ნაკლებად ინფორმირებული ვარ	42	41	42	41	41	42	41
საერთოდ არ ვარ ინფორმირებული	43	34	34	34	36	39	37
არ ვიცი	3	3	2	1	3	4	3
სულ	100	100	100	100	100	100	100

9. ინფორმაცია, რომელსაც იღებთ რუსეთის ფედერაციის შესახებ, ძირითადად დადებითია, თუ ძირითადად უარყოფითი? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძირითადად დადებითი	17	14	15	12	10	21	15
ძირითადად უარყოფითი	62	61	55	65	66	51	59
ნეიტრალური	18	21	25	21	19	24	22
არ ვიცი	2	4	3	2	4	4	3
უარი პასუხზე	1	0	1	1	1		0
სულ	100	100	100	100	100	100	100

** კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ სრულად, საკმაოდ ან ნაკლებად/მცირედით ინფორმირებულია რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ - 61%*

10. თქვენი აზრით, აფხაზეთი არის...? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
დამოუკიდებელი სახელმწიფო	3	1	1	1	1	3	2
კვაზი დამოუკიდებელი სახელმწიფო	7	5	4	7	6	4	5
საქართველოს ნაწილი	70	78	76	78	76	72	75
რუსეთის ფედერაციის ნაწილი	14	13	13	11	13	15	13
არ ვიცი	5	3	6	3	5	6	5
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

11. თქვენი აზრით, 10 წლის შემდეგ, აფხაზეთი იქნება...? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
დამოუკიდებელი სახელმწიფო	3	1	1	1	2	2	2
კვაზი დამოუკიდებელი სახელმწიფო	2	1	1	3	1	0	1
საქართველოს ნაწილი	56	66	61	63	67	57	61
რუსეთის ფედერაციის ნაწილი	11	7	4	9	5	7	7
არ ვიცი	28	24	33	25	24	34	29
უარი პასუხზე	0	0	0	0	0		0
სულ	100	100	100	100	100	100	100

12. თქვენი აზრით, როგორი მიმართულებით ვითარდება აფხაზეთი ამჟამად? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძირითადად სწორი მიმართულებით	5	2	1	1	2	3	2
ძირითადად არასწორი მიმართულებით	66	70	67	72	72	62	68
საერთოდ არაფერი იცვლება	10	10	9	10	10	9	10
არ ვიცი	20	18	22	17	15	25	20
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

13. ამჟამად რუსეთის ფედერაცია თავისი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსურად ეხმარება აფხაზეთს. უჭერთ თუ არა მხარს ამას? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
დიახ	18	12	13	12	13	16	14
არა	38	47	46	50	44	39	44
ნაწილობრივ	12	11	10	9	9	13	11
ჩემთვის არა აქვს ამას მნიშვნელობა	14	13	9	12	12	12	12
რუსეთი აფხაზეთს ფინანსურად არ ეხმარება	5	6	7	7	8	4	6
არ ვიცი	12	11	15	9	12	15	13
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

14. თქვენი აზრით, სამხრეთ ოსეთი არის...? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
დამოუკიდებელი სახელმწიფო	3	1	1	2	1	1	2
კვაზი დამოუკიდებელი სახელმწიფო	6	5	3	6	4	3	4
საქართველოს ნაწილი	62	75	75	73	73	68	71
რუსეთის ფედერაციის ნაწილი	17	15	15	13	14	19	16
არ ვიცი	11	4	6	5	8	8	7
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

15. თქვენი აზრით, 10 წლის შემდეგ, სამხრეთ ოსეთი იქნება...? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
დამოუკიდებელი სახელმწიფო	3	2	1	2	2	3	2
კვაზი დამოუკიდებელი სახელმწიფო	3	1	0	2	1	1	1
საქართველოს ნაწილი	54	67	64	63	65	59	62
რუსეთის ფედერაციის ნაწილი	12	7	4	8	8	7	8
არ ვიცი	28	23	30	25	24	30	27
უარი პასუხზე	0	0	0	1	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

16. თქვენი აზრით, როგორი მიმართულებით ვითარდება სამხრეთ ოსეთი ამჟამად? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძირითადად სწორი მიმართულებით	4	2	1	1	2	3	2
ძირითადად არასწორი მიმართულებით	63	72	72	73	74	64	69
საერთოდ არაფერი იცვლება	7	7	6	7	6	7	7
არ ვიცი	26	18	21	18	18	25	21
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

17. ამჟამად რუსეთის ფედერაცია თავისი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსურად ეხმარება სამხრეთ ოსეთს. უჭერთ თუ არა მხარს ამას? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
დიახ	17	12	11	10	12	15	13
არა	38	49	49	52	46	41	45
ნაწილობრივ	12	12	10	7	12	13	11
ჩემთვის არა აქვს ამას მნიშვნელობა	16	12	10	13	12	12	13
რუსეთი სამხრეთ ოსეთს ფინანსურად არ ეხმარება	4	6	5	7	6	3	5
არ ვიცი	14	10	15	10	12	16	13
უარი პასუხზე	0		0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

18. თქვენი აზრით, საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის ამჟამად არის ...? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
ძალიან მეგობრული ურთიერთობა	1	1	1	1	2	1	1
უფრო მეგობრული, ვიდრე მტრული ურთიერთობა	19	16	16	16	16	18	17
უფრო მტრული, ვიდრე მეგობრული ურთიერთობა	60	64	61	62	60	62	62
ძალიან მტრული ურთიერთობა	13	11	13	15	14	9	12
არ ვიცი	7	8	8	5	8	9	8
უარი პასუხზე	1	1	1	1	0	1	1
სულ	100	100	100	100	100	100	100

19. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით იმას, რომ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ხელს უწყობს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
სრულად ვეთანხმები	24	28	32	26	28	30	28
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	49	46	45	46	44	48	46
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	13	11	10	15	12	8	11
საერთოდ არ ვეთანხმები	6	8	6	8	7	5	7
არ ვიცი	8	7	7	5	8	8	7
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

20. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით იმას, რომ ტურიზმი საქართველოსა და რუსეთს შორის ხელს უწყობს ქართველებსა და რუსებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას? (%)

	ასაკობრივი ჯგუფი			დასახლების ტიპი			მოსახლეობა
	18-34	35-54	55+	დედაქალაქი	ქალაქი	სოფელი	
სრულად ვეთანხმები	36	36	40	35	39	37	37
უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	48	49	45	46	44	50	47
უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	9	7	7	10	9	6	8
საერთოდ არ ვეთანხმები	3	4	4	5	4	3	4
არ ვიცი	4	4	5	3	4	5	4
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0
სულ	100	100	100	100	100	100	100

დანართი 2: ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მახასიათებლები

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა ლოკაციის, ასაკობრივი ჯგუფისა და სქესის მიხედვით

	ჯგუფი 1 (18-44)		ჯამში თითოეულ ჯგუფში	ჯგუფი 2 (45+)		ჯამში თითოეულ ჯგუფში
	კაცი	ქალი		კაცი	ქალი	
1. თბილისი (ურბანული)	4	4	8	4	4	8
2. სოფლები შიდა ქართლში ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს	4	4	8	4	4	8
3. ზუგდიდი (ურბანული)	4	4	8	4	4	8
4. ადმინისტრაციულ საზღვართან ახლოს	4	4	8	5	3	8
5. ბათუმი (ურბანული)	4	4	8	5	3	8
6. სოფლები აჭარაში	6	2	8	3	4	7
7. ქუთაისი (ურბანული)	4	4	8	4	4	8
8. სოფლები იმერეთში	4	4	8	4	4	8
9. თელავი (ურბანული)	4	4	8	4	4	8
10. სოფლები კახეთში	4	4	8	5	3	8
11. სამცხე ჯავახეთი (სოფლები და ქალაქები; სომხურენოვანი ეთნიკური უმცირესობა)	5	3	8	4	4	8
12. ქვემო ქართლი (სოფლები და ქალაქები; აზერბაიჯანულენოვანი ეთნიკური უმცირესობა	4	4	8	4	4	8
ჯამი	51	45	96	51	45	95